

გელა წულაძე                      ლევან ურუშაძე                      გიორგი მირზაშვილი                      დავით გაბოშიძე  
 გიორგი ლაგარაშვილი                      ილია პატაშური                      მურთაზ შველიძე  
 ლევან ჭიჭინაძე                      ავთო მოსიაშვილი                      დათო კრანაშვილი                      მიშა გობრიჭიანი  
 მაია ცეცხლაძე                      დავით ალაქსიძე                      კოტე სულაბერიძე  
 ლევან ხარანაული                      გურაბ გიკაშვილი                      ეკა აბულაძე  
 კოტე ჯინჭარაძე                      მიშა შენგელია                      გურა აფხაზი                      ირაკლი მაისურაძე  
 ალაქსანდრე ბერდიშვილი                      გია ხუციშვილი                      კაკო თოფურიანი                      ნუგზარ ნათენაძე  
 გელა პათიაშვილი                      თამუნა მელიქიშვილი  
 დიმიტრი ანთაძე                      სერგო ქობულაძე                      ლევან მარგვიანი                      კახაბერ ტატიშვილი  
 რუსუდან ფატიშვილი                      თინათინ ცხადაძე                      გაურ დეისაძე  
 ირაკლი თოიძე                      ტაბო ახალკაციშვილი                      ვახო ბუღაძე                      გიორგი როინიშვილი  
 მამია მალაგონია                      ჰანს ვეინერ ბური                      მედეა ჯაბუა                      გიორგი როინიშვილი  
 ოთარ ჯიშკარიანი                      ნოდარ მალაგონია                      თამარ კარბელაშვილი  
 ლორეა შენგელია                      ნანა ჭურღულია                      რუსუდან გაჩეჩილაძე  
 მარინე ივანიშვილი                      ნანა ცინცაძე                      თამაზ ვარვარიძე  
 გოგი წერეთელი                      ლალი გამბახიძე  
 კარლო ფაჩულია                      მანანა თუმანიშვილი                      სოფიო კინწურაშვილი  
 ლალი ლომთაძე                      ნუგზარ მეძმარიაშვილი  
 ნინო გაალიშვილი                      გივი ვაშაკიძე                      ნინო ჯიშკარიანი  
 მალხაზ კუხაშვილი                      ია გიგოშვილი

NEW COLLECTION OF THE MUSEUM OF FINE ARTS  
 ხელოვნების მუზეუმის ახალი კოლექცია

2021 -2022

ვალერიან სიღამონ – ერისთავი                      ვატიკა დავითაშვილი                      ავთო მესხი  
 ლევან ლალიძე                      ოთარ ჩხარტიშვილი                      გურაბ სენიაშვილი  
 ნიკო ცეცხლაძე                      ლევან ჭოღოშვილი                      თემო ჯაფარიძე                      მერაბ აბრამიშვილი  
 გელა მანჯავიძე                      ქეთევან მათაბელი                      ირაკლი ფარჯიანი  
 მამუკა ცეცხლაძე                      გია ბულაძე                      გია ეძგვერაძე                      ოლეგ ტიფინაძე  
 ილია გაუტაშვილი                      კარლო კაჭარავა                      გია ლორია  
 გოგა მალაქაელიძე                      გელა გაუტაშვილი                      ლუკა ლასარეიშვილი  
 გია დოლიძე                      თემურ იაკობაშვილი                      ლია შველიძე                      მამუკა ჯაფარიძე  
 თემო ჯავახიშვილი                      კოკა რამიშვილი                      შალვა მათუაშვილი  
 უსანგი ხუმაიაშვილი                      ჯამალ კუხალაშვილი                      გია გუგუშვილი  
 ბენიკ არბოლიშვილი                      ლეილა შელია                      ნინო მორბადაძე  
 იური ბერიშვილი                      გაგა ბერძენიშვილი                      თემურ თათანაშვილი  
 დათო სულაკაური                      ვახტანგ თოფურიძე                      ზაალ ბაჩანაშვილი  
 კოკა ცხვედიანი                      მალხაზ დათუკიშვილი                      გიორგი გეგეჭკორი  
 გიორგი გუგუშვილი                      ეკატერინე გელოვანი  
 ყარამან ქუთათელაძე                      ოლეგ ფლორენსკაია  
 მამუკა მიქელაძე                      ალაქსანდრე ფლორენსკი

ხელოვნების მუზეუმის ახალი კოლექცია  
 NEW COLLECTION OF THE MUSEUM OF FINE ARTS  
 2021 - 2022



რედაქტორ-შემდგენელი ალექსანდრა გაბუნია

შესავალი ტექსტის ავტორები: ალექსანდრა გაბუნია, მარიამ გაჩეჩილაძე  
მხატვართა შესახებ ანოტაციების ავტორები: ალექსანდრა გაბუნია,  
მარიამ გაჩეჩილაძე, მაკა ბეჟუაშვილი, მაია ჩიკვაიძე, რუსუდან მერაბიშვილი,  
ლელა წინუაშვილი, ბაია წიქორიძე, ნინო ლალანიძე, ხათუნა ხაბულიანი,  
ნანა შერვაშიძე

სტილისტ-რედაქტორი ნინო ნადარაია

მთარგმნელი მარიამ დვალი

ფოტოგრაფი იური სკრინნიკოვი

დიზაინერი კახაბერ ხუხუნიანი (მისტრალი)

Editor-compiler Alexandra Gabunia

Authors of the introductory text: Alexandra Gabunia, Mariam Gachechiladze

Authors of annotations about the artists: Alexandra Gabunia, Mariam Gachechiladze,  
Maka Bezhuashvili, Maia Chikvaidze, Rusudan Merabishvili, Lela Tsitsuashvili,  
Baia Tsikoridze, Nino Gaganidze, Khatuna Khabuliani, Nana Shervashidze

Style-editor Nino Nadaraia

Translator Mariam Dvali

Photographer Yuri Skrinnikov

Designer Kakhaber Khukhunaishvili (Mistrali)

2022 © დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა/ Dimitri Shevardnadze National Gallery

# ხელოვნების მუზეუმის ახალი კოლექცია

2021- 2022

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ არაერთი ათეული წლის შემდეგ მხოლოდ 2021-2022 წლებში შეძლო შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფონდების შესავსებად თანამედროვე ქართული ხელოვნების ნიმუშების შესყიდვა. სამინისტროს პროექტი - „ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანი კერძო კოლექციების ერთიანობის შენარჩუნება/სამუზეუმო ფონდების შევსება“ სწორედ სამუზეუმო ფონდსაცავის განახლება-შევსებას ისახავდა მიზნად. ამიტომ 2021 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით და 2022 წლის იანვარიდან მარტამდე სამინისტრომ შეიძინა და უსასყიდლოდ (მფლობელთა სურვილით) ხელოვნების მუზეუმს გადასცა თანამედროვე გამორჩეული 113 ქართველი მხატვრის 722 ნამუშევარი, რომლებსაც მანამდე არ ფლობდა მუზეუმი ან არასაკმარისად იყო იქ წარმოდგენილი. ახალშეძენილი ექსპონატები წარმოაჩენს ქართული სახელოვნებო სივრცის განვითარების შთამბეჭდავ სურათს: აქაა ე.წ. 1950-1970-იანელ მხატვართა გრაფიკის ახალი კოლექცია; 1980/1990-იანელების ფერწერული სურათები; ნონკონფორმისტ მხატვართა ნამუშევრები, რომელთა შექმნა გარკვეულად განაპირობა კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 2021 წლის 5 ნოემბერს ქართველი ნონკონფორმისტი მხატვრების 53-ზე მეტი ფერწერული და გრაფიკული სურათის, ქანდაკების, კოლაჟის, ასამბლაჟისა და სხვა მედიუმებში შესრულებული ნამუშევრების პირველმა ჯგუფურმა ექსპოზიციამ.

2021 წელსვე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შეიძინა გამოჩენილი ქართველი მხატვრის, ვალერიან სიღამონ-ერისთავის 1930-იან წლებში შექმნილი 425 ნამუშევარიც, მათ შორის, ბაქოს ინდუსტრიული ზონის მშენებლობის ამსახავი ფერწერული ტილოები და გრაფიკული ჩანახატები. ასევე სხვა თემატიკის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების სერიები. მათში სიღამონ-ერისთავმა საქართველოში წითელი არმიის შემოჭრა და გასაბჭოება არსობრივად განსხვავებულად ასახა. ამისთვის მან XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აქტუალურ რუსულ ნეორომანტიზმს მიმართა. ეს იგრძნობა მის პორტრეტებშიც, თუმცა ე.წ. ბაქოს პერიოდის ნამუშევრებში შეიმჩნევა გეომეტრიული ელემენტების გარკვეული სიჭარბე. ამ კოლექციაში მას აქვს რელიგიურ თემებზე შესრულებული გრაფიკული ჩანახატები და სხვა ნამუშევრებიც, რომლებშიც საბჭოური რეჟიმის მიმართ, შეფარვით მაინც მკვლავნდება მისი კრიტიკული დამოკიდებულება. 2022 წელს სამინისტროს პროექტით - „შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდის შევსება“- შესაძლებელი გახდა დიდი ქართველი მხატვრის, სერგო ქობულაძის, 73 ნამუშევრის შესყიდვაც.

1970/1980-იანი წლების მიჯნა ქართულ მხატვრობაში გარდატეხის ხანად და ახალი ეტაპის დასაწყისად ითვლება. შემთხვევით როდია, რომ სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინი - 80-იანელთა თაობა. სწორედ ამ თაობის ხელოვანებმა ქართულ სამხატვრო სივრცეში შემოიტანეს სრულიად ახალი სოციო-კულტურული ნაკადი. ამიტომ გადაწყდა, უპირველესად, ამ თაობის ხელოვანთა ნამუშევრებით გაემდიდრებინათ ხელოვნების მუზეუმის კოლექციები. 1970-იანი წლების დასასრულ და 1980-იანი წლების დასაწყისში „ახალგაზრდა მხატვართა მიერ პირველად გაცხადდა, რომ მხატვრობა გაცილებით მეტია არსებულ, დოგმატურ ჩარჩოებში მოქცეულ წარმოდგენაზე მის შესახებ: პირველად გაჩნდა სურვილი მხატვრობის ენით, მისი მეშვეობით გაცილებით მეტის გამოსახვისა, ვიდრე „ფერწერული“ პრობლემატიკით მანიპულირება იყო“ - წერდა კარლო კაჭარავა. 1980-იანი წლების ქართულ მხატვრობაზე თვალის ერთი გადავლებისთანავე იკვეთება, თუ შეიძლება ითქვას, ორი ტალღა: პირველი უფრო ადრეულია და მასში ის მხატვრები ერთიანდებიან, რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე 1970-იანი წლების მიწურულსა და 1980-იანი წლების I ნახევარში გამოვიდნენ (ირაკლი ფარჯიანი, გია ბუღაძე, ლევან ჭოდოშვილი, ქეთი მატაბელი, მერაბ აბრამიშვილი და სხვები); მეორე ტალღა კი უშუალოდ მოჰყვა პირველს (მამუკა ცეცხლაძე, ნიკო ცეცხლაძე, ოლეგ ტიმჩენკო, ლია შველიძე, გია ლორია, გოგა მაღლაკელიძე და სხვები). 80-იანი წლების პირველი ტალღის მხატვართა ფიგურატიულ მხატვრობაში ორი ძირითადი ტენდენცია გამოიკვეთა: პირველს, რომელსაც პირობითად დრამის ხაზი ვუწოდეთ, მხატვრები: ირაკლი ფარჯიანი, ლევან ჭოდოშვილი, გია ბუღაძე და სხვ. წარმოადგენს. მეორე ტენდენცია, რომელიც ასევე მკაფიოდ იკვეთება ამ ეტაპზე, მხატვართა უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფს აერთიანებს. ესენი არიან: მერაბ აბრამიშვილი, ირაკლი სუთიძე, ლევან ლალიძე, ბესიკ არბოლიშვილი, შალვა მატუაშვილი, გელა მანჯავიძე და სხვა.

ამ მხატვრებისთვის სახასიათოა ასახულის მიღმა საკრალურის ძიება, მაგრამ თითოეულის დამოკიდებულება საკრალურისადმი სრულიად ინდივიდუალურია, რამეთუ საკრალური ესთეტიკურის ფარგლებში ექცევა და, ძირითადად, დეკორატიული მხატვრული ხერხებით გამოისახება. მეორე ტენდენციამ, შესაბამისად, დრამატულის ნაცვლად წინა პლანზე საკრალურის ესთეტიკური ხაზია.

80-იანი წლების პირველი ტალღის წარმომადგენელ მხატვართა - გია ეძგვერადის, ილია ზაუტაშვილისა, და სხვებისთვის სახასიათოა კიდევ ერთი ტენდენცია: ისინი მკვეთრად არიან ორიენტირებულნი თანადროულ დასავლურ ხელოვნებაზე და მათი შემოქმედება, უმეტესად, ნონფიგურატიული მხატვრობის ფარგლებში ექცევა, თუმცა აქაც რამდენიმე არსებითი ნაკადის გამოყოფა შეიძლება. ოდნავ მოგვიანებით ტიპურ კონცეპტუალურ ნამუშევრებს ქმნიდნენ კოკა რამიშვილი, მამუკა ჯაფარიძე, და სხვა. თუმცა, ამ პერიოდში კონცეპტუალიზმსა და აბსტრაქციას შორის არც იყო ძალიან მკაფიო ზღვარი და ეს მხატვრები, ამავე დროს, აბსტრაქციასაც მიმართავდნენ. ამ თაობის ახალგაზრდა მხატვრებისათვის აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი ჩვეულებრივ მხატვრულ მიმართულებაზე ბევრად მეტი იყო. აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი იმ პერიოდში აღიქმებოდა ახალი ხელოვნების საერთაშორისო ენად არა მხოლოდ როგორც ფერწერული სტილი, არამედ როგორც ცხოვრების წესი ხელოვნებაში. ამგვარად, 80-იანი წლების პირველი ტალღის ქართულ მხატვრობაში ორი ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ: ფიგურატიულობა და ნონფიგურატიულობა როგორც დავინახეთ, ფიგურატიულ მხატვრობაში, თავის მხრივ, ორი მხატვრული ტენდენცია გამოიკვეთა: პირობითად მათ ესთეტიკური და დრამატული ვუწოდეთ; ხოლო ნონფიგურაციაში ამ პერიოდში ძირითადად, აბსტრაქცია და კონცეპტუალური ხელოვნება იკვეთება.

1990-იანი წლები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი დრამატული მონაკვეთია და, შესაბამისად, მხატვრული ფორმებით მის გადმოსაცემადაც რთული. მეტიც, იმ დროში საკმაოდ რთული იყო იმის რაციონალურად გადააზრებაც კი, სად ვიმყოფებოდით, თუმცა არტისტული აქტივობები დაშლილი სისტემის ყოფილ ცენტრებში მაინც მიმდინარეობდა და პარადოქსულად აქტიურიც კი ჩანდა უმძიმესი სოციალური ფონის პირობებში. ესაა დრო, როცა პოსტსაბჭოთა სივრცის ხელოვანთა უმეტესობა მიმართავს პერფორმანსის, აქციის ფორმატს და ამ ყველაფრის დოკუმენტად ქვევას ცდილობს სხვადასხვა მედიუმის საშუალებით. როგორც ხელოვნების თეორეტიკოსები აღნიშნავენ, 90-იან წლებში შემოქმედებით ასპარეზზე გამოსული მხატვრები „ბოლო საბჭოთა თაობის“ მხატვრები არიან, რომელთა შერჩევის კრიტერიუმია მათი ალტერნატიულობა და თანადროულ საგამოფენო პროცესებში აქტიური მონაწილეობა (დავით ალექსიძე, მიშა გოგრიჭიანი, მიშა შენგელია, კოტე სულაბერიძე, მურთაზ შველიძე და სხვები) გახდა. 2021-2022 წლებში ამ ხელოვანთა ნამუშევრების შესყიდვით გვსურდა ყველაზე რთული პერიოდის ქართული არტსცენის პრეზენტაცია. წინამდებარე კატალოგიც ამ პროცესის ერთგვარი ნაწილია. ერთი მხრივ, მაღლიერებაა ამ მხატვრების მიმართ, რომლებსაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა რთულ დროსაც კი, და, მეორე მხრივ, ევროპისკენ ინტეგრირების თანდათანობითი და არცთუ მარტივი პროცესი, რომელიც საუკუნოვანი იზოლაციიდან თავდაღწევის შემდეგ საკმაოდ ფორსირებულად ხდებოდა და ხდება... და აჩვენებს უკვე უშუალოდ ქართულ სივრცეში მიმდინარე რეფლექსიას. ქართული მხატვრობის სპექტრი, რაც ამ კოლექციამ აჩვენა, ინდივიდუალურ არტისტულ არჩევანთა კრებულია, რომელიც გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, რომელი გზა აირჩია თითოეულმა მხატვარმა ლოკალური კონტექსტის შეზღუდვების გადასალახავად, საკუთარი გამოცდილების დასაკავშირებლად თანამედროვე ტენდენციებთან. ეს სურათი საკმაოდ მრავალფეროვანი ჩანს ქართული არტსცენისთვის, სადაც აღმოჩნდა ადგილი მრავალი ტენდენციის გასაზიარებლად.

სახელოვნებო სფეროში ტერმინის - საბჭოთა ნონკონფორმისტული ხელოვნება -დამკვიდრება ამერიკელ ეკონომისტს, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორს, ნორტონ დოჯს მიეწერება. ის ცნობილია როგორც საბჭოთა არაოფიციალური ხელოვნების ერთ-ერთი პირველი კოლექციონერი. ნორტონ დოჯი ყიდულობდა 60-იანელ მხატვართა სურათებს და არალეგალურად გაჰქონდა საბჭოთა კავშირიდან. ფაქტობრივად, მან გააცნო დასავლეთს ე.წ. საბჭოთა ანდერგრაუნდის ხელოვნება, რომლის 20 000-მდე ნიმუშია დაცული მის კოლექციაში. მათ შორისაა ქართველ ნონკონფორმისტ ავტორთა ნამუშევრებიც. საქართველოში ნონკონფორმისტულ მოძრაობას ფრაგმენტული და სპონტანური ხასიათი ჰქონდა. სახელოვნებო სფეროში იმ დროს დამკვიდრებული ოფიციალური იდეოლოგიის უარმყოფელ მხატვართა პოზიცია იწვევდა საბჭოთა ხელისუფლების გააფთრებას. ამიტომ ის ყველა საშუალებას მიმართავდა ხელოვნებაში მაშინდელი რეჟიმისათვის არასასურველი ტენდენციების კონტროლისა და აღკვეთისათვის: იკრძალებოდა გამოცემები, გამოფენები, შემოქმედს უცხადებდნენ საყვედურს, აპატიმრებდნენ, მის წინააღმდეგ ახორციელებდნენ სადამსჯელო ოპერაციებს. ასეთ ატმოსფეროში მხატვარს, როგორც პიროვნებას, უნდა გაეკეთებინა არჩევანი - კომპარტიის, მხატვართა თუ აკადემიური ოლიგარქიის კავშირთა

წევრობას, სოცრეალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულ შემოქმედებას, მმართველი იდეოლოგიის მსახურებასა და შემოქმედებით თავისუფლებას, თვითმყოფადობასა და მსოფლიოს წინაშე პირად პასუხისმგებლობას შორის. შემოქმედებითი თავისუფლებისა და პირადი ღირსების სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების შემთხვევაში კი იგი კარგავდა მატერიალურ პრივილეგიებს, საზოგადოებრივ, სოციალურსა და უფლებრივ გარანტიებს, მმართველთა კეთილგანწყობას, რაც, ფაქტობრივად, საკუთარი თავისა და ახლობლების კანონგარეშე სივრცეში გადაყვანას მოასწავებდა.

1960/70-იან წლებში ნონკონფორმისტული აქტიურობით მხატვრებმა - ავთო ვარაზმა, ოთარ ჩხარტიშვილმა, თემო ჯაფარიძემ, ამირ კაკაბაძემ, ვახტანგ (ვატია) დავითაშვილმა, ავთო მესხმა, კარლო გრიგოლიამ, ზურაბ სეხნიაშვილმა საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე არაოფიციალურ ხელოვნებას საქართველოში, რაც ნიშნავდა ახალი კულტურის ეპოქის დასაწყისს. ხელოვნების მუზეუმის კოლექცია გამდიდრდა ოთარ ჩხარტიშვილის, თემო ჯაფარიძის, ვახტანგ (ვატია) დავითაშვილის, ავთო მესხის, ზურაბ სეხნიაშვილის ნამუშევრებით, რომელთა შესყიდვა უშუალოდ სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში 2021 წლის 5 ნოემბერს გამართულ ქართველ ნონკონფორმისტ მხატვართა გამოფენიდან მოხდა.

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდისთვის ქართველ გრაფიკოს მხატვართა ნამუშევრების შესაძენად არჩევანი შეჩერდა მხატვრებზე, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ეროვნული გრაფიკული ხელოვნების განვითარებაში. საბედნიეროდ, ქართველ გრაფიკოსთა რიცხვი არცთუ ცოტაა და ჩვენ წინაშე დასმული ამოცანა, შეგვეჩიხა მხატვრები, რომელთა ნამუშევრებითაც გრაფიკის დარგში გაცნობიერებული ადამიანი ისურვებდა სამუზეუმო ფონდის გამდიდრებას, ძალზე რთული აღმოჩნდა. შესაბამისად, ამ პროცესის დასაწყისში მთავარ კრიტერიუმად ავიღეთ გარკვეული მოცემულობა, ანუ მრავალ რჩეულთა შორის ყურადღება შევაჩერეთ ისეთ ხელოვნებზე ვისი ნამუშევრებიც ძალზე მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი (ნოდარ და მამია მალაზონია, ლალი ზამბახიძე, ლორეტა შენგელია, მანანა თუმანიშვილი, ზაურ დეისაძე, გოგი წერეთელი, კარლო ფაჩულია, მედეა ჯაბუა, ნანა ცინცაძე, ლალი ლომთაძე), ან საერთოდ არ იხსებოდა (გიორგი როინიშვილი, თამარ კარბელაშვილი, გივი ვაშაკიძე, ნუგზარ მეძმარიაშვილი, მალხაზ კუხაშვილი, რუსუდან გაჩეჩილაძე, ნინო ზაალიშვილი, ნანა ჭურდულია, მარინე ივანიშვილი, თამაზ ვარვარიძე, სოფიო კინწურაშვილი, ია გიგოშვილი), შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გრაფიკის ფონდში. გარდა ამისა, მხატვრები შეირჩა თაობათა თანმიმდევრობის მიხედვით, უფრო სწორად, იმის მიხედვით, რომელ წლებში იწყება შემოქმედებით ასპარეზზე მათი აქტიური გამოსვლა და თავის დამკვიდრება, ასევე გათვალისწინებულ იქნა მათი წვლილი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის განვითარების პროცესში. სასიხარულოა, რომ სამუზეუმო ფონდების შევსების დასაწყისშივე გაჩნდა თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველკურსდამთავრებულთა თაობის ორი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის - სერგო ქობულაძისა და ირაკლი თოიძის ნამუშევრების შეძენის შესაძლებლობაც, იმ მხატვრებისა, რომლებმაც პედაგოგების - იოსებ მარლემანისა და ევგენი ლანსერეს მიერ გაკვალული გზა გააგრძელეს და გრაფიკის დარგი ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად აქციეს.

ზემოთ ნახსენები მხატვრები კი უკვე მათ მიერ აღზრდილი გრაფიკოსებია, 1950-70-ანელთა თაობა, რომელმაც თავისი სიძლიერითა და პროფესიონალიზმით ქართული გრაფიკის ხელოვნების ყველა მიმართულებას მრავალგზის მოუპოვა წარმატება: იქნება ეს - დაზგური თუ წიგნის გრაფიკა, პლაკატი, ექსლიბრისი თუ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით (კომპიუტერული გრაფიკა) შესრულებული ნაწარმოებები. თითოეული მათგანის შემოქმედების გარეშე კი დღეს შეუძლებელი იქნებოდა იმ მაღალი დონის მიღწევა, რაც ქართული გრაფიკის დარგში არსებობს, რომლის მნიშვნელოვნება და მხატვრული ღირებულება აღიარებულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამაზე მეტყველებს ის მრავალი ჯილდო და წოდება, რაც ამ მხატვრებს თავისი მოღვაწეობის განმავლობაში მიენიჭათ ადგილობრივსა და საერთაშორისო გამოფენებზე, კონკურსებსა თუ ბიენალეებზე. აღნიშნული მხატვრების შემოქმედებაზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა კი კატალოგში მოცემული მწირი ინფორმაციითაა შესაძლებელი.

კატალოგში ასევე მოხვდა იმ ავტორთა (ილია პატაშური, ტატო ახალკაციშვილი და სხვათა ) საჩუქრად გადმოცემული სურათები, რომელთა გამოფენები გაიმართა 2021 წლის ოქტომბრიდან დღემდე დიმიტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში. ნამუშევრები გადაეცა საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერისა და გრაფიკის ფონდს.

## NEW COLLECTION OF THE MUSEUM OF FINE ARTS

2021– 2022

After many decades, the Ministry of Culture, Sports, and Youth Affairs of Georgia was able to purchase works of contemporary Georgian art to replenish the Collections of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts only in 2021–2022. The aim of the project of the Ministry—Maintaining the Unity of Private Collections Important for Georgian Culture/Replenishing Museum Collections—was to update and expand the museum collections. Therefore, from September to December 2021 and from January to March 2022, the Ministry purchased and donated (at the request of the owners) 722 works by 113 distinguished Georgian artists to the Museum of Fine Arts, which previously were not owned by the Museum or were represented in an insufficient number. The newly acquired artworks represent an impressive picture of the development of Georgian art: the new collection of drawings by the so-called artists from the 1950s to 1970s; paintings of the 1980s -1990s; and the works of non-conformist artists, the purchase of which was conditioned by the first group exhibition of more than 53 paintings and drawings, sculptures, collages, assemblages, and objects by Georgian non-conformist artists held at the Sighnaghi Historical-Ethnographic Museum from November 5, 2021, to May 5, 2022, supported by the Ministry of Culture. In addition, in 2021, the Ministry of Culture, Sports and Youth Affairs of Georgia purchased 425 works created in the 1930s by prominent Georgian artist Valerian Sidamon-Eristavi, including the paintings and drawings depicting the construction of the Baku Industrial Zone. Also, a series of paintings and drawings. In them, Sidamon-Eristavi captured the invasion of the Red Army in Georgia and the Sovietization in an essentially different manner. For this purpose, he applied topical Russian neo-romanticism in the late 19th and early 20th centuries. The latter can be felt in his portraits as well. However, the paintings of the Baku period have a so-called definite abundance of geometric features. In this collection, he has drawings on religious themes and other works, which indirectly reflect his critical attitude toward the Soviet regime. In 2022, within the framework of the project of the Ministry of Culture—“Replenishment of the Collections of contemporary Georgian paintings and drawings of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts”—it became possible to purchase 73 works by the great Georgian artist Sergo Kobuladze.

The verge of the 1970s and 1980s is considered a turning point in Georgian painting and the beginning of a new stage. It is no coincidence that the term “80s Generation” has appeared in scientific or popular literature. The artists of this generation were the ones who introduced a completely new socio-cultural flow to the Georgian art space. Therefore, the decision was, first and foremost, to enrich the collections of the Museum of Fine Arts with the works of this generation of artists. In the late 1970s and early 1980s, “Young artists were the first to proclaim that painting was much more than an existing, dogmatic perception of it: for the first time, there was a desire to express much more through the language of painting than to manipulate with “painting” problems,” wrote Karlo Kacharava. One might claim that there are two waves in Georgian art from the 1980s: the first one is earlier and unites the artists who appeared in the field in the late 1970s and the first half of the 1980s (Irakli Farjiani, Gia Bughadze, Levan Choghoshvili, Katie Matabeli, Merab Abramishvili, and others); The second wave followed the first one (Mamuka Tsetskhladze, Niko Tsetskhladze, Oleg Timchenko, Lia Shvelidze, Gia Loria, Goga Maghlakelidze, and others). In the figurative art by the artists of the first wave from the 80s, two main tendencies were standing out: the first, which we named the “Drama Line”, is represented by artists: Irakli Farjiani, Levan Choghoshvili, Gia Bughadze, and others. The second tendency, which is also clearly defined at this stage, unites a larger group of artists; they are Merab Abramishvili, Irakli Sutidze, Levan Lagidze, Besik Arbolishvili, Shalva Matuashvili, Gela Manjavidze, and others. It is typical for these artists to search for something sacral beyond the depiction, but the attitude of each of them toward the sacral is completely individual because the sacral is expressed within the framework of aesthetics and mainly through decorative artistic means. As a result, in the second trend, the aesthetic icon of the sacral takes precedence over the dramatic. Gia Edzgeradze, Ilia Zautashvili, and others representing the first wave of the 1980s are characterized by one additional tendency: they are clearly focused on contemporaneous Western art and mostly non-figurative. A little later, Koka Ramishvili, Mamuka Japaridze, and others created typical conceptual artworks. However, there was not a very clear line between conceptualism and abstractionism during this period. At the same time, these artists also worked in abstraction. For young artists of this generation, than the usual art movement. At that time, Abstract Expressionism was perceived as the international language of the new art, not only as a painting style but also as a way of life in art.

Therefore, in the Georgian painting of the first wave of the 1980s, we can distinguish two main tendencies: figurative and non-figurative art. As we have observed, figurative painting, per se, has two artistic tendencies: we named them aesthetic and dramatic, and during this period, non-figuration mainly intersected with abstraction and conceptual art.

The 1990s were one of Georgia's most dramatic periods in history, and as a consequence, it was difficult to capture it in artistic form. Furthermore, at that time, it was even quite hard to rationally analyze where we were, however, artistic activities were still taking place in the former centres of the collapsed system and seemed paradoxically active even in the harshest social context. Most post-Soviet artists addressed performances and demonstrations at this time and tried to document it all through various media. As art theorists point out, the artists who entered the creative arena in the 90s are the artists of the "Last Soviet Generation", whose selection criteria are their alter-nativeness and active participation in the processes of the contemporaneous exhibitions (Davit Aleksidze, Misha Gogrichiani, Misha Shengelia, Kote Sulaberidze, Vakho Bughadze, and others). By purchasing the works of these artists in 2021–2022, we wanted to present the most complex Georgian art scene. This catalogue is also part of this process. On the one hand, there is gratitude for these artists who have continued to work despite hardship, and on the other hand, there is the long and complicated process of integration into Europe, which was and continues to be rather forceful after centuries of isolation. And reflects Georgia of that time. The range of Georgian paintings that this collection has demonstrated is a collection of individual artistic choices that allow us to understand which path each artist has chosen to overcome the limitations of the local context to connect his/her own experience with contemporary tendencies. This picture looks fairly diverse for the Georgian art scene, which happened to be a melting pot of many various tendencies.

In the field of art, the statement of the term "Soviet Nonconformist Art" is connected to Norton Dodge, an American economist and Doctor of Philosophy at Harvard University. He is famous as one of the first collectors of Soviet unofficial art. In the 1960s, Norton Dodge bought the artists' works and smuggled them out of the Soviet Union. In fact, he introduced the art of the so-called Soviet underground to the West, preserving up to 20,000 works in his collection. Georgian nonconformist artists' works are among them. In Georgia, the nonconformist movement was fragmented and spontaneous. The Soviet authorities were outraged by artists' rejection of the official ideology that had been formed in the art field at the time. As a result, they used all measures in their power to control and suppress anti-regime trends in the arts: banning publications, and exhibitions, reprimanding authors, detaining them, and carrying out punitive operations against them. In this atmosphere, the artist had to choose between membership in Communist Party unions, artists' or academic oligarchy, social realism-inspired creativity, serving the governing ideology, and creative freedom, identity, and personal responsibility to the world. The artist would lose material benefits, public, social, and legal guarantees, and the rulers' benevolence when he/she chose to pursue artistic freedom and personal dignity, which would lead him/her and his/her loved ones into an unsafe realm.

In the 1960s and 1970s, nonconformist artists like Avto Varazi, Otar Chkhartishvili, Temo Japaridze, Amir Kakabadze, Vakhtang (Vatia) Davitashvili, Avto Meskhi, Karlo Grigolia, and Zurab Sekhniashvili laid the foundation for unofficial art in Georgia, which marked the beginning of an era of a new culture. The works of Otar Chkhartishvili, Temo Japaridze, Amir Kakabadze, Vakhtang (Vatia) Davitashvili, Avto Meskhi, and Zurab Sekhniashvili enriched the collection of the Museum of Fine Arts, which were purchased directly at the Historical-Ethnographic Museum of Signaghi on November 5, 2021, during the Exhibition of Georgian Non-Conformist Artists.

The works of artists who have made a visible contribution to the development of Georgian graphic art have been selected to be purchased for the collections of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts. Fortunately, the number of Georgian graphic artists is not small, and the task ahead of us - selecting painters whose works a graphics connoisseur would like to add to the museum collections - proved difficult. As a result, at the beginning of this process, we considered relevant data as the primary criterion, focusing on artists whose works were presented in small quantities (Nodar and Mamia Malazonia, Lali Zambakhidze, Loreta Shengelia, Manana Tumanishvili, Zaur Deisadze, Gogi Tsereteli, Karlo Pachulia, Medea Jadze, Lali Lomtadze), or was not presented at all (Giorgi Roinishvili, Tamar Karbelashvili, Givi Vashakidze, Nugzar Medzmariashvili, Malkhaz Kukhashvili, Rusudan Gachechiladze, Nino Zaalishvili, Nana Churgulia, Marine Ivanishvili, Tamaz Varvaridze, Sophio Kintsurashvili, Ia Gigoshvili), at the Collection of the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts. In addition, the artists were chosen according to the sequence of generations, or rather, according to the years in which they began to actively



participate in the creative field and establish themselves, as well as according to their contribution to the development of the history of fine arts of Georgia. It is gratifying that right at the beginning of the project there was an opportunity to purchase the works of Sergi Kobuladze and Irakli Toidze, two of the most important representatives of the first generation of Tbilisi State Academy of Arts first-year graduates who followed in the footsteps of their teachers – Ioseb Sharleman and Evgeni Lansere – and made graphic art one of the leading fields of fine arts in Georgia.

The artists mentioned above are from the generation of the 1950s and '70s, brought up by Sergo Kobuladze and Irakli Toidze who evolved in all directions of Georgian drawing art with their strength and professionalism, whether it is easel graphic or book illustration, poster, Ex-libris, or works created using current technologies (computer graphics).

The artists mentioned above are the graphic artists brought up by Sergo Kobuladze and Irakli Toidze, the generation of the 1950s and the 1970s, who, with their strength and professionalism, have succeeded in all areas of Georgian graphic art: whether it is easel graphic or book illustration, poster, Ex-libris, or works created utilizing new technology (computer graphics). The high level of Georgian graphic art that exists today would be impossible to achieve without the creativity of each of them, the significance and artistic value of which are recognized both in our country and abroad. This is evidenced by the many awards and titles that these artists have won during their participation at local and international exhibitions, competitions, or biennials. The brief information provided in the catalogue can be used to introduce the works by these artists.

Pictures donated by the authors (Ilia Patashuri, Tato Akhalkatsishvili, and others) whose exhibitions have been held at the Dimitri Shevardnadze National Gallery since October 2021 are also included in the catalogue. The works were donated to the collection of the New and Contemporary Georgian Paintings and Graphics of the Shalva Amiranashvili State Museum of Fine Arts of Georgia.









## ვალერიან სიდამონ-ერისთავი

Valerian Sidamon-Eristavi

1889-1943

ვალერიან სიდამონ-ერისთავი ქართული მოდერნიზმის მნიშვნელოვანი ფიგურა - დარგობრივი და ჟანრული მრავალფეროვნებით გამორჩეული მხატვარია. დიდა ვალერიან სიდამონ-ერისთავის წვლილი ქართულ ხელოვნებაში ისტორიული ჟანრის ფერწერის, კინომხატვრობისა თუ სცენოგრაფიის ისტორიისთვის. XX საუკუნის 20-იან წლებში კოტე მარჯანიშვილი სწორედ ვალერიან სიდამონ-ერისთავს იწვევს თეატრში სამუშაოდ და, ფაქტობრივად, ასე იწყება ქართული პროფესიული თეატრის მხატვრობის ისტორია. შემდგომ იგი საოპერო დადგმების გამფორმებლადც გვევლინება... მას „საბჭოთა კინოხელოვნების პიონერსაც“ უწოდებენ. სამშობლოს გასაბჭოების შემდეგ, სხვა მხატვართა მსგავსად, ვალერიან სიდამონ-ერისთავსაც მოუწია იდეოლოგიური რეჟიმისთვის ხარკის გაღება. ე.წ. სოცრეალიზმს ის განსაკუთრებული „ხმამაღალი“ ფერებით ახმოვანებს, ხაზგასმულად სანახაობრივი და დადგმულია ეს ნამუშევრები, სარკაზმნარევი და ირონიულია მათში ასახული საბჭოური რეალობა.

Valerian Sidamon-Eristavi - an important figure of Georgian modernism - stands out with his genre diversity, particular colour palette and compositional skills. He made significant contribution to the development of the historical painting genre, Georgian scenography and film production design: in 1920s, Kote Marjanishvili, Georgian modernist theater and film director, invited him to work in the theatre; and this is how the history of Georgian professional art of scenography began. Sidamon-Eristavi also took an interest in cinema - he is considered as the pioneer of the Georgian film production design. He also worked extensively in the field of opera productions. After the Sovietization of his homeland, like other artists, Sidamon-Eristavi had to pay tribute to the ideological regime. While being obliged to work in the framework of Socialist Realism he mostly created works distinguished with "loud" colours and emphatically spectacular compositions from where a subtle sarcasm and irony seeps through.



ვალერიან სიღამონ-ერისთავი. წითელ ცხენოსანთა შეტევა. 1921. ტილო, ზეთი 174x300 სმ.  
Valerian Sidamon-Eristavi, Attack of the Red Cavalry, 1921, oil on canvas, 174 x 300 cm.




ვალერიან სიღამონ-ერისთავი. წითელი მთესველები. 1920-იანი წლები. ტილო, ზეთი. 27,5x36,3 სმ.  
Valerian Sidamon-Eristavi, The Red Sowers, 1920s, oil on canvas, 27.5x36.3 cm.



ვალერიან სიღამონ-ერისთავი. თბილისი. ასფალტის ქარხანა. 1935. ტილო, ზეთი (ორმხრივი). 40,5x23,5 სმ  
Valerian Sidamon-Eristavi. Tbilisi. Asphalt Plant. 1935. oil on canvas (double sided). 40,5X23,5 cm





ოთარ ჩხარტიშვილი

Otar Chkhartishvili

1938-2006

ოთარ ჩხარტიშვილმა 1970-იან წლებში თავი დაიმკვიდრა წამყვან ქართველ ნონკონფორმისტ მხატვრად. ის მონაწილეობდა 1974 წლის ე. წ. ბულდოზერის გამოფენაში, ასევე ალექსანდრე გლეზერისა და ევგენი რუხინის ბინებში მოწყობილ არასანქცირებულ გამოფენებში. ოთარ ჩხარტიშვილის მჭიდრო კავშირმა მოსკოვის „ანდეგრაუნდის“ მხატვართა წრესთან და 1977 წელს ზიმერლის მუზეუმის მიერ (ნიუ-ჯერსი, აშშ.) მისი კოლაჟის - „სპილოს“ შეძენამ სუკ-ის ყურადღება მიიპყრო. „1960-იანი წლების ბოლოდან 1990 წლამდე ვზიდე ანტისაბჭოთა მხატვრის ჯვარი და ამიტომ ჩემი ხელოვნება ტოტალიტარიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ საბრძოლო იარაღი გახდა“, - ვკითხულობთ მხატვრის ავტობიოგრაფიაში.

ოთარ ჩხარტიშვილის მხატვრულ მემკვიდრეობაში აღსადინებია კონცეპტუალური სერია „წელიწადის ოთხი დრო. ჩემი ეზო“. სერია თვრამეტი წლის მანძილზე შექმნილ ასეულობით ფერწერულ ნამუშევარს მოიცავს და რუსთავში, მხატვრის საცხოვრებელი ბინის ფანჯრიდან დანახულ ეზოს ხედებს ასახავს. აქ პირველად ჩნდება ქართულ ხელოვნებაში ხელოვნებისადმი ანტიფორმალისტური მიდგომა, როცა ესთეტიკური ასპექტი მეორეხარისხოვნად იქცა კონცეფციასთან შედარებით.

Otar Chkhartishvili (1938-2006) established himself as a leading Georgian nonconformist artist. He participated in the so-called „Bulldozer“ exhibition in 1974, as well as in the unsanctioned exhibitions arranged in the apartments of Alexander Glazer and Evgeny Rukhin. Otar Chkhartishvili's close connections with the Moscow Underground Artists' Circle and the purchase of his collage „Elephant“ by the Zimmerli Art Museum (New Jersey, USA.) in 1977 attracted the attention of the KGB. „From the late 1960s to the 1990s, I bore the cross of the anti-Soviet artist, and that's why my art became a weapon against totalitarianism and atheism...“ – wrote the artist in his autobiography.

The conceptual series by Otar Chkhartishvili „Four Seasons - My yard“ (1980-1998) comprises hundreds of paintings created over the course of eighteen years and represents the views of the yard from the window of the artist's apartment in the city of Rustavi (Georgia). In this series the anti-formalist approach to art first appears in Georgian art, when the aesthetic aspect becomes secondary to the conceptual one.



ოთარ ჩხარტიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთები. 2003. ტილო, ზეთი. 58x66 სმ.  
Otar Chkhartishvili, Mountains of Eastern Georgia, 2003, oil on canvas, 58x66 cm.




ვანტანგ (ვატია) დავითაშვილი  
Vakhtang (Vatia) Davitashvili  
1946-2000

ვანტანგ (ვატია) დავითაშვილი ცხოვრობდა თელავში, სწავლობდა კიევის საავიაციო უნივერსიტეტში, დაუახლოვდა იმ დროს კიევში მცხოვრებ კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მისი გატაცება მხატვრობით. მან ფარაჯანოვთან გაიცნო საბჭოთა არაოფიციალური ხელოვნების წარმომადგენლები და თბილისში დაბრუნების შემდეგ ავთო ვარაზის სახელოსნოში დაიწყო მუშაობა.

ვატია დავითაშვილი მუამბოხედ, თავისუფალ ადამიანად შედგა. ერთი შეხედვით, მისი ნაივური, ჭრელი და გადატვირთული ნატურმორტები თუ პეიზაჟები დავითაშვილის გამორჩეულად პერსონალურ მხატვრულ სამყაროს ქმნის.

Telavi was the hometown of Vakhtang (Vatia) Davitashvili. He studied at Kyiv Aviation University and made friends with Sergo Parajanov, a film director who lived in Kyiv at the time. His passion for art emerged during this period. After meeting with representatives of Soviet unauthorized art at Parajanov's, he returned to Tbilisi and began working in Avto Varazi's workshop.

Vatia Davitashvili grew into a rebellious and free man. At first glance, naive, colourful and overcrowded still lifes or landscapes create Davitashvili's uniquely personal artistic world.



ვატია დავითაშვილი. პეიზაჟი. 1991. ზეთი, ორგალიტი. 71x69 სმ.  
Vatia Davitashvili. Landscape. 1991. oil on orgalite. 71x69 cm.



ავთო მესხი

Avto Meskhi

1946-2016

ავთო მესხი ბავშვობიდან ხატავდა... „არ გამომდიოდა ისე ხატვა, როგორც ხალხს მოსწონდა. ვუხსნიდი, რომ მთა, მთა იყო და ქვემოთ რომ არაფერი ეხატა, ასე იყო საჭირო,“ - იხსენებდა მხატვარი. ავთო მესხის შინაგანი პროტესტი იმდროინდელი პოლიტიკური წყობის მიმართ მეტად მძაფრი იყო, რამაც განაპირობა მისი ჩამოყალიბება ნონკონფორმისტად. ის 13-14 წლის ასაკში ავთო ვარაზს უახლოვდება და სწორედ მასთან ეცნობა დასავლურ ხელოვნებას.

ავთო მესხის ნამუშევრები ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა და სრულიად განსხვავდება საბჭოთა პერიოდის ნონკონფორმისტებისგანაც კი. ის სხვადასხვა ტექნიკისა და მასალის გამოყენებით მხატვრულ ზედაპირზე „ახალ რეალობას“ ქმნის. მისი შემოქმედება თანადროული ქართული ხელოვნებისთვის უცხო მხატვრულ მეთოდებსა და მიმართულებებს ასახავს, როგორებიცაა კოლაჟი, კუბიზმი, კონსტრუქტივიზმი თუ აბსტრაქციონიზმი.

Avto Meskhi has been painting since childhood... “I was explaining that it was a mountain and if nothing was painted below, it was needed...” - the artist recalled. Avto Meskhi’s internal protest against the political establishment at that time was very sharp, which led to his formation as a non-conformist. At the age of 13-14, he approached Avto Varazi and became acquainted with Western art.

The artist’s work reflects artistic methods and directions that are not common in modern Georgian art such as collage, Cubism, constructivism or abstractionism.



ავთო მესხი. კომპოზიცია #1. 1987. ქაღალდი, გუაში. 60x40 სმ.  
Avto Meskhi, Composition #1, 1987, gouache on paper, 60x40 cm.



ზურაბ სეხნიაშვილი

Zurab Sekhniashvili

1945-2021

ზურაბ სეხნიაშვილი განათლებით არქიტექტორ-რესტავრატორი იყო. მას აღდგენილი აქვს 60-ზე მეტი ისტორიული ძეგლი, მონაწილეობდა სვეტიცხოვლისა და დავით გარეჯის სარესტავრაციო სამუშაოებში. მის მხატვრად ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ავთო ვარაზმა. ზურაბ სეხნიაშვილმა ხატვა აბსტრაქციით დაიწყო, რაც მისი პროტესტის ერთგვარი ფორმა იყო. მიუხედავად ამისა, მისი ხელოვნება უფრო ესთეტიკურ ჭრილში განიხილება, ვიდრე რეფორმატორულ-ბუნტარულად. აქტიური პიროვნული პოზიციის მიუხედავად, იგი ხელოვნებაში, უმეტესად, სიმშვიდეს ეძიებდა. მისი თქმით, „ალბათ, დრო უნდა გავიდეს... არ მგონია, რომ თავს ვარიდებდეთ რამეს, ალბათ უფრო დამცავი მექანიზმი მუშაობს, ღია ჭრილობებზე საუბარი ძნელია...“

Zurab Sekhniashvili was an architect-conservator. He has restored more than 60 historical monuments, including Svetitskhoveli Cathedral and Davit-Gareja. Avto Varazi had a great influence on his formation as an artist. He started working with abstraction, which was a form of his protest. Nevertheless, Zurab Sekhniashvili's art is considered more aesthetically than reformist-rebellious. Despite his active personal position, he sought most tranquillity in art. He said, "Perhaps time must pass... I do not think we can avoid anything, perhaps a more protective mechanism works, it is difficult to talk about open wounds ..."



ზურაბ სეხნიაშვილი. Le Roi a Paris. 1985. ხე, ლითონი. შერეული ტექნიკა. 70x30 სმ.  
Zurab Sekhniashvili, Le Roi a Paris, 1985, wood, metal, mixed media, 70x30 cm.







თემო ჯაფარიძე. აღდგომა. Temo Japaridze, Easter



თემო ჯაფარიძე

Temo Japaridze


1937-2012

თემო ჯაფარიძის შემოქმედება მრავალმრიანია. იგი ფერწერული ნამუშევრების გარდა, ესეებს, პროზაულსა და პოეტურ ნაწარმოებებსაც ქმნიდა. მხატვრის პირველი გამოფენა 1964 წელს თსუ-ის სააქტო დარბაზში შედგა და ოფიციალურად ის „ფორმალიზმსა და ბურჟუაზიულ ხელოვნებასთან“ გააიგივა. საბჭოეთში მისი ხელოვნება ნონკონფორმისტულად მიიჩნეეს.

ქართულ სახვით ხელოვნებაში თემო ჯაფარიძის მიერ ნახატი-ობიექტების, ასამბლაჟების, სივრცობრივი ობიექტებისა თუ კონცეპტუალური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნების დანერგვა ნოვატორულია. მის ნამუშევრებში მუდმივად თანაარსებობს ნაივურობა, ფსიქოლოგიზმი, ლირიკული რეალიზმი, ეგზისტენციალიზმი, ექსპრესიონიზმი და, იმავდროულად, კონსერვატორული ხედვა.

Temo Japaridze's artworks are multi-layered, comprising essays, prose, and poetry in addition to paintings. The artist's first show was held at the Assembly Hall of Tbilisi State University in 1964, and it was equated with "formalism and bourgeois art" by official bodies. That was considered a non-conformist art form in the Soviet Union.

Drawing objects, assemblages, spatial objects, or other signs featured in conceptual art by Temo Japaridze are regarded as innovative in Georgian fine art. Temo Japaridze's works constantly coexist with naivety, psychology, lyrical realism, existentialism, expressionism and, at the same time, conservative vision.



თემო ჯაფარიძე. ნატურმორტი ბავშვის ფეხსაცმელი. 1975. ტილო, ზეთი, ხე. 40x50 სმ.  
Temo Japaridze, Still Life with a Baby's Shoe, 1975, oil, wood on canvas, 40x50 cm.



მერაბ აბრამიშვილი

Merab Abramishvili

1957-2006

მერაბ აბრამიშვილი 80-იანელთა თაობას ეკუთვნის. მან 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. მერაბ აბრამიშვილის პერსონალური მხატვრული ფორმა იმთავითვე განისაზღვრა. ინტერესი შუა საუკუნეების ფრესკისა და აღმოსავლური მინიატიურისადმი, მონუმენტური ფორმისა და რაფინირებული დეკორატიულობისადმი...და საოცრად ნიჭიერად განხორციელებული სინთეზი მონუმენტურის, დეკორატიულისა და სახვითი გამომსახველობის... ასე გამოიყურება მერაბ აბრამიშვილის მხატვრული კრედიო და მთელი მისი შემოქმედება თითქოს სხვადასხვა ფორმის რეპლიკა ერთხელ არჩეულ ამ შემოქმედებით გზაზე. მხატვარმა შუა საუკუნეებში დამკვიდრებულ ლევკასის ტექნიკას მიმართა და დაზგურ მხატვრობაში ფრესკისათვის დამახასიათებელ ხატოვნებას მიაღწია.

მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრები პირველად 2013 წელს გამოჩნდა სოთბის აუქციონზე, მხატვრის წარმატება საერთაშორისო დონეზე შედგა და მას შემდეგ ის სისტემატურად ფიგურირებს სხვადასხვა საერთაშორისო აუქციონზე.

Merab Abramishvili was a member of the generation of the 1980s. In 1981, he graduated from the Tbilisi State Academy of Arts. His own artistic style was quickly identified. Interest in medieval frescoes and oriental miniatures, as well as monumental forms and exquisite decoration...And an incredibly skilled fusion of monumental, ornamental, and delicate imagery. This is the artistic credo of Merab Abramishvili, and all of his creations appear to be replicas of the various forms he has chosen on his creative path. Abramishvili applied the Medieval Era levkas technique and achieved the characteristic depiction of a fresco in easel painting.

In 2013, a Sotheby's auction featured Merab Abramishvili's works for the first time. The artist's success has been recognized on a large scale, and his works have since been auctioned in other international auctions.



მერაბ აბრამიშვილი. გეთსემანის ბაღი. 2006. ფორფიცარი, ტემპერა. 50x76 სმ.  
Merab Abramishvili, The Garden of Gethsemane, 2006, tempera on cardboard, 50x76 cm.



ირაკლი ფარჯიანი

Irakli Parjiani

1950-2091

ირაკლი ფარჯიანი სვანეთში დაიბადა. მან 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. ირაკლი ფარჯიანის მხატვრული ესთეტიკა და ხელწერა ხელოვნებაში ინდივიდუალობისა და ტრადიციის ურთიერთმიმართების უაღრესად საინტერესო ნიმუშია. მისი შემოქმედების მთავარი თემა სახარებაა. თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნების მიუხედავად, ირაკლი ფარჯიანის ყოველი სურათი მხატვრული სამყაროს ერთი დიდი ხატია. იქნებ ამიტომაც მხატვარი ბუნებრივად აფართოებს ერთი ჟანრის ფარგლებს და, მაგალითად, პეიზაჟში ნატურმორტის ელემენტები შეაქვს... ირაკლი ფარჯიანის მხატვრობის ძირითადი მახასიათებლები – მდიდარი ფერწერულობა, კონკრეტულისაგან გათავისუფლებისა და განზოგადებისაკენ სწრაფვის ტენდენცია მისეული მხატვრული სამყაროს უცვლელი კანონებითაა განპირობებული. ის იკვლევს სახვითი ხელოვნების ისეთ ძირეულ პრობლემებს, როგორებიცაა სინათლისა და ჩრდილის, სივრცისა და სიბრტყის ურთიერთმიმართება. მიღწეული შედეგი შთამბეჭდავია და, შუასაუკუნოვანი ქრისტიანული ხელოვნების მსგავსად, XX საუკუნის ფერწერა ტრანსცენდენტურზე, საკრალურზე გესაუბრება.

Irakli Parjiani was a member of the generation of the 1980s.. He was born in 1950 in Mestia, Svaneti. In 1974 he graduated from the Tbilisi State Academy of Arts. Having developed a signature style of his own, the artist played an extremely important role in the history of Georgian easel painting. The artistic aesthetics and style of Irakli Parjiani provide an interesting example of the connection between individuality and tradition in art. The central theme of his oeuvre is the Gospel. Regardless of theme or genre variation, each of Irakli Farjiani's paintings is a major artistic icon. Perhaps this is why the artist intuitively expands the scope of a single genre, such as by putting still-life components into a landscape painting. The immutable laws of Irakli Parjiani's artistic world condition the primary elements of his painting - rich painting, the tendency to liberate from the concrete and generalize. He explores fundamental issues in fine art, such as the interaction of light and shadow, as well as space and flatness. The result is impressive because twentieth-century painting, like medieval Christian art, calls to the transcendental and sacred.



ირაკლი ფარჯიანი. ბერლინის ციკლი - აბსტრაქცია. 1987. ტილო, ზეთი. 99,5x65 სმ.  
Irakli Parjiani, The Berlin Cycle - Abstraction, 1987, oil on canvas, 99.5x65 cm.





ლევან ჭოღოშვილი  
Levan Chogoshvili

ლევან ჭოღოშვილი (დ.1953) 1973 წლიდან, ფაქტობრივად, არაოფიციალური მხატვარი ხდება და სხვა მხატვრებთან ერთად მონაწილეობს არაოფიციალურ გამოფენებში: ვალერიან სიღამონ-ერისთავის დის ბინაში (1976), თეატრალური საზოგადოების (ე. წ. სტელას) დარბაზში (1977-1978), საბურთალოს სამედიცინო კლინიკის საგამოფენო სივრცესა (1979) და ა. შ. მანამდე კი ყალიბდება ლევან ჭოღოშვილის კონტრპოზიცია - მხატვრულ-ინტელექტუალური, ისტორიულ-პოლიტიკური, კონცეპტუალური დაპირისპირება საბჭოთა იდეოლოგიზირებულ გარემოსა და სახელოვნებო რეალობასთან.

ჯერ კიდევ 1973 წლიდან, იქმნება მისი ყველაზე ცნობილი სერია, ე. წ. ფერწერა-ფოტოებიდან, სურათები-ფოტოებიდან, სადაც ის უკვე მიზანმიმართულად იყენებს ანექსია-გასაბჭოებამდელ დოკუმენტებს-საოჯახო ფოტოსურათებს. 1975 წელს მხატვარი ქმნის „ზურაბ არაგვის ერისთავის მკვლელობის“ პირველ ვერსიას. ასე შემოდის ლევან ჭოღოშვილის შემოქმედებაში ისტორიული დრო და პერსონაჟი - XVII საუკუნის საქართველო. სერია „განადგურებული არისტოკრატია“ (1973-1989) პოლისტილურია, რადგან ერთ მთლიანობად აერთიანებს სხვადასხვა მხატვრულ მეთოდს: თბილისური და ყაჯარული პორტრეტების, არაბული, სპარსული, სომხური მინიატიურის, პოლონურ-სარმატულის, ადრემოტლანდიური პორტრეტის, მოდერნიზმის ენასა და ა. შ. ადამიანები ამ სერიაში, ჩვეულებრივნი, მიწიერნი, როგორც დიმიტრი თუმანიშვილი წერს, „არადროითობაში“ არსებობენ და ამით ლევან ჭოღოშვილი თითქოს „დროს აუქმებს“.

Levan Choghoshvili (b. 1953) followed the path of informal artists in 1973 and participated in several unofficial exhibitions held in the apartment of the sister of Valerian Sidamon-Eristavi (1976), in the Stella hall of the Union of Theater workers (1977), and the Saburtalo medical clinic (1979), as well as many others. Before this, Levan Choghoshvili had already had his firm counter-position that is an artistic, intellectual, historical, political and conceptual confrontation with the Soviet ideological environment and artistic reality.

Back in 1973, he created his most famous series of artworks - paintings from photographs - where he purposefully used family photos of the pre-Sovietization era Georgian aristocracy. In 1975, the artist created the first version of "The Assassination of Zurab Aragvi Eristavi"... This is how Levan Chogoshvili entered the field of historical painting and characters of the 17th century. A series of Destroyed Georgian Aristocracy (1973-1989) is diverse in style because it combines different inspirations and methods be it Tbilisi portraiture, Qajar paintings, or Arabic, Persian, and Armenian miniatures; Polish-Sarmatian and early Scottish portraits or modernism. Dmitri Tumanishvili writes: real people in his series exist in the "out of temporal mode" and thus Levan Choghoshvili, as it were, "cancels time".



ლევან ჭოლოშვილი. სერიიდან განადგურებული ქართული არისტოკრატია. 2014. ტილო, ტემპერა. 105×90 სმ.  
Levan Chogoshvili. From the series - Exterminated Georgian Aristocracy, 2014, Tempera on canvas, 105x90 cm.



ქეთევან მატაბელი  
Ketevan Matabeli

ქეთევან მატაბელმა (დ.1953) 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. ის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების, კოლაჟებისა და ასამბლაჟების ავტორია. მხატვრის მიერ შექმნილი ფოლიანტები, სხვადასხვა მასალით დატვირთული კოლაჟები, წიგნის ილუსტრაციები ხელოვანის ინდივიდუალური ხელწერითაა აღბეჭდილი.

ქეთევან მატაბელის ცნობილი ფერწერული სერია „ძველი თბილისი“ 1984 წელს შეიქმნა. მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისათვის“, რომელზეც მუშაობა მან 2009 წელს დაიწყო. 2014 წელს კი მხატვრის მიერ დასურათებული ვეფხისტყაოსანი ებრაულ ენაზეც გამოიცა.

ქეთევან მატაბელმა თავის სტუდენტებთან ერთად საქართველოში პირველად მოაწყო გამოფენა ბრაილის ანბანის გამოყენებით, სადაც ობიექტებზე მუხებით ხდება სამყაროს აღქმა და შეგრძნება მხედველობადაქვეითებულთა ან სრულიად უსინათლო ადამიანებისთვის.

Ketevan Matabeli (b.1953) - painter and graphic artist, distinguished herself by collages and assemblages. Her collages are the compositions decorated with various materials and original handwriting. They create a diverse and fabulous, as well as unique world.

She created a series of paintings "Old Tbilisi" (1984), and staged theatrical and TV performances. Her book illustrations are distinguished by exquisite aesthetics. The series of illustrations she created for the poem "The Knight in the Tiger's Skin" are especially noteworthy (2009). It was published three times: in 2009 and 2012, and in Hebrew in 2014.

Ketevan Matabeli and her students organized the first exhibition in Georgia using the Braille alphabet, where the touching of the objects make the perception of art accessible for the visually impaired or completely blind persons.



ქეთევან მატაბელი. ქაშვეთის ეკლესია. 1985. ტილო, ზეთი. 160x73 სმ.  
Ketevan Matabeli, Kashveti Church, 1985, oil on canvas, 160x73 cm.



ლევან ლაღიძე  
Levan Lagidze

ლევან ლაღიძე (დ. 1958) 80-იანელთა თაობის ქართველ მხატვართა წარმომადგენელია. სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში ტერმინის, „80-იანელთა თაობის“, შემოტანა ლევან ლაღიძის სახელს უკავშირდება. მან 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ლევან ლაღიძეს თქმით, „მხატვრობა იწყება არა მაშინ, როცა შეგიძლია ხატო, არამედ როცა არ შეგიძლია არ ხატო...“- ეს ზუსტი ფორმულაა ბევრი ხელოვანის შემთხვევაში და ეს ლევან ლაღიძის შემთხვევაცაა. ლევან ლაღიძე გამორჩეული პერსონალური ფერწერული დისკურსით ეწერება ქართულ არტ-სივრცეში, ხელოვანი, რომელთანაც ჰარმონიულად ერწყმის რაციონალური და მეტაფიზიკური... ის თანმიმდევრულია შემოქმედებით გზაზე, თანმიმდევრულია, გაცნობიერებული, რაფინირებული აზროვნების წესით, მარადიული საიდუმლოს ძიების მუდმივად ცოცხალი მუხტით. მისთვის მხატვრობა შემეცნების ფორმაა. მის ტილოებთან განმარტოება გინდება...როცა ცხადად შეიგრძნობ, რომ შემეცნების პროცესის მთავარი ხიბლი საიდუმლოების განცდაა.

2011 წელს, თბილისში, მხატვარმა საკუთარი გალერეა- “Lagidze Gallery” გახსნა. 2018 წლიდან ლევან ლაღიძე თანამშრომლობს ბრიტანეთში მოღვაწე ამერიკელ კურატორ ქეთრინ ლევინთან და ყოველწლიურად ლონდონში მისი სოლო გამოფენები იმართება.


Levan Lagidze (b. 1958) is a representative of the artists' generation of 1980s. The introduction of the term “Generation of the 80s” into scientific and popular literature is associated with him.

In 1981, he graduated from the Tbilisi State Academy of Arts.

In his opinion: “Painting does not begin when you can paint, but when you are unable to do so without painting...”

Lagidze's precise formula is applicable to a wide range of artists, as well as to Levan Lagidze himself. He harmoniously integrates rational and metaphysical, gets involved in the Georgian art process with his unique personal pictorial discourse. He is consistent on the creative path, with a mindful, refined way of thinking and the never-ending endeavor of discovering an eternal secret. For him painting is a form of gaining awareness. You desire to be alone with his paintings... Once you realize that the feeling of mystery is the major draw of the cognition process.

In 2011, the artist opened his own “Lagidze Gallery” gallery in Tbilisi. Since 2018, Levan Lagidze has been collaborating with the American curator Kathryn Levin, who works in the UK, and his solo exhibitions are held annually in London.



ლევან ლაღიძე. კომპოზიცია. 2021. ტილო, ზეთი. 73 x 60 სმ.  
Levan Laghidze, Composition, 2021, oil on canvas, 73X60 cm.



გელა მანჯავიძე  
Gela Manjavidze

გელა მანჯავიძე (დ.1958) ქართველ მხატვართა 80-იანელთა თაობას ეკუთვნის. მან 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

„როგორც წითლიდან იისფერამდე, ცხოვრება მხატვრის ნაირფერია“ - ეს ფერმწერ გელა მანჯავიძის განაცხადია. გელა მანჯავიძის თაობის მხატვრებმა ქართული ფერწერის ისტორიის ახალი ფურცელი შექმნეს. „რკინის ფარდა“ გაიხსნა და დასავლეთმა აღმოაჩინა სამყარო (ქართველი მხატვრები) განსხვავებული ისტორიითა და შემოქმედებითი პოტენციალით. გელა მანჯავიძე დასავლელი კურატორების რჩეულ ხელოვანთა შორის აღმოჩნდა. საქართველოს საგამოფენო სივრცეების პარალელურად მხატვრის შემოქმედებითი მოღვაწეობა იშლება საქართველოს საზღვრებს მიღმა. 1990 წელს მხატვრის ხელოვნება იფინება პარიზში, ლუქსემბურგში, სიეტლში, ჩიკაგოში, ტაკომაში, 1993 წელს-ტურინში, 1994 წელს-ბონსა და ელ-ქუვეიტიში და ა.შ. დროთა განმავლობაში იცვლება გელა მანჯავიძის მხატვრული სტილი, პალიტრა. უცვლელი რჩება შემოქმედებითი კრედო-ფერწერის მეტყველება თავისი სახვით-გამომსახველობითი მრავალფეროვნებით.

Gela Manjavidze (b. 1958) is a member of the 80s generation of Georgian painters. In 1980, he graduated from the Tbilisi Academy of Arts.

“The life of an artist is colourful, like a spectrum of colours ranging from red to purple,” said painter Gela Manjavidze. Artists of Gela Manjavidze’s generation have written a new chapter in Georgian painting history. The “Iron Curtain” was opened and the West discovered a world (Georgian artists) with a distinct history and creative potential. Gela Manjavidze has become one of the Western curators’ favourite artists. Parallel to Georgian exhibition spaces, the artist’s creative activity expanded beyond Georgian borders. The artist’s work was shown in Paris, Luxembourg, Seattle, Chicago, and Takoma in 1990; in Turin, in 1993; and Bonn and Kuwait in 1994, among other places. Gela Manjavidze’s artistic style and colour palette evolve. With its fine-grained diversity, the discourse of creative credo-painting remains unchanged.



გელა მანჯავიძე. დასი. 1985. ტილო, ზეთი. 160x190 სმ.  
Gela Manjavidze, Troupe, 1985, oil on canvas, 160X190 cm.





გია ბუღაძე  
Gia Bugadze

გია ბუღაძე (დ. 1956) ზედმიწევნით პიროვნული მხატვარია. მას შეუძლია მიმართოს ნებისმიერ სტილს და გამოხატოს ამ სტილის ძირითადი არსი. იგი შეიძლება იყოს მშვიდი ნეორომატიკოსი, თუ მას ასე სურს, ან ექსპრესიონისტი, ან რომანტიკოს-მისტიკოსი. იგი შეიძლება მოგვევლინოს საჯარო მხატვრად, რომელსაც ახასიათებს საჯარო პოლიტიკური გამოსვლები ან ითამაშოს იდუმალი ფსევდოისტორიებით, ან მოგვევლინოს ინტიმისტად, რომელსაც აინტერესებს პირადი დეტალები, ან თავის ხელოვნებაში შემოიტანოს რელიგიური თემატიკა. გია ბუღაძის შემოქმედების მრავალ განსხვავებულ თვისებას შორის უნდა აღინიშნოს ის, რომ ის თავის ნამუშევარს ყოველთვის მთლიანობაში აღიქვამს, არ თამაშობს რაიმე მარტივ კონცეპტუალურ თამაშს, არ უარყოფს თავის არც ერთ მიდგომას იმის განცხადებით, რომ ახლა დაკავებულია აქციონიზმით ან ქუჩის ბანერის გაკვრით, ან კედლის ალუზიებით.

“გია ბუღაძე შემოქმედების მნიშვნელობას ანთროპოლოგიური ჭრილიდან განსაზღვრავს: შემოქმედება - ეს უმძაფრესი ინტენციაა თანამედროვე ადამიანისა, რომელსაც სურს, რომ გადარჩეს როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, პიროვნულად და ნაციონალურად, ხოლო რაც შეეხება „end art“-ს, იგი აპოკალიფსურ დასასრულს კი არ მიუთითებს, არამედ სვამს უკანასკნელ, მარადიულსა და აბსოლუტურ შეკითხვებს ადამიანისა და კაცობრიობის წინაშე..“ ( ხათუნა ხაბულიანი. ჟურნალი - აპრილი, #15(160)).

Gia Bugadze (b. 1956) is considered to be exceptionally personal artist. He has demonstrated an exceptional skill to work in every conceivable style and movement and fully express its essence. At different stages of his artistic life he has revealed himself as either a calm neo-romanticist, expressionist or romantic-mystics. Gia Bugadze also figures as a public artist characterized by politically addressed speeches or plays with mysterious pseudo-histories; sometimes he may appear as an intimist one, only interested in his own personal details, or addresses religious themes. Among many different features, it should be noted that Gia Bugadze perceives his painting as a whole. He does not play any simple conceptual game; he does not reject any of his approaches by claiming that he is engaged in activism, in sticking banners or in wall painting.

Gia Bugadze defines the importance of creativity from an anthropological point of view: “Creativity - this is the strongest intention and endeavor of a modern man, who wants to survive both physically and spiritually, personally and nationally” and with regard to “the end of art” ,” he does not points out to the apocalyptic end, but asks the last, eternal and absolute questions concerning a human being and mankind (Khatuma Khabuliani. Magazine - Aril, # 15 (160).



გია ბუღაძე. სერიიდან - Olim - ოდესლაც, საფლავად დადგბა. 2017. ტილო, ზეთი შერეული ტექნიკა. 120x180 სმ.  
Gia Bughadze, From the series - Olim, The Entombment of Christ, 2017, oil, mixed media on canvas, 120X180 cm.



მამუკა ცეცხლაძე  
Mamuka Tsetskhladze

მამუკა ცეცხლაძე (დ.1960) 1980-1986 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1984 წელს მამუკა ცეცხლაძე მხატვრებთან - კარლო კაჭარავასთან, გია ლორიასა და გოგა მაღლაკელიძესთან ერთად აყალიბებს ჯგუფს „არქივარიუსი“. 1985 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის მეათე სართულზე მამუკა ცეცხლაძისთვის დროებით დათმობილ სახელოსნოში ყალიბდება ახალგაზრდა მხატვრების არაფორმალური გაერთიანება „X სართული“. 1987 წელს „X სართულის“ ჯგუფი სამუშაოდ გადადის მარჯანიშვილის თეატრის სახელოსნოში, სადაც მამუკა ცეცხლაძე მხატვარ-დეკორატორად იწყებს მუშაობას. სხვა მხატვრებიც უერთდებიან ჯგუფს და ის „მარჯანიშვილის სახელოსნოს“ სახელითაა ცნობილი (1991 წლის ჩათვლით). 1987 წელს შედგა ჯგუფის წევრების პირველი გასვლითი გამოფენა ბერლინში (აღმოსავლეთი ბერლინი). 1996 წელს იყო თბილისის თანამედროვე ხელოვნების | საერთაშორისო ბიენალეს კურატორი და მონაწილე.

2008 წელს დაასურათა ლევან გველესიანის წიგნი – „მოგითხრობთ შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს“. პოემის გამოცემისათვის შეიქმნა სხვადასხვა ზომის 90-მდე ილუსტრაცია. „ვენომენალურია მამუკა ცეცხლაძე - მამინვე წარმოდგენელი ტექნიკა ჰქონდა. საიდან შეეძლო აეთვისებინა ეს XVII ან XIX საუკუნის მხატვრული ხერხები ასეთ ზომამდე, ასეთი უცდომელობით, საერთოდ ვერ ვხვდები - ნანახიც არ ექნებოდა; სად უნდა ენახა?! ის სურათები საბჭოთა მუზეუმებშიც კი არ იყო! მაშინ, ჰოლანდიაში უნდა წასულიყო და, ზუსტად ვიცი - არ წასულა“- ნაწყვეტი წიგნიდან “დიმიტრი თუმანიშვილი - XX საუკუნის ქართული ხელოვნება და მისი ისტორიული კონტექსტი”. მამუკა ცეცხლაძის ნამუშევრები დაცულია საქართველოს, უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ის, რუსეთის, თურქეთის კერძო და სახელმწიფო კოლექციებში.

Mamuka Tsetskhladze (b.1960) studied at the Tbilisi Academy of Arts from 1980 to 1986. In 1984, Mamuka Tsetskhladze formed the group „Archivarius“ along with artists Karlo Kacharava, Gia Loria, and Goga Maghlakelidze. In 1985, on the tenth floor of the Tbilisi Academy of Arts, in the studio temporarily given to Mamuka Tsetskhladze, “10th Floor” - an unofficial union of young artists - was formed. In 1987, the group “10th Floor” moved to the Marjanishvili Theater’s studio, where Mamuka Tsetskhladze started working as an artist-decorator. Other artists joined the group, which then became known as “Marjanishvili’s Studio” (till 1991). In 1987, the first group’s exhibition abroad took place in Berlin (East Berlin). In 1996 he was the curator and participant of the Tbilisi International Biennale of Contemporary Art.

In 2008, he illustrated Levan Gvelesian’s book - Story about Shota Rustaveli’s The Knight in the Panther’s Skin. For the publication, up to 90 illustrations of various sizes were created. “Mamuka Tsetskhladze is a phenomenal artist - he had an incredible technique from the beginning. It’s hard to understand how he could have mastered such seventeenth-or nineteenth-century artistic methods to such an extent, with such infallibility-he couldn’t have seen it; where could he see it?! Those pictures were not displayed even in Soviet museums! In that case, he had to go to Holland and, I know for sure, he did not go.” - excerpt from the book (Dimitri Tumanishvili - Georgian Art of the XX Century and its Historical Context). Mamuka Tsetskhladze’s works are preserved in private and public collections in Georgia, Hungary, Germany, France, the USA, Russia, and Turkey.



მამუკა ცეცხლადე. თბილისი. 2015. ტილო, აკრილი. 300×200 სმ.  
Mamuka Tsetskhadze, Tbilisi, 2015, acrylic on canvas, 300 × 200 cm.



ნიკო ცეცხლაძე  
Niko Tsetskhladze

ნიკო ცეცხლაძე (დ. 1959) 1980-იან წლებში იყო ხელოვანთა არაფორმალური ჯგუფების - „X სართულისა“ და „მარჯანიშვილის სახელოსნოს“ წევრი. ამავე წლებიდან მონაწილეობს სხვადასხვა სახელოვნებო პროექტსა და გამოფენაში. ძალიან დიდი მუხტის მქონე 1990-იანი წლების დასაწყისში ნიკო ცეცხლაძემ და ოლეგ ტიმჩენკომ ღია, საჯარო სივრცეში - მიწისქვეშა გადასასვლელში აჩვენეს საქართველოში ერთ-ერთი პირველი პერფორმანსი. ნიკო ცეცხლაძე აწყობდა გამოფენებს „ქარვასლის“ ახალგაზსნილ საგამოფენო დარბაზებში, შემდეგ კი იყო ბერლინი, როცა პუბლიცისტი და მთარგმნელ ეკე მაასის სახლში აწყობდა ექსპრესიონისტული ნახატების გამოფენებს. რამდენიმე ნამუშევარი ნიკო ცეცხლაძემ და სერგო ფარაჯანოვმა ერთად შექმნეს და დღეს ისინი სომხეთში, სერგო ფარაჯანოვის მუზეუმში, ინახება. ნიკო ცეცხლაძის ცხოვრებაში ძალიან ბევრი საინტერესო პერფორმანსი იყო. აღსანიშნავია ე. წ. „ქარვასლის პერფორმანსი“, რომელიც საბჭოთა ფულის გაუქმებისა და გაუფასურების თემას ეხებოდა; პერფორმანსი ბალტიისპირეთში, ნარვაში, ბელორუს მხატვარ იგორ კამკურევიჩთან ერთად. ნიკო ცეცხლაძე თემურ ნოვიკოვთან, ოლეგ კატელნიკოვთან და სხვა ხელოვანებთან ერთად აწყობდა საინტერესო პერფორმანსებს პეტერბურგში. მისი ნახატები მონტენეგროს „ბიენალეზე“ ცნობილი მოსკოველი მხატვრების, მათ შორის, კონცეპტუალისტი მხატვარ ილია კაბაკოვის ნამუშევრებთან ერთად იფინებოდა. იყო გამოფენები ბერლინში, ნანტში, პარიზში ... 2009 - „დაბადებული საქართველოში“, კობრას მუზეუმი, ამსტერდამი, ჰოლანდია; 2007 - სტამბულის ბიენალე, გალერეა Siemens Sanat, თურქეთი, 1998 - „ტრანსფორმაცია“, Friedrichgalerie, კიოლნი, გერმანია, 1997 - გალერეა ifa, ბერლინი, გერმანია. დღეს ნიკო ცეცხლაძე ცხოვრობს და მუშაობს თბილისში.

In the 1980s, Niko Tsetskhladze (b. 1959) was a member of the unofficial groups of artists – “10th Floor” and “Marjanishvili’s Studio”. Since that period, he has been participating in various art projects and exhibitions. Niko Tsetskhladze and Oleg Timchenko conducted one of the first performances in Georgia in an open, public space – in the underground passage - in the early 1990s. Niko Tsetskhladze organized exhibitions in the newly opened exhibition halls of Caravanserai and then went to Berlin, where he arranged exhibitions of expressionist paintings at the home of publicist and translator Eke Maas. Niko Tsetskhladze and Sergo Parajanov have created several works together, and today they are kept in the Sergo Parajanov Museum in Armenia. There were many interesting performances in Niko Tsetskhladze’s life. It is noteworthy that the so-called “Performance of Caravanserai”, which was about the abolition and devaluation of Soviet currency; Performance occurred in Baltic Country, in Narva, together with Belarusian artist, Igor Kashkurevich. Niko Tsetskhladze with Temur Novikov, Oleg Katelnikov, and other artists organized fascinating performances in St. Petersburg. His paintings were exhibited at the Montenegro Biennale, along with works by famous artists from Moscow, including conceptualist Ilya Kabakov. Then there were exhibitions in Berlin, Nantes, Paris, etc. In 2009 – exhibition „Born in Georgia“ in Cobra Museum of Modern Art, Amsterdam, The Netherlands; In 2007 - 10th International Istanbul Biennial; exhibition at „Siemens Sanat Art Gallery“ in 1998, Turkey; exhibition „Transformation“ in Friedrichgalerie, Koln, Germany, in 1997; Exhibition at „ifa Gallery“, Berlin, Germany. Niko Tsetskhladze lives and works in Tbilisi.



ნიკო ცეცხლაძე. იზოლაციაში/27.03.-31.05. კვადრიფტიქი. 2020. ტილო, აკრილი. შერეული ტექნიკა. 135x187 სმ, 135x187 სმ.  
Niko Tsetskhladze, In isolation/March 27-May 31.2020/ quadriptych, acrylic, mixed media on canvas, 135x187 cm. 135x187cm,



ოლეგ ტიმჩენკო  
Oleg Timchenko

ოლეგ ტიმჩენკო (დ. 1957) ერთ-ერთი წევრია 1980-იანი წლების დასასრულისა და 1990-იანი წლების დასაწყისში მოქმედი ავანგარდული ჯგუფისა, რომელიც „X სართულის“ სახელითაა ცნობილი. ამ ჯგუფის წევრებმა პოსტმოდერნისტული ხელოვნების გააზრება და საკუთარ კონტექსტში მისი წარმოდგენა დაიწყეს ცვლილებებისკენ მიმართული „პერესტროიკის“ პერიოდში. მაშინ ქართული აუდიტორია არ იცნობდა ფორმატებს - არტისტულ აქციასა ან პერფორმანსს. აბსტრაქტული მხატვრობაც მხოლოდ დისიდენტურ პოზიციასთან ასოცირდებოდა. ოლეგ ტიმჩენკო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ამ ფორმატებს სთავაზობდა ქართველ საზოგადოებას. აქტუალურსა და პრობლემურ თემებზე არტისტული რეაქციების პარალელურად ოლეგ ტიმჩენკოს მხატვრობაში მუდმივ თემად რჩება ისტორია, ლიტერატურა, რომანტიზმისა და სიმბოლიზმის მემკვიდრეობა. მისი შემოქმედების მოყვარულთათვის განსაკუთრებულ ადგილას დგას ემოციურად დატვირთული, ერთგვარად განყენებული მდგომარეობები, სადაც მედიტაციური ტრანსი ვიზუალურ გამოსახულებადაა ქცეული და ბუნებასთან განუყოფლობას, მისი ენის „ცოდნასა“ და ერთგვარ უსასრულო არსებობას აჩვენებს. ამგვარია „დუმილი“, როცა არყის ხეების ტყე მუსიკალურ ჟღერადობას იძენს თავისი რიტმითა და, ამავე დროს, მარადიულთან შეხებით, ისევე, როგორც ბუნებასთან სრულად შერწყმული წყვილი „დიდილოების მინდორზე“.

ოლეგ ტიმჩენკო არის მხატვარი, რომელიც რომანტიკულ-სიმბოლისტური ხილვების პარალელურად კონცეპტუალურ პერფორმანსს წარმოგვიდგენს, ან სრულიად დეკორატიულ-ზღაპრულ სერიას მისთვის სახასიათო მსუბუქი იუმორით მოსავს.

Oleg Timchenko (b. 1957) was a member of the avant-garde group of the late 1980s and early 1990s, known as the “10th Floor.” Members of this group began to comprehend postmodernist art and express it in their own context during the time of “Perestroika,” which was aimed at change. The Georgian public was unfamiliar with the formats - artistic activity or performance - at the time. Abstract painting was also only associated with a dissident position. Oleg Timchenko was one of the first to introduce these formats to Georgian society.

As artistic responses to contemporary and problematic issues, Oleg Timchenko’s work includes history, literature, romanticism, and symbolism. For admirers of his work, a special place is occupied by emotionally charged, somewhat isolated states/conditions, in which the meditative trance is transformed into a visual image and demonstrates the inseparability from nature, the “knowing” of his language, and a kind of limitless existence. Such is the “silence” when the forest of birch trees gains a musical tone with its rhythm and, at the same time, a touch of eternity, as well as a couple fully integrated with nature in “At the field of Cornflowers.”

Oleg Timchenko is an artist who uses his distinctive light humour to create a completely decorative fairy-tale series or presents a conceptual performance alongside romantic-symbolic visions.



ოლეგ ტიმჩენკო. ბრმები. 2021. ტილო, აკრილი. 155x200 სმ.  
Oleg Timchenko, The Blinds, 2021, acrylic on canvas, 155x200 cm.





კარლო კაჭარავა

Karlo Kacharava


1964-1994

კარლო კაჭარავამ (1964-1994) , მხატვარმა, პოეტმა და არტკრიტიკოსმა 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1986-1994 წლებში იყო გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. 1988–1990 წლებში მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმებში, სემინარებსა და ფესტივალებში (ბაკურიანი, ნარვა, პალანგა, სენეჟი, პარიზი, ბარსელონა). ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად 1989 წელს იყო ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედკოლეგიის წევრი; 1990 წელს- ხელოვნების კრიტიკოსთა ასოციაციის გამგეობის წევრი; 1991 წელს კი მუშაობდა ფრანსუაზა ფრიდრიხის გალერეაში (კიოლნი, გერმანია). გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი. მონაწილე იყო (სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც) 40-მდე გამოფენისა. გარდაცვალების შემდეგ საქართველოსა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ (თბილისი, ნიუ-იორკი, მარბურგი) ჩატარდა მისი 14 პერსონალური გამოფენა. 1997 წელს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიენიჭა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემია. 2006 წელს გამოიცა კარლო კაჭარავას ნაშრომების ორტომეული. 2012 წელს - მისი სურათების ალბომი და რჩეული ლექსების კრებული- „ასი ლექსი“. იმავე წელს გოეთეს ინსტიტუტმა გამოსცა კარლო კაჭარავას კიოლნის დღიურების ალბომის ფაქსიმილე; 2014 წელს გამოიცა მისი ლექსების კრებული „მონოლოგი“, ასევე „მგზავრობის ანგელოზი“, დღიურები“, ხოლო გოეთეს ინსტიტუტმა ითავა გამოცემა კარლო კაჭარავას ქართულ-გერმანული ალბომისა „კარლო და გერმანია“.

Karlo Kacharava (1964-1994) – an artist, a poet, and an art critic - graduated from the Faculty of Arts of the Tbilisi State Academy of Arts in 1986. From 1986 to 1994, he was a researcher at the Giorgi Chubinashvili Institute of Georgian Art History. From 1988 to 1990, he participated in international symposiums, workshops, seminars, and festivals (Bakuriani, Narva, Palanga, Senezh, Paris, Barcelona). In 1989, he was a member of the editorial board of the magazine “ლიტერატურა და ხელოვნება” (Literature and Art), while working at the Institute of Art History; 1990 - Member of the Board of the Art Critics Association; In 1991, he worked at the “Fransuaza Friedrichs Gallery” (Cologne, Germany). He had published 30 scientific papers. He participated (in life and after death) in up to 40 exhibitions. After his death, 14 of his solo exhibitions were held in Georgia and abroad (Tbilisi, New York, Marburg). He was awarded the Giorgi Chubinashvili State Prize in 1997 for his contribution to Georgian art history. A two-volume set of Karlo Kacharava’s works was published in 2006, and in 2012, his picture album and collection of favourite poems – “ასი ლექსი” (One Hundred Poems). In the same year, the Goethe Institut published a facsimile of Karlo Kacharava’s Cologne diary album; in 2014, a collection of his poems “მონოლოგი” (Monologue) was published, as well as “მგზავრობის ანგელოზი” (Angel of Journey), Diaries, and the Goethe Institute published Karlo Kacharava’s Georgian-German album “Karlo and Germany”.



კარლო კატჩარავა. LEBEN, LEBEN, LEBEN. 1987. მუყაო, ტუში, ტემპერა, ზეთი შერეული ტექნიკა. 62x42 სმ.  
Karlo Kacharava. LEBEN, LEBEN, LEBEN. 1987. oil, ink, tempera, mixed media, cardboard. 62x42 cm.



გია ედგვერადე  
Gia Edzgeradze

გია ედგვერადემ (დ.1953) 1989 - 1996 წლებში ცხოვრობს და მუშაობს მიუნხენში (გერმანია).1996 წლიდან კი საცხოვრებლად გადადის ლიუსელდორფში (გერმანია). გია ედგვერადის სამუშაო მედიუმი მრავალფეროვანია - ფერწერა, სკულპტურა, პერფორმანსი, ვიდეო, ფოტოგრაფია, ტექსტი. მისი ნამუშევრები ასახავს მხატვრის მჭიდრო კავშირს ხელოვნების ისტორიასთან, ფილოსოფიასთან, პოლიტიკასა და თეორიასთან.

1980-იანი წლებიდან, აბსტრაქციებთან ერთად, ის ქმნის ე.წ. შავ-თეთრ სერიას, ტიპიურ კონცეპტუალისტურ ნამუშევრებს, სადაც ის უარყოფს ნამუშევრის გრძობად, ემოციურ აღქმას და აქცენტი გადააქვს მის ინტელექტუალურად გაგნობიერებაზე, ნამუშევრის აღქმიდან მისი იდეის მიღებაზე. ამ სერიის შესახებ კარლო კაჭარავა შენიშნავს: “გია ედგვერადემ უკვე 80-იანი წლების დასაწყისში მიაგნო თეთრ ფონზე შავით თითქმის კალიგრაფიულად წერის მისთვის უნივერსალურ მეთოდს, როგორც საშუალებას კონცეპტუალური ნიშნების და იდეების აქტუალიზაციისათვის”.

1990-იანი წლების დასაწყისიდან გია ედგვერადე აქტიურად იფინება როგორც საქართველოში, რუსეთში, ასევე ევროპაში, აშშ-ში, ტეიტ მოდერნი (ლონდონი), ვენეციის ბიენალე, კერძო და სამუშეუშო გამოფენები - ბერლინი, შტუტგარტი, ამსტერდამი, ბუდაპეშტი... „როგორც ჩანს, კონცეპტუალური სიურეალიზმის სტილის, რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა, როგორც საერთო ენა მოწინავე ხელოვნებისა, მთავარი სათქმელი, უფრო კიდევშია გადანაწილებული, ვიდრე ცენტრში. მათ შორის, ვინც, შეინარჩუნა და განავრცო ლუშამის ტრადიციის კომიკური, მხიარული მხარე არის ქართველი მხატვარი გია ედგვერადე. იგი გვთავაზობს უმი სტაფილოსა და მარცვლეულის სუფთა, არომატულ ინსტალაციას. შესაძლოა, იმიტომ, რომ საზოგადოებებში „მოდერნისტების“ პოზიცია, რომ აღარაფერი ვთქვათ „პოსტმოდერნისტებზე“, გარკვეულწილად ჯერ კიდევ აბსურდულია და თითქოს მათი ხელოვნებაც ამაყია თავისი აბსურდულობით“. (ნიუ იორკერი -The New Yorker. 14.07.1997).

Gia Edzgeradze (b. 1953) 1989 - 1996 Lives and works in Munich (Germany). In 1996 he moved to Düsseldorf (Germany). Gia Edzgeradze's working medium is diverse - painting, sculpture, performance, video, photography, text. Gia Edzgeradze's work comes out of a rigorous engagement with art history, philosophy, politics and theory.

Since the 1980s, along with abstractions, he has been creating so-called black-and-white series, typical conceptual works, where he rejects the sensual, emotional perception of the work and focuses on the idea and its intellectual comprehension. Karlo Kacharava notes about this series: “Gia Edzgeradze found an almost universal method of writing almost calligraphically in black and white on a white background in the early 1980s, as a means of actualizing conceptual signs and ideas”. Since the beginning of the 1990s, Gia Edzgeradze has been actively exhibiting in Georgia, Russia, as well as in Europe and USA, the Tate Modern, the Venice Biennale, private and museum exhibitions - Berlin, Stuttgart, Amsterdam, Budapest. “The theme is that the style of conceptual surrealism which has spread throughout the world as the common language of advanced art seems to have more juice and spice along the edges than in the centre. Among those who seem to have kept alive the comic, larksome side of the Duchampian tradition is Georgian artist Gia Edzgeradze, who offers a neat, fragrant installation of raw carrots and grain. Perhaps it is because the situation of a “modern,” let alone a postmodern, artist in those societies is still in some ways absurd that their art still seems proud of its absurdity.” - The New Yorker, July 14, 1997.



გია ედგვერაძე. Twilight - Coming the Narrow Door. 2021. ქაღალდი, ზეთი. 60x40 სმ  
Gia Edzgeradze. Twilight - Coming the Narrow Door. 2021. oil on paper. 60x40 cm



ილია ზაუტაშვილი  
Ilia Zautashvili

ილია ზაუტაშვილი (დ.1952), მულტიმედია არტისტი, მრავალი ლოკალური და საერთაშორისო გამოფენის და სახელოვნებო ღონისძიების მონაწილე ნიუ იორკიდან სეულამდე, შემოქმედებითი ჯგუფების და ინსტიტუციური ინიციატივების დამფუძნებელი, საკურატორო პროექტებისა და კრიტიკული ესეების ავტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მოწვეული პროფესორი. ადამიანური განზომილება, მეტაფიზიკური კვლევა და მუდმივი ტრანსფორმაცია ილია ზაუტაშვილის შემოქმედების სამი ძირითადი პერსპექტივაა. პირველი იმ რეალობის კვლევაა, რომელიც უშუალოდ ადამიანს უკავშირდება, მეორე ემპირიული სამყაროს მიღმა არსებული რეალობით ინტერესდება, ხოლო მესამე სამყაროს მუდმივ ცვალებადობას ეხმაურება. განსხვავებული კონტექსტების გამოყენების ფონზე, მხატვარი თავისუფლად მანიპულირებს მულტიმედია საშუალებებით. ტექსტი, ობიექტი, იმიჯი, სივრცე, საუნდი მისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. თავის ნამუშევრებში ზაუტაშვილი ცდილობს გაადრმავოს და განავრცოს თანამედროვე ესთეტიკა, რათა თქვას უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ემპირიული ან ემოციური გამოცდილებაა. „ხელოვნება არ არის სოციუმის მონა“ - ამბობს ილია ზაუტაშვილი და ცდილობს თავისი შემოქმედება ზედაპირული სოციალური კლიშეებისგან დაიკავას. ის ადამიანის საქმიანობის მოსაზღვრე ტერიტორიების ინტეგრალურ კვლევას მიმართავს, კონტექსტში „ხელოვნება-საზოგადოება-პიროვნება“. ეს ნიშნავს რეფლექსიას რეალობაზე იმ ახალი იდეების და დამოკიდებულებების აღმოსაჩენად, რასაც ხელოვანი საზოგადოებას სთავაზობს.

Ilia Zautashvili (b. 1952) - multimedia artist, a participant of numerous international exhibitions and art events, a founder of many creative groups and institutional initiatives, and invited professor of the Tbilisi State Academy of Arts. Human dimension, metaphysical research, and constant transformation are the three perspectives adopted by Ilia Zautashvili to characterize the nature of his creative work. The first is a perspective realized within human parameters. The second one calls for the investigation of reality beyond the empirical world. The third is the perspective that everything always remains in progress and undergoes constant transformation. In his works, the artist freely plays with multimedia possibilities. He involves various contexts in his art objects and makes no specific preference for the means of self-expression, which can be texts or objects, images, spaces, or even sound. "Art is not a social slave," says Ilia Zautashvili, thus trying to protect his art from superficial social clichés. Instead, he prefers the integral research of bordering territories of human activity. It means to investigate reality by tracking down new ideas in the context of art-society-personality, which is what an artist can offer society in return for his independence.



ილია ზაუტაშვილი. ტრანსცენდენტული ჩრდილი. 1987. ტილო, ზეთი. შერეული ტექნიკა 98x120 სმ.  
Ilya Zautashvili, Transcendental Shadow, 1987, oil, mixed media on canvas, 98x120 cm.



## ლუკა ლასარეიშვილი (ლაზარი) Luca Lazareishvili (Lazari)

ლუკა ლასარეიშვილი, /ლუკა ლაზარი (დ.1957). 1982 წლიდან როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალი მხატვარი მონაწილეობს გალერეებსა და მუზეუმებში გამართულ მრავალ პერსონალურსა და ჯგუფურ გამოფენებში; მუშაობს სხვადასხვა მედიუმში: ფერწერა, ინსტალაცია, ობიექტი და ვიდეოარტი. 1989 წელს ხელოვანი ცხოვრობდა კასელში, გერმანიაში როგორც ფრიდერიციანუმის მუზეუმის რეზიდენტი მხატვარი. 2003 წლიდან დღემდე კი ცხოვრობს და მუშაობს ნიუ-იორკში.

1990-იანი წლების დასასრულ მხატვარი გატაცებულია მინიმალურ-აბსტრაქტული ხელოვნებით, რის შედეგად ლაზარმა შექმნა ნამუშევართა სერიები „თეთრი ფარდა“ და „One-liners.“ ამ პერიოდიდან ლუკა ლაზარმა დაიწყო საკუთარი მხატვრული სტილის განვითარება, რომელიც ეფუძნებოდა მინიმალურ, აბსტრაქტულ, გეომეტრიულსა და ოპტიკურ ხელოვნებებს და რომელიც შეიცავდა ექსპრესიონიზმის სახიერ ნიშნებსაც. შედეგად, შექმნა ნამუშევრები, რომლებიც არ გვაგონებს რომელიმე არსებულ მხატვრულ მიმდინარეობას ან სტილს. ისინი გამოსახავს სივრცეში უწყვეტი მოძრაობის შეგრძნებას. აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდება „მოძრავი კადრები“.

ლუკა ლაზარის პერსონალური, თუ ჯგუფური გამოფენები იმართება მსოფლიოს მრავალ ქალაქში: მოსკოვში, პარიზში, ბაზელში, ჰამბურგში, მიუნხენში, კასელში, კილში, ვარშავაში, ბერლინში, დალასში, ნიუ-იორკში...

Luka Lasareishvili/ Luca Lazar, (b. 1957). Since 1982 he has been working as an independent, professional artist and participated in numerous solo and group exhibitions in galleries and museums. He has worked in a variety of media: painting, installations, objects and video art. From 1985 until 1988 Lazar lived and worked in Moscow, Russia. He then moved to Paris, France. The following year, 1989, Lazar spent in Kassel, Germany as an artist-in-residence with the Museum Fridericianum. Since the 1990s, he has lived and worked in Cologne, Germany, and since 2003, in New York, USA. By the late 1990s, Lazar started to concentrate mainly on geometrical art, which was followed by minimal abstract explorations, resulting in a series titled "The White Curtain" and a series titled "One-liners." From this point onward Lazar started to develop his style, based on minimal abstract art, geometric art, and optical art and containing important undertones of expressionist art, which resulted in works that are unlike any existing art direction or style. These works provide a sensation of continuous flowing movement in space, hence their title "Moving Stills."

Luca Lazar's exhibitions are held in many cities around the world: Moscow, Paris, Basel, Hamburg, Munich, Kassel, Kiel, Warsaw, Berlin, Dallas, New York, etc.



ლუკა ლაზარი. #020821. 2021. ტილო, აკრილი. 145x145 სმ.  
Luca Lazari, #020821, 2021, acrylic on canvas, 145x145 cm.





გელა ზაუტაშვილი  
Gela Zautashvili

გელა ზაუტაშვილი (დ.1961) 1980-იანი წლებიდან აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა გამოფენაში. დავასახელებთ რამდენიმეს: „თაობა 80“ (მხატვრის სახლი, თბილისი. 1986), „თანამედროვე ქართული ხელოვნების რეტროსპექტივა“ (მხატვართა ცენტრალური სახლი, მოსკოვი, სსრკ. 1987), „ქართული ფიგურატიული ხელოვნება“ (ერმიტაჟის ბაღი, მოსკოვი. 1987), „ქართული აბსტრაქტის პირველი ჯგუფური გამოფენა“ (სახელმწიფო სამხატვრო გალერეა. თბილისი. 1987), „ავანგარდი-88“ (თბილისის მუზეუმი. 1988), „Eidos: იდეა პლასტიკური და სოციალური“, (გალერეა პეტროვკაზე. 1988), „საბჭოთა ავანგარდი. 1920-1980 წწ.“ (ხელოვნების სასახლე, მინსკი.1989), „ავანგარდი საბჭოთა რუსეთში. 1970-1980“ (ფონდი „Vasarely“. ექს-ან-პროვანსი. საფრანგეთი. 1989), ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა (ჩიკაგო, აშშ. 1989 ), საბჭოთა მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (გალერეა „Bodenshatts“. ბაზელი, შვეიცარია. 1989), „ხელოვნება“ (მელბურნი, ავსტრალია. 1990 ), „ART MIF 2“, ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა ( ცენტრალური საგამოფენო დარბაზი მანეჟი, მოსკოვი. 1991).

„...გელა ზაუტაშვილის ფერწერა ფერწერაა. დაე, ნუ შეგვამინებს ეს ტავტოლოგია. მისი შემოქმედება XX საუკუნის მუსიკისა და პლასტიკური ხელოვნებების ურთიერთმეხების ტრადიციას აგრძელებს, რაც ისეთი კორიფეების შემოქმედებითაა წარმოდგენილი, როგორებიც არიან სკრიაბინი, კანდინსკი, კლუე, შონბერგი, მონდრიანი, კვიცი, პოლოკი, ნუნო და სხვა შესანიშნავი ხელოვნები“, - წერს ლეონიდ ბაჟანოვი, მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების

Since the 1980s, Gela Zautashvili (b,1961) has actively participated in various exhibitions in Georgia and abroad. Including: “Generation 80” (Artist House, Tbilisi, 1986); “Retrospective of modern Georgian Art” (Central House of Artists, Moscow, USSR 1987); “Georgian Figurative Art” Hermitage Garden, Moscow, USSR and “The First Group Exhibition of Georgian Abstract Painting” at State Art Gallery, Tbilisi, Georgia (1987); “Vanguard – 88” at the Museum of Tbilisi, Georgia and “Eidos: the idea of plastic and social”. Petrine line. Moscow, USSR (1988); The Soviet Avant-Garde 1920-1980, Arts Palace, Minsk, Belarus, (1989); East Wave “Red and White”. Warsaw, Amsterdam. (1989); Avant-Garde in Soviet Russia, (1989); Foundation Vasarely. Aix-en-Provence.France (1970-1980); International Art Fair. Chicago. U.S (1989); Exhibition of works of Soviet artists, Gallery Bodenshatts, Basle, Switzerland, (1989); Art. Melbourne. Australia (1990), and ART MIF 2. Moscow International Art Fair. Central Exhibition Hall “Manege”, Moscow (1991).

“- And though the painting of Gela Zautashvili is a painting, let’s be free from being spellbound from such kind of tautology. His art continues the high tradition of mutual contiguity of musical and plastic cultures in the 20th century, represented by coryphaei such as Scriabin, Kandinsky, Klee, Schoenberg, Mondrian, Cage, Pollock, Nuno, and other great artists.”- Writes Leonid Bazchanov, Head of the Center of Art Culture of Moscow.



გელა ზაუტაშვილი. სატორი. 2021. ტილო, ზეთი. 100x50 სმ.  
Gela Zautashvili, Satori, 2021, oil on canvas, 100x50 cm.



გია ლორია  
Gia Loria

გია ლორია (დ.1960) სწავლობდა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, 1981-1987 წლებში კი - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1980-იანი წლებიდან იყო ჯგუფ „არქივარიუსის“ წევრი, ამავე თაობის ხელოვანებთან ერთად მუშაობდა სამხატვრო აკადემიაში ე. წ. „მეათე სართულისა“ და მარჯანიშვილის თეატრის სახელოსნოებში. მონაწილეობდა მხატვრების მიერ თავიანთ სახლებსა და სახელოსნოებში მოწყობილ ე.წ. სახლის გამოფენებში. 1980-1990 წლებში გია ლორია მონაწილეობდა თბილისის მხატვრის სახლში, „ქარვასლაში“, გალერეა TMS-სა და „მერანი“ გამართულ გამოფენებში. 1987-1988 წლებში მონაწილეობა მიიღო ლენინგრადში, რუსულ მუზეუმში, გამართულ ქართული ავანგარდის გამოფენაში. 1990-იანი წლებიდან მას გერმანიისა და საფრანგეთის არაფორმალურ საგამოფენო სივრცეებში ჰქონდა პერსონალური გამოფენების სერია. მხატვარს ჰქონდა რამდენიმე სხვა პერსონალური გამოფენაც, მათ შორის: 1996 წელს გამოფენა სახელწოდებით „ის, რაც ჩვენ გვახსოვს“ თანამედროვე ხელოვნების ცენტრში; 2002 -2003 წლებში - გამოფენები „ძველ გალერეასა“ და გალერეა „უნივერსში“; 2010 წელს- სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში სახელწოდებით - „რაც გვესიზმრება, როცა არ გვძინავს“. 2012 წელს ლორიას ნამუშევრები წარმოდგენილი იყო დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეაში გამოფენაზე - „1980-1990-იანი წლების ქართული ხელოვნება“. მისი ნამუშევრები დაფულია სხვადასხვა კერძო კოლექციამ: აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, რუსეთში, შვეიცარიაში და საქართველოში.

Gia Loria (b. 1960) studied visual arts at Iakob Nikoladze Art School (1975-1979) and at Tbilisi State Art Academy (1981-1987). Since the 1980s he was a member of the group "Archivarius", with the same generation of artists Loria worked in the so-called "10th Floor" and "Marjanishvili Theatre Workshop" informal groups. He participated in several home exhibitions, where artists showed their works in their own homes or workshops. In the 1980s and 1990s, Loria participated in group shows in Tbilisi Artists House, "Gallery TMS", and "Merani". In 1987 - 1988 Loria participated in the group show "Georgian Avantgarde" at Leningrad State Museum. In the 1990s Loria had solo-exhibition series in Germany and France in informal exhibition spaces; in 1996 solo show "What We Remember", Contemporary Art Centre, Tbilisi; 2002-2003 solo shows in "Old Gallery" and gallery "Universe"; 2010 solo show "What we dream about when we are awake", great exhibition hall, Tbilisi State Academy of Arts. Loria's works were part of the exhibition "Reframing the 80s - Georgian Art in 1980s-1990s" at Dimitri Shevardnadze National Gallery in Tbilisi.



გია ლორია. იერუსალიმში შესვლა. 2005. ტილო, ზეთი. 90x115 სმ.  
Gia Loria, Triumphant Entry Into Jerusalem, 2005, Oil on canvas. 90x115 cm.



## გოგა მაღლაკელიძე Goga Maghlakelidze

გოგა მაღლაკელიძე (დ. 1962) 1981-1987 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1984 წლიდან იყო მხატვართა ჯგუფ „არქივარისის“ წევრი. 1987-88 წლებში ხელოვანის ნამუშევრები ე.წ. „მეათე სართლისა“ და „მარჯანიშვილის“ არაფორმალური ჯგუფების მხატვრებთან ერთად ექსპონირებული იყო ლენინგრადში, რუსულ მუზეუმში, გამართული ქართული ავანგარდის გამოფენასა და ნარვაში თანამედროვე ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში მოწყობილ გამოფენაში.


მან 1990 წლებში დაიწყო ახალი ქრისტიანული ესთეტიკის ძიება, შექმნა მინიატიურები, მუშაობდა ლევკასის და ტემპერის ტექნიკითაც. 2000/2010-იან წლებში ხელოვნებამცოდნეებთან თანამშრომლობით მაღლაკელიძემ მონუმენტური მხატვრობის ნუმიშები შექმნა. 2014 წელს მოხატა ჭიათურის სოფელ ვეჭევის წმ. გიორგის ეკლესია. იგი დაჯილდოვებულია მედლებითა და პრემიებით: 2007 წელს მიიღო პრემია „პარნასი“ წლის საუკეთესო ნამუშევრებისათვის; 2000 წელს - იუნესკოს ჯილდო წლის საუკეთესო ილუსტრაციისათვის.

გოგა მაღლაკელიძის ნამუშევრები ინახება მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში: თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ტოლიატში, კიოლნში, მიუნხენში, ვენაში, ბრიუსელში, პარიზში, ბოსტონსა და ათენში.

Goga Maghlakelidze (b.1962) studied at the Tbilisi State Academy of Arts (1981-1987). Goga Maghlakelidze was a member of the group of artists "Archivarius" since 1984. Goga Maghlakelidze with the artists of the "Tenth Floor" and "Marjanishvili" informal groups was involved in the exhibitions of the Georgian avant-garde held in 1987-1988 at the Russian Museum in Leningrad and the Contemporary Art Festival in Narva.

Goga Maghlakelidze started new research in the field of Christian aesthetics in the 1990s. Goga Maghlakelidze creates miniatures. He worked on the technique of levkas and tempera. From 2000 to 2010 Goga Maghlakelidze created paintings in collaboration with art critics, according to the principles of mural painting. In 2014 he painted the Church of St. George in the village of Vechevi, Chiatura. He was awarded medals and premiums. 2007 - Best Work of Year, "Parnasi"; 2000 - UNESCO award, Best Illustration of Year.

His paintings are kept as well as museums and private collections in Tbilisi, Moscow, Petersburg, Tolyatti, Köln, Munich, Vienna, Brussels, Paris, Boston, and Athens



გოგა მაღლაკელიძე. თეთრი პორტრეტი. 1985. მუყაო, ზეთი. 60,5x38 სმ  
Goga Maghlakelidze, White Portrait, 1985, oil on cardboard, 60,5x38 cm



## თემურ იაკობაშვილი Temur Iakobashvili (Aharon Yakobson) 1958-2018

თემურ იაკობაშვილი (Aharon Yakobson) ფერწერას ჯერ შალვა მატუაშვილის სახელოსნოში, შემდეგ კი ჯიბსონ ხუნდაძესთან უფლებობდა. 1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 1985 წლიდან იყო თბილისში ჩამოყალიბებულ ახალგაზრდა ქართველ მხატვართა ჯგუფ „X სართულის“ წევრი და ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში საქართველოში, გერმანიაში, შვეიცარიაში და იტალიაში. თემურ იაკობაშვილი ბიბლიური და ებრაული თემატიკით დაინტერესდა, შექმნა მრავალი სურათი ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებზე. 1992 წელს, მოსკოვში ქართველი მხატვრების გამოფენაზე, წარმოდგენილი იყო თემურ იაკობაშვილის სურათი „მოსე“, იმავე წელს მოსკოვში, გამოფენაზე - „ებრაელი მხატვრები ბავშვებისთვის“, ექსპონირებული იყო მისი 4 ნამუშევარი ციკლიდან „იერუსალიმი - ჩემი სიყვარული“, სადაც მისი ნამუშევრები მარკ შაგალის, ფალკისა და სხვა ცნობილი მხატვრების ნამუშევრებთან ერთად იყო წარმოდგენილი. ერთი ნამუშევარი „გამოსვლა“ აშშ -ის გენერალურმა მდივანმა ჰენრი კისინჯერმა შეიძინა. 1993 წელს თემურ იაკობაშვილი ოჯახთან ერთად ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად, იმავე წელს ისრაელის მხატვართა კავშირში მიიღეს და უკვე იქ განაგრძო აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა. 2006 წელს თბილისში ისრაელის დამოუკიდებლობის 58-ე წელთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენა „ებრაული თემატიკა ქართველი მხატვრების შემოქმედებაში“, სადაც წარმოდგენილი იყო თემურ იაკობაშვილის ნამუშევრებიც.

Temur Iakobashvili (Aharon Yakobson) studied painting first at the studio of Shalva Matuashvili, and later – Jibson Khundadze. In 1991 graduated from Tbilisi State Academy of Arts. From 1985 was a member of an artist's group X Floor and was one of the founders of the group. Actively participated in group exhibitions in Georgia, Germany, Switzerland and Italy. Temur Iakobashvili became interested in biblical and Hebrew themes, and created many works on Old and New Testament stories. In 1992, Temur Iakobashvili's painting "Moses" was presented at the exhibition of Georgian artists in Moscow. In the same year in Moscow, at the exhibition - "Jewish Artists for Children", his 4 works from the cycle "Jerusalem - My Love" were exhibited, where his paintings were on display together with the works of Mark Chagall, Falk and other famous artists. One of the works "Speech" was purchased by US Secretary of State Henry Kissinger. In 1993 Temur Iakobashvili moved to Israel with his family, at the same year joined the Israeli Artists' Union, and has been actively working there. In 2006 his works were presented at the exhibition "Jewish Themes in the Works of Georgian Artists" which was held in Tbilisi to celebrate the 58th anniversary of Israel's Independence.



თემურ იაკობაშვილი. ქორწილი. 2014. ტილო, ზეთი. 60x80 სმ.  
Temur Iakobashvili (Aharon Yakobson), The Wedding, 2014, oil on canvas, 60x80 cm.





გია დოლიძე  
Gia Dolidze  
1959-2017

გია დოლიძე 1977-1981 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქტიურად ხატავდა 1989 წლიდან და „X სართულის“ მხატვართა ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა თანადროულ გამოფენებში.

გია დოლიძე ფერს უაღრესად სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს, მისტიკური განწყობის შესაქმნელად სურათის ჩაბნელებულ ფონზე იყენებს ოქროსფრის მდიდარ პალიტრას და თამამად უსადაგებს მის მიერ წარმოსახული სიმბოლოებისა და ზღაპრული პერსონაჟების ილუმინალ სამყაროს.

Gia Dolidze studied at Tbilisi State University in 1977-1981. He has been actively painting since 1989 and has been actively participating in contemporary exhibitions with a group of X-floor artists.

Gia Dolidze gives color to a highly symbolic load, uses a rich golden palette against the dark background of the image to create a mystical mood, and combines it with the mysterious world and fairy-tale characters he imagines.



გია დოლიძე. გოგონა და ვირი. 1990. ტილო, ზეთი. 80x100 სმ.  
Gia Dolidze, Girl and Donkey, 1990, oil on canvas, 80x100 cm.

## ლია შველიძე Lia Shvelidze




ლია შველიძემ (დ.1959) თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია 1984 წელს დაამთავრა. 80-იანელ მხატვართა თაობის წარმომადგენელი ლია შველიძე იყო ხელოვანთა არაფორმალურ ჯგუფ „მარჯანიშვილის სახელოსნოს“ წევრი. ლია შველიძის თქმით, მისი მხატვრული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო 1987 წლიდან სწორედ კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სახელოსნოში მუშაობა. ის პირველი ქართველი მხატვარი ქალია, რომელმაც ძლიერად წარმოაჩინა გენდერული თემატიკა. მას გამორჩეული ხელწერა აქვს განზოგადოებული, მონუმენტური მეტყველების ფერწერით.

მხატვარმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში 16 სოლო - გამოფენა გამართა, რომელთა შორის განსაკუთრებულია „ძველ გალერეაში“ გამართული აქცია-გამოფენების სერიები, სახელწოდებით - „დაჯექი!“ ( 2000-2003); ასევე შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა ( 1994 ) და ქ. ბაქოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (2016 ) წარმოდგენილი მისი ექსპოზიციები. მხატვრის აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად აღსანიშნია მისი პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობა. 2007 წელს ლია შველიძემ დააარსა „მხატვრობის ხელშეწყობთა ასოციაცია“ და მასთან არსებული „სამხატვრო სტუდია ყველასათვის“.

Lia Shvelidze (b. 1959) alumna of the Tbilisi State Academy of Arts (1984), Lia Shvelidze is a representative of the so called Generation of 1980s. She was a member of the Marjanishvili's Studio, an informal group of artists during those years –that fact, that according to Lia Shvelidze played a crucial role in the forming of her artistic style - gender themed, and generalized and monumental in type and manner.

Up to now, the artist has held 16 solo exhibitions, including a series of action-exhibitions at “Dzveli Galerea” (“The Old Gallery”), titled “Sit Down!” (2000-2003) and her shows at the Shalva Amiranashvili Museum of Art (1994) and the Museum of Contemporary Art in Baku (2016). Along with active artistic practice, she conducts teaching activities. In 2007 Lia Shvelidze founded “The Association for the Support of Artists” and the “The Art Studio for Everyone” attached to it.



ლია შველიძე. ავტოპორტრეტი 1920-იან წლებში. 2019. ტილო, აკრილი. 180x145 სმ.  
Lia Shvelidze. Self-portrait in the 1920s. 2019. acrylic on canvas, 180x145 cm.



მამუკა ჯაფარიძე  
Mamuka Japharidze

მამუკა ჯაფარიძემ (დ.1962) აკადემიური სამხატვრო განათლების მიღებიდან მალევე, 1987 წლიდან, ის კონცეპტუალურ პროექტებზე იწყებს მუშაობას. მისი ნამუშევრების მედიუმი იცვლება კონტექსტიდან, სივრცის სპეციფიკიდან გამომდინარე და მოიცავს ჰეფენინგს, საგნებისა და სურათების კოლექციებსა და დიდი ხნის განმავლობაში შეგროვებულ ფოტოარქივს, ვიდეოპროექციებს, ფოტოგრაფიას, ლინგვისტურ მანიპულაციებს, ნახატებს, ხმოვან რიგს და პრინტებს. მისი ნამუშევარი „ARTRA“ წარმოდგენილი იყო საქართველოს პავილიონში 1999 წელს ვენეციის 48-ე ბიენალეზე. იმავე წელს მისი ვიდეოპროექციის - „Eye Trees“ ჩვენება მოეწყო ატლანტაში (აშშ). არტისტის ნამუშევრები რამდენჯერმე იქნა ექსპონირებული საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მათ შორის, „Reframing the 80-s“ (2012 ) და „Re:Museum“ (2014 ). ნიუ-იორკში; გალერეა „ Art in General“-ში, 2016 წელს მოეწყო გამოფენა „Beyond Credit“-ი, სადაც სხვა ქართველი მხატვრების ნამუშევრებთან ერთად მამუკა ჯაფარიძის ინსტალაციაც იქნა დემონსტრირებული. „მე ვიკვლევ, თუ როგორ არსებობენ ობიექტები დროის ცალკეულ მონაკვეთებში/სამყაროში ადამიანის მიერ ინტერპრეტირებული უტილიტარული დროის/ობიექტის მიღმა. ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს კვლევა იმ მიჯნისა, რომელიც ხელოვნებასა და „არახელოვნებას“ შორის არსებობს და ნამუშევრის ოთხგანზომილებიანი (სივრცე, დრო/მეტაფიზიკური) ასპექტები მოვლენებისა მოცემულ მომენტში ჩემთვის უმნიშვნელოვანესია სიღრმისეული რეალიზაციისათვის.“ - ასე წარმოგვიდგენს მხატვარი თავის შემოქმედებით ხედვას. მამუკა ჯაფარიძე ცხოვრობს და მუშაობს თბილისსა და ლონდონში.

Mamuka Japharidze (b.1962) Since 1987, Mamuka Japharidze has been working on conceptual projects. The medium of his works changes according to the context and environment and includes happenings, collections of objects and images, video projections, photography, linguistic games, drawings, sound, prints, and photo archives collected over a long period. His work “ARTRA” was presented at the Georgian Pavilion, the 48th Venice Biennale, 1999. In the same year a video projection, “Eye Trees” was presented in Atlanta. The artist’s works were exhibited at Georgian National Museum several times, including “Reframing the 80s” in 2012 and “Re: Museum” in 2014. With the works by other Georgian artists, Mamuka Japharidze’s installation was featured in the exhibition “Beyond Credit” at “Art in General”, in New York. “I am investigating the way that objects exist in a separate time/world beyond human’s utilitarian interpretation of time/object. ...One basic principle is an investigation of the threshold between an art event and ‘a non-art. And how the four-dimensional (space, time/metaphysical) aspects of the work in the actual moment of the event, are for me the deep points of realisation.” This is how the artist expresses his artistic vision.

Mamuka Japharidze lives and works in Tbilisi and London.



მამუკა ჯაფარიძე. Rolex. 1993. ტილო. შერეული ტექნიკა. 94x75 სმ.  
Mamuka Japharidze, Rolex, 1993, mixed media on canvas. 94x75 cm.



კოკა რამიშვილი  
Koka Ramishvili

კოკა რამიშვილი (დ.1956) მუშაობს სხვადასხვა მედიამში - სახვითი ხელოვნება, ფოტოგრაფია, ქანდაკება, ინსტალაცია, ვიდეოარტი. მისი ნამუშევრები ეფუძნება პოეტურ-სტრუქტურულ პლატფორმასა და ინტერდისციპლინურ პრაქტიკას, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ესთეტიკურ ფილოსოფიას, არამედ ერთმანეთში გადაკვეთილ მეცნიერებას-კვანტურ ფიზიკას, მედიცინას, სოციალურ დისციპლინებს. ბოლო დროს უპირატესობას ანიჭებს ფოტოგრაფიასა და აკვარელს. მისი ფოტოები სინათლის ფენომენის, აკვარელი კი- ფერის კვლევის დოკუმენტაციაა.

კოკა რამიშვილმა 1980-იანი წლების დასაწყისში დაიწყო მუშაობა ჯარჯ ბალანჩინთან, ჩართული იყო სინთეზური თეატრის საქმიანობაში. მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ეტაპია 1987 წლიდან „მარჯანიშვილის“ მხატვართა ჯგუფში მოღვაწეობა. 1991 წელს მან შექმნა თორმეტი შავ-თეთრი ფოტოსაგან შემდგარი დოკუმენტური სერია „ომი ჩემი ფანჯრიდან“, რომელიც თბილისში მიმდინარე ომს ასახავდა. 1991-1994 წლებში ის მუშაობდა ვოლფგანგ პლატცის სახელოსნოში (მიუნხენი, გერმანია), 1994 წელს თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის თანადამაარსებელი იყო, 1997 წელს კი დააფუძნა ვიზუალური ლაბორატორია და ჟურნალი „სიგნალი“. 1997 წელს მან ვიდეოინსტალაციისთვის „სიგნალი“ მიიღო ჯილდო ბაუჰაუსის სახელოვნებო სკოლისა და შტუტგარტის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო აკადემიისაგან.


ხელოვანი მჭიდროდ თანამშრომლობს გერმანიის, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის გალერეებთან. მათ შორისაა: „Tate Modern“ (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი), „MAMCO“ (ჟენევა, შვეიცარია), გოეთეს ინსტიტუტი (ბერლინი, გერმანია), „Musée des Beaux-Arts“ (ნანტი, საფრანგეთი), „M KHA“ - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (ანტვერპენი, ბელგია), კობრას მუზეუმი (ამსტერდამი, ჰოლანდია) ... 2009 წელს მან საქართველო წარმოადგინა ვენეციის 53-ე ბიენალეზე.

კოკა რამიშვილი 2000 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში.

Koka Ramishvili (b.1956). He works in various media: fine art, photography, sculpture, installation, and video art. His works are based on a poetical structural platform and interdisciplinary praxis. This implies not only aesthetic philosophy but also intersecting science-quantum physics, medicine, and social disciplines. Recently, he has developed an interest in photography and watercolour. His photographs document his research on the phenomena of light, as well as watercolour - on colour. Koka Ramishvili began working with George Balanchine (Balanchivadze) in the early 1980s and became involved in synthetic theatrical activities. He has been a member of the „Marjanishvili“ group of artists since 1987. In 1991, he created the documentary series „War From My Window,“ which consisted of twelve black-and-white photographs depicting Tbilisi's ongoing war. From 1991 to 1994, he worked in Wolfgang Platz's studio in Munich, Germany; in 1994, he co-founded the Tbilisi Center for Contemporary Art; and in 1997, he founded a visual laboratory and the magazine „Signal.“ For his video installation „Signal,“ he received the Bauhaus School of Arts and the Stuttgart State Academy of Fine Arts Award in 1997.

The artist had exhibitions in Germany, England, Belgium, the Netherlands, France, and Switzerland. Among them are Tate Modern (London, UK), MAMCO (Geneva, Switzerland), Goethe-Institut (Berlin, Germany), Musée des Beaux-Arts (Nantes, France), M KHA - Modern Museum of Art (Antwerp, Belgium), and Cobra Museum (Amsterdam, Netherlands). In 2009, he represented Georgia at the 53rd Venice Biennale.

Koka Ramishvili has lived and worked in Geneva, Switzerland, since 2000.



კოკა რამიშვილი. ბორჯომი. 2011. ტილო, ზეთი. 90x70 სმ.  
Koka Ramishvili, Borjomi, 2011, oil on canvas, 90x70 cm.





თემო ჯავახიშვილი (ჯავახი)  
Temo Javakhishvili (Javakhi)

თემო ჯავახიშვილი ( ჯავახი) (დ.1951) 1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტი. პარალელურად, 1974 წელს სწავლა დაასრულა კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ არსებულ სამსახიობო სტუდიაში. 1995 წლამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო მარიონეტების თეატრში. თემო ჯავახი როგორც მხატვარი 1976 წლიდან მონაწილეობდა საქართველოსა და უცხოეთში მოწყობილ არაერთ გამოფენაში. მათ შორისაა საფოსტო ხელოვნების გამოფენა იტალიაში (1994 ), გამოფენები პორტუგალიაში (1995), თურქეთში (1995), ზაარბრიუკენში (გერმანია. 1998), პერსონალურ გამოფენა „One man Exhibition“ (სან-დიეგო, ამერიკა. 1989), გამოფენები „აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ“ (თბილისი. 1999).

თემო ჯავახის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან უნდა აღინიშნოს მისი მონაწილეობა ვიზუალური ხელოვნების ინტერნაციონალურ ფორუმებში („აპენდიქსი“, „კავკასიის ხელოვნება“, 2004), თემო ჯავახი არის მხატვართა ე.წ. 80-იანელთა თაობის წარმომადგენელი, თაობისა, რომელიც ავითარებდა ავანგარდულ, ექსპერიმენტულ ხელოვნებას. მისი სახელოვნებო პრაქტიკები მოიცავს ვიდეოარტს, ნახატ ობიექტს, პოეზიას, ფერწერასა და კონცეპტუალურ ინსტალაციას. ამ ხელოვანის მედიუმები მასალის ექსპერიმენტთან ერთად ყოველთვის კონცეპტუალურ შრეებს აერთიანებს და, ამდენად, წარმოგვიდგენს მას როგორც მოაზროვნეს, დამკვირვებელსა და გარემოს კრიტიკულად შემფასებელს.

Temo Javakhishvili/Temo Javakhi (b.1951) graduated from the Faculty of Design of the Tbilisi State Academy of Arts (1976). In the period, in 1974, he graduated from the acting studio located near to film studio Georgian Film. Until 1995 he worked at the Tbilisi State Puppet Theater. Since 1976, as an artist, Temo Javakhi, has participated in numerous exhibitions in Georgia and abroad since 1976. Among them are exhibitions: Mail art exhibitions in Italy (1994), exhibitions in Portugal (1995), Turkey (1995), Saarbrücken (Germany. 1998), personal exhibition “One man Show” (San Diego, USA. 1989), and the exhibition “East to West” (Tbilisi. 1999). His participated in international forums of visual arts (“Appendix”, “Caucasus Art”, 2004) should also be mentioned.

Temo Javakhi is one of the representative of the “Generation of 80s”, the one that has developed experimental art. His artistic practices include video art, drawing, poetry, painting, and conceptual installation. The mediums of this artist always combine conceptual layers with material experimentation and, thus, represents him as an observer and a critical thinker.



თემო ჯავახიშვილი. გასაღები. 1983. თაბაშირი. შერეული ტექნიკა. 40x50 სმ.  
Temo Javakhishvili, The Key, 1983, gypsum, mixed media. 40x50 cm.

## უშანგი ხუმარაშვილი Ushangi Khumarashvili



უშანგი ხუმარაშვილი (დ.1948) 1967-1973 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თელავის დრამატულ თეატრში. 1970-იანი წლებიდან მონაწილეობს გამოფენებში. მისი პირველი პერსონალური გამოფენა 1994 წელს სურათების ეროვნულ გალერეაში შედგა. პერსონალური გამოფენების გარდა, იგი მონაწილეა მრავალი ჯგუფური გამოფენისა და საერთაშორისო ბიენალესი. მათ შორის იყო: თეატრისა და კინოს მხატვართა გამოფენა (თბილისი, მოსკოვი. 1979), საერთაშორისო გამოფენა-სიმპოზიუმი (სოჭი. 1994), თანამედროვე ხელოვნების ბიენალე (თბილისი. 1996), საერთაშორისო ბიენალე „ჩრდილი“ (თბილისი. 1996 ), გამოფენა „N“ გალერეაში (თბილისი. 1998), გამოფენა „შეხვედრა ფიროსმანთან“ თანამედროვე გერმანულ მხატვრებთან ერთად თბილისის ისტორიის მუზეუმში (2006), საერთაშორისო ბიენალე (განჯა, აზერბაიჯანი. 2006 ). მხატვარს მიღებული აქვს გრან-პრი წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (2001). 2019 წელს კი საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, უშანგი ხუმარაშვილის საუბილეო გამოფენა „უშანგი ხუმა 70“ შედგა. უშანგი ხუმარაშვილს 1980-იანი წლებიდან დღემდე არასდროს შეუქმნია იდეოლოგიური ხასიათის სურათები. ის ერთგულია კლასიკური ავანგარდისა და მის ტრადიციებზე დაყრდნობით უცვლელად ზეთის ტექნიკით მუშაობდა. ესაა სხვადასხვა ადგილის, ადამიანების, მიმართულებების, დღის მონაკვეთებისა თუ, უბრალოდ, ფერების ექსპრესიული აბსტრაქციები.

Ushangi Khumarashvili (b. 1948) Studied at the Tbilisi State Academy of Arts' Faculty of Fine Arts from 1967 to 1973. Following that, he began working at the Telavi Drama Theater. Since the 1970s, he has regularly participated in exhibitions. He had his first solo exhibition in 1994 at the National Gallery of Pictures. In addition to his personal exhibitions, he has taken part in various group exhibitions and international biennials: "Exhibition of Theater and Cinema Artists" (Tbilisi, Moscow. 1979), International Exhibition-Symposium (Sochi, 1994) "In the Shadow" International Biennale (1996); Gallery "N" (1998), Tbilisi, Georgia; Germany (1999); Seminar "Paper" (2001, 2006) at the International Biennale, Ganja, Azerbaijan; "Meeting with Pirosmiani" (2006), Historical Museum, Tbilisi, Georgia. The artist received the Grand Prix for the Best Work of the Year (2001). In honour of his anniversary date, the artist's works were exhibited at D. Shevardnadze National Gallery in 2019.

Since the 1980s, Ushangi Khumarashvili has never developed ideological images. He adheres to the classic avant-garde and, in keeping with its traditions, works exclusively in oil. These are abstract depictions of various locations, individuals, directions, days of the week, or just colours. Ushangi Khumarashvili's works are kept in the Georgian National Museum and private collections.



უშანგი ხუმარაშვილი. ნირვანა. 1987. ტილო, ზეთი. 145x170 სმ.  
Ushangi Khumarashvili, Nirvana, 1987. oil on canvas. 145x170 cm.



ჯემალ კუხალაშვილი  
Jemal Kukhalashvili

ჯემალ კუხალაშვილი (დ.1952) 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და 1980-იან წლებში დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი შემოქმედება განსაკუთრებული პერსონალურობით გამოირჩევა. ხატავს ყოველდღიურობას მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალწახნაგოვნებით. მხატვრისეული სამყაროს აღქმა კი იმდენად ინტენსიური და მძაფრია, რომ თითქოს ვერ იტევს და ვერც ტილოზე ატევს. ჯემალ კუხალაშვილის სამყაროს მოდელში ერთი „დიდი აურზაური და ქაოსია...“ და აქ თავს იჩენს მხატვრის საოცარი ნიჭი, საოცარი ფლობა სახვით-გამომსახველობითი ხერხების, ნახატისა თუ ფერადოვანი კომპოზიციისა, რაც ნამუშევრებში მხატვრულ წესრიგს განაპირობებს, წესრიგს, რომელსაც წესები არ აქვს და რომელიც ირაციონალური შემოქმედებითი პროცესის შედეგია. „ჩემთვის სურათი მკაფიოა და ფილოსოფიურ დატვირთვას არ ემსახურება. მე ისე ვხატავ, როგორც გარე სამყარო მკარნახობს. ვიცი, ჩემს სეანსს მაყურებელი შეუერთდება და როგორც დაამცირებს, ისევე აღიარებს... არასდროს ვიცი ბოლო შედეგით, ნოეს კიდობნისა არ იყოს, სად გამრიყავს გადარჩენისა და დამკვიდრების გაუნელებელი სურვილი,“- წერს საკუთარ თავსა და შემოქმედებაზე ჯემალ კუხალაშვილი.

Jemal Kukhalashvili (b.1952) graduated from the Tbilisi Academy of Art in 1978 and began his creative career in the 1980s. His creative work is characterized by a distinct personality. He depicts everyday life in all its complexities and variety. The artist's perception of the world is so intense and sharp that it appears to be unable to fit anywhere, even on the canvas. In Jemal Kukhalashvili's world model, there is one "big fuss and chaos..." and it is here that the artist's amazing talent is revealed; the amazing mastery of fine art, painting, or colour composition that determines the artistic order in the works, the order that has no rules and is the result of an irrational creative process. Djemal Kukhalashvili wrote about himself and his art - "The picture is clear to me and serves no philosophical purpose. I create in response to what happens around me. I am confident that the audience will attend my session and will both appreciate and despise... I will never know the result, like Noah's ark, where my irresistible desire for survival and establishment will lead me."



ჯემალ კუხალაშვილი. ამაღლება. 1994. ტილო, ზეთი. 50x100 სმ.  
Jemal Kukhalashvili. Feast of the Ascension. 1994. oil on canvas. 50X100 cm.



ბესიკ არბოლიშვილი  
Besik Arbolishvili

ბესიკ არბოლიშვილი (დ.1955) 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, 1983–1986 წლებში- საკავშირო აკადემიის შემოქმედებითი სახელოსნო (მოსკოვი, სსრკ). ჟანრობლივ მრავალფეროვნებაში იკვეთება მხატვრის მიერ ფორმისა და ფერის მუდმივი ძიება და გამორჩეული ხელწერა. ქალის სილამაზე, ნატიფი და დახვეწილი სხეული, ფერისა და შუქის თამაში განსაკუთრებულ ესთეტიკურობასა და რომანტიკულობას ანიჭებს მის პორტრეტებსა და კომპოზიციებს. შემოდგომისა თუ გაზაფხულის კახეთის მრავალფეროვანი პეიზაჟები, ბაკურიანის თითქმის მონოქრომული თოვლიანი კომპოზიციები, კონტრასტული ფერებით შესრულებული ნატურმორტები, გამოკვეთილი დეკორატიულობით გამოხატავს მხატვრის ინდივიდუალურ სტილს.

ბესიკ არბოლიშვილი 1984 წლიდან მონაწილეობს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ - თურქეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, ქუვეითში, დიდ პრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიასა და ამერიკის შეერთებული შტატებში გამართულ გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია დიმიტრი შვარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, ოტო პანკოკის მუზეუმსა და დიუსბურგის კულტურვერკშტატის ფონდში (გერმანია), თანამედროვე ხელოვნებისა და აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმებში (მოსკოვი, რუსეთი), მხატვრის სახლში (მოსკოვი, რუსეთი), ასევე სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

Besik Arbolishvili (b.1955) graduated from the faculty of Fine Arts of the Tbilisi State Academy of Arts, in 1983-1986 worked in Soviet regional Art Studio (Moscow, SSR). In his variety of genres, we can discover the constant search of the color and form and the original style. The beauty of woman, carved and exquisite forms of the body, the play of the color and shadow gives very special ethaesthetics and romantic touch to his portraits and compositions. Diverse landscapes of autumn or spring Kakhetia, snowy almost monochrome compositions of Bakuriani landscapes, still lives with contrast colors with explicit decorativeness features the individual style of artist.

Starting from 1984 Besik Arbolishvili participates in exhibitions in Georgia as well as abroad – Turkey, Azerbaijan, Russia, Kuwait, Great Britain, France, Germany and the United States. His works are preserved in the Dimitri Shevardnadze National Gallery, the Otto Pankok Museum and the Duisburg Cultural Foundation (Germany), the Museums of Contemporary Art and Oriental Art (Moscow, Russia), the Artist's House (Moscow, Russia), as well as private collections in various countries.



ბესიკ არბოლიშვილი. პიანინოსთან. 1982. ტილო, ზეთი. 130x100 სმ.  
Besik Arbolishvili, At the Piano, 1982, oil on canvas, 130x100 cm.





## შალვა მატუაშვილი Shalva Matuashvili

შალვა მატუაშვილი (დ.1958)1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 1987 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 2007 წლიდან - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2017 წლიდან კი- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ასოცირებული პროფესორია.

შალვა მატუაშვილი - ფერმწერი და გრაფიკოსი ფიგურატიული მხატვრობის გამორჩეული წარმომადგენელია, ინტელექტუალი, მუდმივი შემოქმედებითი ძიების პროცესში დიდი მხატვრების შედეგებისგან მიღებულ ინსპირაციას საკუთარი აზროვნების პრიზმაში ატარებს, მხატვრობას განსაკუთრებული პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით უდგება. ლესირებისა და სფუმატოს მეთოდი, ფერთა და შუქით შექმნილი მრავალფენოვანი ფერწერული ფაქტურა, დახვეწილი მანერა და ინდივიდუალური ხელწერა გამოარჩევს შალვა მატუაშვილის სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრებს, იქნება ეს ნატურმორტი, პეიზაჟი, ჟანრული სცენა, ქალის ნატიფი და დახვეწილი პორტრეტები თუ ფიგურატიული კომპოზიციები, სადაც ქალის სხეულის სილამაზე და პლასტიკა განსაკუთრებული ჰარმონითა და მელოდიურობით მეტყველებს.

შალვა მატუაშვილი 1987 წლიდან მონაწილეობს საქართველოსა და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია დიმიტრი შვარცნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმში ( თბილისი); ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეასა და აღმოსავლეთის ხალხთა მუზეუმში (მოსკოვი, რუსეთი), ასევე კერძო კოლექციებში: გერმანიაში, მიუნჰენში - ოლივერ მიხაელ ჰასბელისა და ბოდო შმიდის კოლექციებში; თურქეთში- ჰიქმეთ ოზდან ოდლის კოლექციაში, ასევე პარიზის, მოსკოვის, ბერლინის, ნიუ-იორკის კერძო მფლობელებთან.

Shalva Matuashvili (b.1958) graduated Tbilisi State Academy of Arts in 1980. Gives lessons in painting since 1987. Since 2007 - Iliia State University, since 2017 - Associate Professor of Fine and Applied Arts. Shalva Matuashvili - painter and graphic artist is a distinguished representative of figurative painting, an intellectual. In the process of constant creative search, he gets inspiration from the masterpieces of great artists and through the prism of his own thinking, he paints with special professionalism and responsibility. The method of Glazing and Sfumato, variety of textures created by color and light, exquisite and individual style make Shalva Matuashvili paintings outstanding. He works in various genres: still lives, landscapes, genre scenes, delicate portraits of women or figurative compositions, where the beauty and plasticity of a woman's body speak with special harmony and melody.

Shalva Matuashvili has been participating in exhibitions in Georgia and abroad since 1987. His works are preserved in the Dimitri Shevardnadze National Gallery, Museum of Contemporary Fine Arts (Tbilisi); Tretyakov State Gallery and Museum of Oriental Peoples (Moscow, Russia), as well as private collections: in Germany, in Munich-Oliver Michael Hasbel and Bodo Schmidz collections; In Turkey - in the collection of Hikmet Ozdan Ogli, as well as with private owners in Paris, Moscow, Berlin, New York.



შალვა მატუაშვილი. ანა იოსელიანის პორტრეტი. 1996. მუყაო, გუაში. 50x36 სმ.  
Shalva Matuashvili, Portrait of Anna Ioseliani, 1996, gouache on cardboard, 50x36 cm.



გია გუგუშვილი  
Gia Gugushvili

გია გუგუშვილმა (დ.1952) 1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და 80-იან წლებში დაიწყო შემოქმედებითი საქმიანობა და არა მხოლოდ შემოქმედებითი... ის სხვადასხვა პერიოდში იყო სამხატვრო აკადემიის პროორექტორი, 2014 წელს გია გუგუშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორად აირჩიეს. მხატვრის ნაწარმოებების დათვალიერებისას დრო განიცდება არაერთმნიშვნელოვნად. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ადამიანის უშუალო შთაბეჭდილებები ფერადი, ფარებანთებული მანქანების, ჰაერში მოსრიალე თვითმფრინავების, ვერტმფრენებისა თუ სხვა კონკრეტული გამოსახულებების მეშვეობით. ამასთან, მხატვარი იმდენად კი არ „ხატავს“ მათ, რამდენადაც ფერწერის ენით აღწერს მათგან მიღებულ უშუალო შთაბეჭდილებებს. ამიტომ ეს გამოსახულებები ჩვენ თვალწინ თანდათან კარგავს მატერიალურ ფორმას. კონკრეტული საწყისიდან განზოგადებული მხატვრული ფორმის შექმნის ტრადიცია, საზოგადოდ, ქართული მხატვრობის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა. გია გუგუშვილი ამ ტრადიციის ერთგულია და მომხიბვლელი უშუალოებით ახერხებს მაყურებლის ჩართვას დახვეწილი სტილისტიკის მქონე ნაწარმოებების შექმნის პროცესში.

Gia Gugushvili (b.1952) graduated from the Tbilisi State Academy of Arts in 1977 and started his creative work in the 80s, and not only creative ... He was the Vice-Rector of the State Academy of Arts, a full professor at Tbilisi State University and the Dean of the Faculty of Fine Arts. In 2014, Gia Gugushvili was elected as a Rector of the Tbilisi Academy of Arts. When we observe an artist's painting, time is perceived ambiguously. Direct human impressions are brought to life through specific images of colorful cars, airplanes, helicopters, etc. However, the artist does not "paint" them as much as he just describes the impressions he received from them, by means of the language of painting. Therefore, these images are gradually losing their material form. The tradition of creating a generalized artistic form from a specific beginning is, in general, one of the main features of Georgian painting. Gia Gugushvili is faithful to this tradition and manages to involve the viewer in the process of creating works with exquisite style.



გია გუგუშვილი. ნაპირი. 2019. ტილო, ზეთი. 140x180 სმ.  
Gia Gugushvili, Shore, 2019, Oil on canvas. 140x180 cm.





ნინო მორბედაძე. საგანგებო მდგომარეობა Nino Morbedadze, State of Emergency



ნინო მორბედაძე  
Nino Morbedadze

ნინო მორბედაძემ (დ.1957) თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია გრაფიკოსის სპეციალობით დაამთავრა. მხატვრის დებიუტი საერთაშორისო აუქციონზე 2020 წელს შედგა, როდესაც ლონდონში „ფილიპის“ აუქციონზე, გაიყიდა მისი ტილო „დროის ფარგლებს გარეთ“. ის მეორედ, 2021 წელსაც, „ფილიპის“ აუქციონში („XX საუკუნისა და თანამედროვე ხელოვნება“) წარმატებით მონაწილეობდა - გაიყიდა მისი სურათი „ზღაპარი“. თავისი კარიერის განმავლობაში ნინიკო მორბედაძე აქტიურად მუშაობდა კინომხატვრად რეჟისორებთან- მიხეილ კობახიძესთან, ბესარიონ გიორგობიანთან, ნოდარ მანაგაძესა და გიგა აგლაძესთან. ამ უკანასკნელის ფილმის - „სხვა მეს“ აღმასრულებელი პროდიუსერი დევიდ ლინჩი იყო. ნინო მორბედაძის ათი ტილო ნიუ-ჯერსის (აშშ) ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში, ნორტონ და ნენსი დოჯების კოლექციაშია დაცული. მისი ნამუშევრები იფინება, იყიდება, ინახება საქართველოს, ევროპისა და აშშ-ის კერძო კოლექციებში.

Nino Morbedadze was born in 1957 in Tbilisi. She attended the Tbilisi State Academy of Art Faculty of Graphic Art. Nino Morbedadze had her international auction debut in July 2020 when her work Beyond Time successfully sold at Phillips auction in London. Her second auction sale took place in April 2021 when The Fairy Tale successfully sold during the 20th Century & Contemporary Art Day Sale at Phillips, London. Throughout her career, she has worked extensively as a film production designer. Notable examples include her work with such Georgian film directors as Mikheil Kobakhidze, Besarion Giorgobiani, Nodar Managadze and Giga Agladze on the film “The Other Me” with David Lynch as the executive producer. Ten works by Nino Morbedadze are kept as part of the Norton and Nancy Dodge Collection at the Zimmerli Art Museum in New Jersey. Her works have been exhibited and sold in Georgia, and internationally to private collections across Europe, the UK and the US.



ნინო მორბედაძე. საგანგებო მდგომარეობა. 2020. ქაღალდი, ტუში, აკრილი 88x62 სმ, 124,5x88,5 სმ.  
Nino Morbedadze, State of Emergency, 2020, ink, acrylic, paper, 88x62 cm, 124.5x88.5 cm.






იური ბერიშვილი  
Yuri Berishvili

იური ბერიშვილი (დ.1958) 80-იანელთა თაობის მხატვარია. მისი ნაირფერი აბსტრაქციები ყოველთვის საცნობია, საცნობია თავისი ემოციური გამომსახველობით, მეტაფიზიკურად შეგრძნობილი სამყაროს სურათით. მხატვარი ხატავს ჟღერადი „სუფთა“ ფერებით. კომპოზიციები ლოკალური სიბრტყეებისა და თითქოს სპონტანურად მიმოფანტული წერტილ-ლაქების ათასგვარი კომბინაციით იქმნება. სპონტანურობა, ამავდროულად, გაწონასწორებულ, ჰარმონიულ მთლიანობაში ეწერება. ფორმატი განსხვავებულია... ყველაზე მცირე ზომის ნამუშევრებშიც პანორამულობის შეგრძნებაა. იური ბერიშვილის მხატვრობა ხელოვანის ემოციურ პრიზმაში გატარებული სამყაროს ასახვაა, რეფლექსიაა გარე სამყაროზე, აწმყოზე... ოდნოდ სამყაროცა და აწმყოც თითქოს ლანდშაფტზე დაიყვანება. „მხატვრული ფორმის შემოქმედებითი განვითარების პროცესს სული აძლიერებს“, - ამბობს მხატვარი და სულიერებას პროფესიონალურ კეთილსინდისიერებასთან აიგივებს. პროფესიონალიზმი კი მუდმივ წვრთნას, მცდელობას ან, როგორც თვითონ მხატვარი ამბობს, „ზემცდელობას“ მოითხოვს.

Yuri Berishvili (b. 1958) – artist of generation of 80s graduated from Tbilisi State Academy of Arts. His abstract works are always easily distinguishable with his emotional expression, with a picture of a metaphysically felt world. The artist paints with bright “pure” colors. Compositions are created by thousands of combinations of flat surfaces and spontaneously scattered spots. Spontaneity, at the same time, is created in a balanced, harmonious whole. The format is different ... even in the smallest works there is a feeling of panorama. Yuri Berishvili art is the reflection of the world, the present through his emotional prism. But the world and the present seem to be reduced to a landscape. “The process of creative development of an artistic form is enhanced by the soul,” says the artist, who equates spirituality with professional good faith. Professionalism requires constant training, effort or, as the artist himself says, “endeavor”.



იური ბერიშვილი. პეიზაჟი. 2015. ტილო. ზეთი. 100x80 სმ.  
Yuri Berishvili. Landscape. 2015. oil on canvas. 100x80 cm.



ზაზა ბერძენიშვილი  
Zaza Berdzenishvili

ზაზა ბერძენიშვილი (დ.1956) 1975 წელს დაამთავრა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. მას, როგორც XX საუკუნის ქართველი მხატვრების „ოთხმოციანელთა“ თაობის წარმომადგენელს, ქართულ თანადროულ მხატვრობაში სახისმეტყველების საკუთარი სისტემა შემოაქვს: ფერადი ფიგურატიული იდეოგრამები მისი მხატვრობის „ტექსტს“ ქმნის და ვარიაციულად მეორდება სხვადასხვა ფერწერული მოდელით. მხატვარი ფერით განსაცვიფრებელ უფექტს აღწევს. ფერის გრადაციის შესაძლებლობის გამოვლენა და ჰარმონია კონტრასტით მხატვრის სტილის უპირატესობაა. მისი ზედმიწევნით ფაქიზი ფერწერა ესთეტიზმისა და დეკორატიულობის ორიგინალურ ვარიანტს გვთავაზობს. მისი შემოქმედება სამყაროსა და ადამიანის განუყოფელ ერთიანობას, მწუხარებისა და სიხარულის კანონზომიერ თანაარსებობას, ოცნებათა გარდუვალობას - ჩვენი არსებობის ყველაზე სათუთ სიღრმეებს ეხება. ამიტომ მის მხატვრობაში სამყაროს აღქმის ნაივური მოდელი უცნაურად უკავშირდება უძველეს არქეტიპულ კოსმოგონიურ სისტემებს. მხატვრის შემოქმედება ზრდასრული ადამიანის ცდაა, შეინარჩუნოს და აღიდგინოს „ბავშვად ყოფნის“ ბედნიერება. მისი ნიუანსური ფერწერა ამ ბედნიერების იმიტაციის მოდელია და მას ბავშვობის თვალისმომჭრელი ელვარება ახლავს.

Zaza Berdzenishvili (b.1956) graduated from Iakob Nikoladze Art School in 1975. As one of the representatives of the Georgian artists' Generation of 1980s, he introduced his own system of expression in the contemporary Georgian painting – with the colorful figurative ideograms that create the “text” of his paintings, the artist achieves a stunning coloristic effect. The color gradations and harmony of contrasts is a signature element of his artworks. His meticulous paintings offer an original variant of the harmony of the aesthetics and the characteristic features of the decorative art. His works, which deal with the inseparable unity of the world and the man, sorrow and joy, the inevitability of dreams, thus touch the tender depths of our existence. The naive model of world perception in his painting is therefore strangely linked to the ancient archetypal cosmogony. The artist's work is an adult attempt to preserve and restore the happiness of being a child. His nuanced painting - a model of imitation of this happiness, is accompanied by the eye-catching glow of childhood.



ზაზა ბერძენიშვილი. პეიზაჟი. 1990. ტილო, ზეთი. 60x60 სმ.  
Zaza Berdzenishvili, Landscape, 1990, oil on canvas, 60x60 cm.



## თემურ თათანაშვილი Temur Tatanashvili

თემურ თათანაშვილი (დ.1955) დაიბადა კასპის რაიონში(საქართველო). 1975 წელს დაამთავრა თბილისის ი.ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი. მხატვარი 1979 წლიდან სისტემატურად მონაწილეობს საგაზაფხულო, საშემოდგომო, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში. თემურ თათანაშვილის ფერწერული ტილოები განზოგადოებული ფერწერის ენით მეტყველებენ. რელიგიური თუ ყოფითი ცხოვრების ამსახველ სცენებში გამომსახველობა ფერადოვანი ლაქებისა თუ სიმბოლურ გამოსახულებებად გარდაქმნილი ფორმების ურთიერთმიმართებებზე და მათ ჰარმონიულ სინთეზს იგება. 1989 წელს ფერწერის საკავშირო გამოფენაზე, მოსკოვში, მხატვარს მიენიჭა -III პრემია საუკეთესო ნამუშევრისთვის. 1998 წელს მხატვარი დაჯილდოვდა საქართველოს მხატვართა კავშირის პრემიითა და მედლით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის. თემურ თათანაშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაში; მოსკოვის ტრეტიაკოვის სახელობის სურათების გალერეაში.

Temur Tatanashvili (b.1955) was born in Kaspi region, Georgia. In 1975 graduated from Tbilisi I. Nikoladze State Art School. Painter of generation of 80s is an active participant of Spring, Autumn, Soviet Republics and International exhibitions since 1979. Temur Tatanashvili works speak the language of generalization of painting. In scenes depicting religious or everyday life, expressiveness is created by interrelations and harmonic synthesis of the colored spots or depictions of symbolic forms. 1989 at the Soviet Republics exhibition in Moscow artist was awarded the III Prize for the best work. In 1998, the artist was awarded the Prize and Medal of the Georgian Artists' Union for the best artwork of the year. Temur Tatanashvili's works are preserved in the collection of the Georgian National Museum; Tretyakov Gallery, Moscow.



თემურ თათანაშვილი. ჯებირი. 2005. ტილო, ზეთი. 68x91,5 სმ.  
Temur Tatanashvili. The Levee. 2005. oil on canvas. 68x91,5 cm.



ლეილა შელია  
Leila Shelia


ლეილა შელია (დ. 1953) 80-ელთა თაობის მხატვარია. მან 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. ლეილა შელიას სახელი, უპირველესად, აბსტრაქციასთან ასოცირდება. თუმცა მის შემოქმედებაში ნატურმორტებსაც ნახავთ და ნიუსაც... ქმნის ფერწერულსა და გრაფიკულ ნამუშევრებს. „შინაგანი განწყობა... ბუნება... კმაყოფილი ვარ, როდესაც არ ვფიქრობ და ისე გამოდის ნამუშევარი. მინდა, გადმოვცე ირეალური, არდანახული“ - ამბობს მხატვარი და ძირითად მონახაზს ერთ სეანსში, ერთი ამოსუნთქვით ქმნის. ზოგჯერ ასე ასრულებს, ზოგჯერ კი უბრუნდება და, შესაძლოა, ხანგრძლივი დრო შეალიოს ერთი ნამუშევრის დასრულებას. უმეტესად, თემა ხატვის პროცესში მოდის, ქვეცნობიერს ემორჩილება.. აბსტრაქტული აზროვნება, როგორც მთავარი ნიშანი, ლეილა შელიას შემოქმედების ადრინდელ ეტაპზე გამოიკვეთა, როცა სახვითი საგანი ჯერ კიდევ ფიგურირებდა მის კომპოზიციებში. დროთა განმავლობაში მხატვარი მეტი განზოგადებისა და აბსტრაგირების გზით მიდის. კომპოზიციები სულ უფრო მინიმალისტური ხდება. ხშირად მონოქრომული კომპოზიციები, იმავდროულად, დინამიკური, ემოციურად ღრმა და დახვეწილია.

Leila Shelia (b.1953) is a contemporary artist from the 1980s. In 1978, she graduated from the Tbilisi Academy of Arts. Her name is associated primarily with abstraction. However, her works include still lifes and news...she paints and creates graphic works. "Inner state... nature... When I don't think, I'm satisfied, and that's how the work is done. I want to convey the unreal, the unseen," says the artist, who draws the main outline in one session, with one breath. Sometimes she does so, sometimes she doesn't, and it can take a long time to finish a single piece of work. The theme usually emerges during the drawing process as a result of the subconscious...When Leila Shelia's creativity was in its early stages and a fine subject was still figured in her compositions, the main character of abstract thinking emerged. The artist becomes more and more generalized and abstract. Compositions are becoming increasingly minimalistic. Monochrome compositions are often dynamic, emotional, and sophisticated.



ლეილა შელია. სათაურის გარეშე. 2019. ტილო, ზეთი. 93x102 სმ.  
Leila Shelia. Untitled. 2019. oil on canvas. 93x102 cm.





## დათო-არჩილ სულაკაური Dato-Archil Sulakauri

დათო-არჩილ სულაკაურმა (დ.1952) 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. საკმაოდ მრავალფეროვანია მისი შემოქმედებითი გზა: 1986 წელს გამოსცა სამეცნიერო ნაშრომი „მხატვრისა და მასალის ურთიერთდამოკიდებულება“; 1987 წელს იყო ქართული თოჯინური ფილმების სცენარისტი და მხატვარი; 1989 წელს - ერთ-ერთი სცენარისტი ფილმისა „ანემია“; 1989 – 2010 წლებში შეასრულა კედლის მხატვრობა საქართველოს რეგიონებისა და უცხოეთის რამდენიმე ეკლესიაში - ღვთისშობლის სახელობის ბერძნულ ტაძარში (წალკა. 1989), მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის რუსულ ეკლესიაში (პრივოლნოე, სომხეთი. 1992); მილუოქის შარმან პარლის ლუთერანული ეკლესიის შეკრების დარბაზში (აშშ.1997); მოციქულ თომას მიერ მაცხოვრის გვერდის განხილვის სახელობის ეკლესიის ეკვდერში (ახალქალაქი. 2010).

დათო სულაკაურის შემოქმედებაში ევროპული და აღმოსავლური ხელოვნების, ასევე ქართული მონუმენტური მხატვრობის ვიზუალური ხატები ახალი შინაარსით იტვირთება, ექსპრესიული მხატვრული სამყაროს სახით ყალიბდება და ქვეყნისა და თანამედროვეთათვის სოციალურად მწვავე თემებს ეხმიანება. სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით ექსპერიმენტირება მის ფერწერულსა და გრაფიკულ ნამუშევრებს პლასტიკურთან ერთად განსაკუთრებულ ფაქტურულ გამომსახველობასაც სძენს. სულაკაურის პეიზაჟები, პორტრეტები, მრავალფიგურიანი და რელიგიური ხასიათის კომპოზიციები შთამბეჭდავია თავისი მონუმენტურობით, კომპოზიციური სტრუქტურის ორიგინალობითა და მხატვრულ სახეთა ექსპრესიულობით. მისი ნამუშევრები ინახება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, აგრეთვე საქართველოს, ავსტრიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის კერძო

Dato-Archil Sulakauri (b.1952) Alumnus of the Tbilisi State Academy of Arts (Graduated in 1978). His creative path is quite multiform and diverse: in 1986 he published the scientific work "The Relationship between Artist and Material"; In 1987 he worked as a screenwriter for the Georgian puppet films; in 1989 he became one of the screenwriters of the film "Anemia"; in a period of 1989-2010 he painted substantially monumental wall murals in several churches throughout Georgia and abroad: the Greek Church of the Nativity of the Virgin (Tsalka. 1989), the Russian Church of the Archangel Michael (Privolnoe, Armenia. 1992); the Assembly Hall of the Sharman Parley Lutheran Church in Milwaukee (USA 1997), the Church of the Examining by Doubting Thomas of the Savior's Holy Side Wound (Akhalkalaki. 2010).

Visual icons of European and Oriental art, as well as Georgian monumental paintings are imbued with new content In Dato Sulakauri's works, creating an expressive artistic world, and responding to socially acute themes of his motherland and contemporaries. Experimenting with different materials and techniques, the artist gives a special plastic and textural expression to his graphic works and paintings. Sulakauri's landscapes, portraits and religious compositions are emphatic and meaningful for their monumentality and originality of the compositional structure as well as expressiveness of the artistic images. His works are kept in the Shalva Amiranashvili Art Museum, as well as in private collections in Georgia, Austria, Switzerland, France, Great Britain and the United States.



დათო სულაკაური. ნუთისოფელი. 2017. ტილო, ზეთი. 150x230 სმ.  
Dato Sulakauri. The Earthly Life. 2017. oil on canvas. 150x230 cm.




ვახტანგ თოფურიძე  
Vakhtang Topuridze  
1960-2007

ვახტანგ თოფურიძე 1979-1985 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე (კინო-ტელე მიმართულება). იყო პროფესიონალი მთასვლელი, აფხაზეთის ომის მონაწილე, მუშაობდა ფერწერასა და გრაფიკაში, იყო კინოს მხატვარიც. 1980-იანი წლებიდან მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში საქართველოსა და უცხოეთში. 1996, 2005, 2007 წლებში მოეწყო მისი სამი პერსონალური გამოფენა, ერთი-გარდაცვალების შემდეგ. მისი ნამუშევრები დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, თბილისის სამხატვრო აკადემიის მუზეუმში, ასევე კერძო კოლექციებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

Vakhtang Topuridze studied at the Faculty of Fine Arts at the Tbilisi State Academy of Arts from 1979 to 1985. (Cinema / TV direction). He was a professional mountaineer, a participant in the Abkhaz war, a painter and graphic artist, and a film painter. He has participated in group exhibitions in Georgia and abroad since 1980. Vakhtang Topuridze had solo exhibitions in 1996, 2005, and 2007, one of which was held after his death. His works are preserved in the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, Apolon Kutateladze Tbilisi State Academy of Art Museum, and private collections in Georgia and abroad.



ვახტანგ თოფურაძე. კინგი. 1987. ტილო, ზეთი. 58x78 სმ.  
Vaktang Topuridze, King, 1987, oil on canvas, 58x78



ზაალ ბაჩანაშვილი  
Zaal Bachanashvili

ზაალ ბაჩანაშვილი (დ.1954) 80-იანელთა თაობის მხატვარია. მან 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. ზაალ ბაჩანაშვილმა როგორც მხატვარმა თავის შემოქმედებაში საკუთარი კომპოზიციური მოდელი შექმნა. მხატვარი თითქმის ყველა ნამუშევრის ზედა ნაწილში თეთრ წრეს, უფრო ხშირად კი, თეთრი წრის მცირე სეგმენტს გამოსახავს. თითოეული ნამუშევარი ცხოვრებისეულ კონკრეტულ მოვლენას უკავშირდება, რომლის არსი როგორც მიწიერისა და ყოფითისა, მხატვრის თქმით, ზეციურის თანაზიარია. მინიშნებები ნამუშევართა სათაურებშია... სწორედ ზეციური ნათლის სიმბოლოებია თეთრი წრეები მის ტილოებზე. ზეციური ნათელი კომპოზიციის დამასრულებელი და, ამავდროულად, სურათის მოჩარჩოების საზღვრის გამრღვევია, ყველაფრის საფუძველი, მიზანი თუ არსი, როგორც იმედი და მარადისობა...

Zaal Bachanashvili (b.1954), presents generation of 80s painters, who graduated Tbilisi State Academy of Arts in 1980. Zaal Bachanashvili created his own compositional model in his art. Artist paints a white circle, but more often – small segment of the white circle, in almost every work. Each work is connected with exact life event, the essence of them is both earthly and existential, according to the artist, is 'co-celestial'. Hints are in the titles of the works ... The symbols of heavenly light are the white circles on his canvases. The heavenly light is the culmination of the composition and, at the same time, it goes beyond the border of the picture frames, it is the basis, the purpose or the essence of everything, like the hope and eternity ...



ზაალ ბაჩანაშვილი. მაგიური ხმები. 2012. ტილო, ზეთი. 100x150 სმ.  
Zaal Bachanashvili. Magical sounds. 2012. oil on canvas. 100x150 cm.



## გიორგი გეგეჭკორი Giorgi Gegechkori

გიორგი გეგეჭკორი (დ.1958) - ფერმწერი, პედაგოგი, თბილისის სამხატვრო აკადემიის სრული პროფესორი. 1983 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. გიორგი გეგეჭკორი არის ფერწერის რეალისტური სკოლის მიმდევარი. შემოქმედების მთავარი თემაა პორტრეტი. მან სახელი გაითქვა ქართველ მეფეთა, საზოგადო მოღვაწეთა და ქართული თეატრის ცნობილ მსახიობთა პორტრეტული სერიებით. 1990-იანი წლებიდან აქტიურად მუშაობს სცენოგრაფიაშიც. გაფორმებული აქვს ოცზე მეტი სპექტაკლი. 1993 წელს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ალბერ კამიუს პიესა „კალიგულას“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის სცენოგრაფიისთვის მიენიჭა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია. მისი პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა 1990 წელს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა საგამოფენო დარბაზში. მომდევნო გამოფენათაგან აღსანიშნავია სოლო-ექსპოზიციები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (1999), თბილისის ხელოვნების სასახლეში (2017, 2019). მნიშვნელოვანი იყო სანტა ბარბარას სასახლეში (მადრიდი, ესპანეთი) გამართული მისი მონაწილეობით დუო-ექსპოზიცია - „ამონარიდები ორი იბერიის ისტორიიდან“ ესპანელ მხატვარ აუგუსტო ფერერ დალმასთან ერთად. გიორგი გეგეჭკორის მიერ შესრულებული პორტრეტები გამოფენილია საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, დადიანების სასახლის (ზუგდიდი), ეროვნული ბანკისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ინტერიერებში. 2017 წლიდან დღემდე კი საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეა.

Giorgi Gegetchkori (b. 1958): painter, teacher and full Professor at the Tbilisi State Academy of Arts. He graduated from the Academy in 1983. Giorgi Gegetchkori, a representative of the realistic school of painting, made a name for himself principally as a portraitist. He created a series of portraits of Georgian Kings and different public figures as well as outstanding actors of the Georgian theatre. Since 1990s he has been very active in the field of stage design - his stage oeuvre comprises more than 20 productions. His set design for the Albert Camus' Caligula at the Kutaisi Drama Theatre was awarded the Kote Marjanishvili prize. His first solo show was held in the hall of The Union of Georgian Theatre Workers in 1990. The other notable exhibitions include solo shows at the National Library of the Parliament of Georgia (1999), the Tbilisi Art Palace (2017, 2019). Among them, the duo-exhibition titled "Excerpts from the History of Two Iberians" with the Spanish artist Augusto Ferrer Dalmao at the Palace of Santa Barbara (Madrid, Spain) was of special importance. The portraits painted by Giorgi Gegetchkori are exhibited in the interior spaces of the Parliament of Georgia, the Ministry of Justice, Dadiani Palace (Zugdidi), the building of the National Bank, Tbilisi and other state institutions. Since 2017 he has been the chairman of the Georgian Union of the Theatre Workers.



გიორგი გეგეჭკორი. ივანე მუხრან-ბატონის პორტრეტი. 2017. ტილო, ზეთი 70x50 სმ.  
Giorgi Gegechkori, Portrait of Ivane Mukhran-Batoni, 2017, oil on canvas, 70x50 cm.





## ეკატერინე გელოვანი Ekaterine Gelovani

ეკა გელოვანი (დ.1957) 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მხატვარ-ფერმწერ-პედაგოგის კვალიფიკაციით. ეკა გელოვანი მიეკუთვნება მხატვართა იმ რიცხვს, რომელთათვისაც ფერით წერა საუკეთესო საშუალებაა ადამიანებთან, თანამედროვეობასთან ურთიერთობისათვის. სწორედ ამ პროცესში აფიქსირებს იგი სიახლის დაბადებას. მხატვრის აღნიშნულ კონცეფციას ადასტურებს თუნდაც ის, რომ პერსონალურზე მეტად უპირატესობას ანიჭებს თემატურ, ჯგუფურ გამოფენებს. მისთვის განმსაზღვრელია გამოფენების გამართვის ადგილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჟანრული სპეციფიკის მიუხედავად, ავტოპორტრეტების სერია „დიალოგი“ მაყურებელთან საუბრის მკაფიო მაგალითია, რაც, ამავდროულად, მხატვრის პიროვნული მახასიათებლის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური შტრიხია. განსხვავებული დამოკიდებულება ვლინდება სერიაში „ღამის თამაშები“. აქ მხატვარი ცდილობს ღამის ენერგეტიკული ველის ემოციურ დახასიათებას, როცა საგნები და მოვლენები კარგავს ჩვეულ ფორმას, ფერსა და შესაბამისად - შინაარსს. ეკა გელოვანი მუდმივად ძიების პროცესშია. მხატვრის თქმით, „ხელოვანისთვის მნიშვნელოვანია ცხოვრების შეუქცევადი რიტმი... მან უნდა აღმოაჩინოს თავის თავში ახალი და თანაგანიცადოს ის, რაც იბადება და იქმნება დღეს.“

Eka Gelovani (b. 1957) Alumna of the Tbilisi Academy of Arts, she graduated in 1983 with the qualification of painter and teacher. Eka Gelovani is one of the artists to whom the painting represents the best way to communicate with people and modernity. It is in this process that she captures the birth of novelty. This attitude of the artist is confirmed even by the fact that she definitely prefers thematic, group exhibitions to personal ones. Her personal exhibitions was held both in Georgia and abroad. Despite the specifics of the genre, a series of self-portraits titled "Dialogue" demonstrates a clear example of conversation with the audience, which, at the same time, is an important psychological feature of the artist's personal characteristics. A different attitude is revealed in a series of "The Night Games". Here the artist deals with the emotional characterization of the night's energy, that makes objects and events lose their usual form, color and, consequently, the content. Eka Gelovani is constantly in search. According to the artist, "the irreversible rhythm of life is important to the artist. He must constantly discover the novelty in himself and experience what is being born and created today."




ეკატერინე გელოვანი. ბერსაბე. 2002. ტილო, ზეთი. 47x105 სმ.  
Ekaterine Gelovani, Bathsheba, 2002, oil on canvas, 47x105 cm.



## მალხაზ დათუკიშვილი Malkhaz Datukishvili

მალხაზ დათუკიშვილი (დ.1956) 1981-1987 წლებში - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე. მალხაზ დათუკიშვილი მუშაობს შერეულ მედიაში, ქმნის კოლაჟებს, ზეთის ფერწერას, გრაფიკას. 1990-იანი წლებიდან ინტენსიურად იღვინება. გამოფენათაგან გამოვყოფთ რამდენიმეს: პერსონალური გამოფენა (რუსთავი. 1988), „ ARGENTEUIL HOTEL DES VENTES“ (აუქციონი. პარიზი, საფრანგეთი. 1990), ჯგუფური გამოფენა „ქართული ფერები“ ( ბერლინი, გერმანია. 1990), ჯგუფური გამოფენა „MGC GRADEC“ (ზაგრები, იუგოსლავია.1991), ჯგუფური გამოფენა (ქართული კულტურის ცენტრი „მზიური“. მოსკოვი. 1991 ), ჯგუფური გამოფენა „BAD SALAZUFLEN. KLAUS-DIETEN WOLF“ (გერმანია. 1998 ), პერსონალური გამოფენა (პროკრედიტ ბანკი, თელავი. 2007). სამყაროს უსასრულობა და მეზობელი ადამიანი მალხაზ დათუკიშვილის ძირითადი თემაა. მხატვრის შემოქმედებითი ბუნება მაღალი პლასტიკური კულტურის მქონე აბსტრაქტულ ფერწერაში ვლინდება. მისეული აბსტრაქტული ფორმების იდეა კვლავ ბუნებას უბრუნდება. მხატვრის თანდაყოლილი „არაფორმალური“ ინტერპრეტაციის უნარი ფერწერაში ვლინდება როგორც ფსიქიკური იმპროვიზაციის ხელოვნება. სხვადასხვა მასალასთან დაკავშირებული ექსპერიმენტები აერთიანებს მხატვრის მიერ შექმნილ ფიგურულსა და აბსტრაქტულ ელემენტებს. მალხაზ დათუკიშვილის ნამუშევრები ინახება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

Malkhaz Datukishvili (b.1956) from 1981 to 1987, studied at the Tbilisi State Academy of Fine Arts' Faculty of Fine Arts. Malkhaz Datukishvili creates collages and works in mixed media, oil paintings, and graphics. Since the 1990s, he has participated in numerous exhibitions in Georgia and abroad, including a solo exhibition in Rustavi (1988) and the "ARGENTEUIL HOTEL DES VENTES" Auction in Paris, France. (1990); a group exhibition, "Georgian Colours," in Berlin, Germany. (1990), group exhibition "MGC GRADEC" Zagreb, Yugoslavia. (1991), group exhibition at the Georgian Cultural Center "Mziuri". Moscow, USSR. (1991), group exhibition "BAD SALAZUFLEN. KLAUS-DIETEN WOLF" in Germany, (1998), and solo exhibition (ProCredit Bank, Telavi, 2007). Malkhaz Datukishvili's main themes are the infinity of the world and a fighting man. Abstract painting with a high plastic culture reflects the artist's creative nature. His concept of abstract forms reverts back to nature. Painting is the art of mental improvisation, which expresses the artist's innate "informal" ability to interpret. Experiments with various materials combine the figurative and abstract elements created by the artist. Malkhaz Datukishvili's works are preserved in the Shalva Amiranashvili Museum of Fine Art.



მალხაზ დათუკიშვილი. გოგონა ზღვის ფონზე. 2018. ტილო, აკრილი, შერეული ტექნიკა. 85,5x80,5 სმ.  
Malkhaz Datukishvili. Girl at the beach. 2018. acrylic, mixed media on canvas. 85,5x80,5 cm.



## კოკა ცხვედიანი Koka Tskhvediani

კოკა ცხვედიანი (დ. 1957) 1975-1980 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მუშაობს სხვადასხვა მედიამში. 1990-იანი წლებიდან მონაწილეობს საქართველოსა და უცხოეთში გამართულ გამოფენაში, მათ შორისაა: „კარტეზიანული ფიქრები და გულისთქმა“ (მოსკოვის საერთაშორისო არტბაზრობა, გალერეა „კამირკაზე“, მოსკოვი, რუსეთი. 1996), „GEM ATB“ (გალერეა „თბილისი“, იაპი კრედის მოედანი, სტამბული, თურქეთი. 2005), თანამედროვე ქართული ხელოვნების გამოფენა (ზაარლენდის რადიო, ზაარბრიუკენი, გერმანია. 2008), „DEVA HOLDING“ („Art Gallery“, სტამბული, თურქეთი. 2008), თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი, არტისტერიუმი IV (თბილისი. 2011), „ფერით წერა“ (თანამედროვე ხელოვნების ცენტრი, თბილისი. 2012), „ATB-Tbilisi“ (ჰაასკონსულტინგინს ოფისი, ალტნაუ, შვეიცარია. 2012).


“კოკა ცხვედიანის ესთეტიკურ პოზიციას განსაზღვრავს შემოქმედებითი პროცესი. ეს არის მედიუმითა და ფერის თვისებებით აღფრთოვანების მდგომარეობა. ისტორიულად განსაზღვრულ ნებისმიერ ხერხსა და გამოსახვის მანერას კოკა ცხვედიანი საკუთარი სიუჟეტების გამოსახვის, არტისტული სტრუქტურების მისული ინტერპრეტაციების გამოვლენის საშუალებად აქცევს. ის აკრილითა და ზეთის საღებავებით სხვადასხვა ზედაპირზე - ტილოზე, ხესა თუ მუყაოზე მუშაობს. მისი ინტერესი მედიუმისკენა მიმართულია, რომელშიც თავს იყრის ინფორმაცია ფერის, ტექსტურისა და მასალის შესახებ. აქედან გამომდინარე, ის არ იმორჩილებს მედიუმს, არ ზღუდავს მას სხვადასხვა, წინასწარ მოფიქრებული სტრუქტურითა და ფორმით. პირიქით, ყველა კომპინენტი თავად მედიუმის შესაძლებლობების შესაბამისადაა გამოვლენილი”, - წერს ილია ზაუტაშვილი ცხვედიანის ხელოვნების შესახებ.

Koka Tskhvediani (b. 1957) In 1975-1980 he studied at Tbilisi State University. Works in various media. Since 1990 he has participated in various exhibitions in Georgia and abroad, including: “Cartesian Thoughts and Intuition” (Moscow International Art Market, Gallery “Kashirka”, Moscow, Russia. 1996), “GEM ATB” (Gallery “Tbilisi”, Yapi Credi Square, Istanbul, Turkey. 2005), Exhibition of Contemporary Georgian Art (Saarland Radio, Saarbrücken, Germany. 2008), “DEVA HOLDING” (“Art Gallery”, Istanbul, Turkey. 2008), International Forum of Contemporary Art. Artisterium IV (Tbilisi. 2011), “Color Writing” (Center for Contemporary Art, Tbilisi. 2012), “ATB-Tbilisi” (Haas Consulting Office, Altnau, Switzerland. 2012).

“Koka Tskhvediani’s aesthetic position is determined by the creative process. This is a state of admiration for the medium and the properties of color. Koka Tskhvediani uses any historically defined way and style of painting as a means of depicting his own stories, revealing his interpretations of artistic structures. With oil or acrylic paints he works on various surfaces – canvas, wood or cardboard. His interest is focused on the medium, which gathers information about color, texture and material. Therefore, he does not obey the medium, does not limit it to different, premeditated structures and forms. On the contrary, all the components are identified according to the capabilities of the medium itself.” - Iliia Zautashvili wrote about Tskhvediani’s art.



კოკა ცხვედიანი. მსახური. 2013. ტილო, ზეთი. 49x43 სმ.  
Koka Tskhvediani. A Servant. 2013. oil on canvas, 49x43 sm.



## ყარამან ქუთათელაძე Karaman Kutateladze

ყარამან ქუთათელაძე (დ.1959), ფერმწერი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი. 1983 წელს მან სწავლა დაასრულა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე უჩა ჯაფარიძის სახელოსნოში. სამხატვრო აკადემიის დასრულებისთანავე იგი შეუდგა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. სხვადასხვა დროს ფერწერას ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიის კინოს, რესტავრაციისა და გრაფიკის ფაკულტეტებზე. მუშაობდა სახვითი ფაკულტეტის დეკანად. იყო უჩა ჯაფარიძის, შემდგომ კი- კოკა იგნატოვის თანამემწე. ყარამან ქუთათელაძე არის მხატვართა დინასტიის წარმომადგენელი. პაპა დედის მხრიდან თბილისური ავანგარდის ერთ-ერთი შემომქმედი კირილე ზდანევიჩია; მამა - ფერმწერი და თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი აპოლონ ქუთათელაძე. ყარამან ქუთათელაძე საბჭოთა დროს მონაწილეობდა უამრავ საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენაში. 1988 წელს თბილისის მუსიკალურ ცენტრში ვივალდის „წელიწადის დროების“ შესრულების პარალელურად (დირიჟორი ვ. სპივაკოვი) მოეწყო ყარამან ქუთათელაძის ამავე სახელწოდების პერსონალური ექსპოზიცია - ცენტრის ფოიეში გამოიფინა მხატვრის 12 ნამუშევარი. 1991 წელს ქ. სიეტლში (ამერიკა) გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მისი პერსონალური გამოფენა. ამას გარდა, სხვადასხვა წელს მხატვრის არაერთი სოლო-ექსპოზიცია მოეწყო პარიზში. ყარამან ქუთათელაძის თაოსნობით 2008 წელს შიდა ქართლის სოფელ გარიყულაში დაარსდა თანამედროვე ხელოვნების რეგიონული ცენტრი, სადაც ყოველ წელს ძმები ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „ფესტინოვა“ („Fest I Nova“) იმართება და მოქმედებს არტისტული რეზიდენცია. მხატვრის ნამუშევრები დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

Karaman Kutateladze (b. 1959) - a painter and a lecturer at the Tbilisi State Academy of Arts. In 1983, he graduated from the Faculty of Painting of the Tbilisi State Academy of Arts in Ucha Japaridze's studio. After graduating from the Academy of Arts, he began his active pedagogical activities. During different periods, he taught painting at the faculties of film, restoration, and drawing at the Tbilisi State Academy of Arts. He was the Dean of the Faculty of Fine Arts. He was Ucha Japaridze's assistant, and later - Koka Ignatov. Karaman Kutateladze is descended from a well-known artistic dynasty. Kirill Zdanovich, his grandfather from his mother's side, is one of the founders of the Tbilisi Avant-Garde; his father, Apollon Kutateladze, was a prominent Georgian artist, and rector of Tbilisi State Academy of Art. Karaman Kutateladze participated in numerous spring and autumn exhibitions during the Soviet time. In 1988, against the background of the performance of Vivaldi's The Four Seasons (conductor - V. Spivakov) at the Tbilisi Music Center, Karaman Kutateladze's solo exhibition with the same title was organized - the artist's 12 works were exhibited in the lobby of the centre. In 1991, his solo exhibition dedicated to the Independence Day of Georgia was held in Seattle (USA). In addition, several solo exhibitions of the artist were held in Paris in different years. Under the direction of Karaman Kutateladze, a regional centre for contemporary art was established in 2008 in the Shida Kartli, the village of Garikhula, where the Zdanovich Brothers International Festival of Contemporary Art Festival "Fest I Nova" is held each year and serves as an artistic residence. The works of Karaman Kutateladze are preserved in the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, and private collections.



კარამან კუთათელაძე. სამოთხე. ჩვენ მივდივართ გურჯაანში. 2021. ტილო, ზეთი, შერეული ტექნიკა. 100x200 სმ.  
Karaman Kutateladze, Paradise. We are going to Gurjaani, 2021, oil, mixed media on canvas, 100x200 sm.





## მამუკა მიქელაძე Mamuka Mikeladze

მამუკა მიქელაძემ (დ.1959) სამი ათწლეულის განმავლობაში მოაწყო 15 პერსონალური გამოფენა, მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტ ჯგუფურ ექსპოზიციებში, მოხატა 10 ეკლესია საქართველოში და ერთი საფრანგეთში (პარიზის წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარი). პერსონალური გამოფენები გაიმართა აშშ-ში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაში, აზერბაიჯანში, რუსეთში, იტალიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, დიდ ბრიტანეთში. მამუკა მიქელაძის მხატვრობა ხასიათდება სტილიზებული მისტიკური გამოსახულებებით, რაც ილუმინაციის შეგრძნებას აღძრავს, ფერთა მონაცვლეობა კი მოცულობისა და სივრცის ილუზიას ქმნის. ხშირად გამოსახავს ცხოველებს, რომელთა ფონად იყენებს მცენარეულსა და გეომეტრიულ მოტივებს. ინსპირაციის საფუძველი ხშირად მითოლოგიაზე, ბიბლიასა და ყოველდღიურობაზე დაფუძნებული ინფორმაციაა. დეფორმაციის, განზოგადების, ექსპრესიულობისა და ორიგინალური კომბინაციების წყალობით, ნამუშევრები ზოგჯერ არარეალური და მისტიკური განწყობითაც ხასიათდება. მხატვრის პრინციპი სიმბოლოთა სიჭარბე და სტილური მრავალფეროვნება - პოლისტილურობაა (არა ეკლექტიზმია). მის ნამუშევრებში მრავლად ვხვდებით პოზიტიური ენერჯის მატარებელ ცხოველთა სამყაროს, მითოსურსა და ბიბლიურ პერსონაჟებს. წლების განმავლობაში კედლის მხატვრობაზე მუშაობისას შექმნილი გამოცდილება მის დაზგურ ნამუშევრებშიც იგრძნობა. ძნელია მამუკა მიქელაძის ხელოვნება რომელიმე კონკრეტულ მიმდინარეობას მიაკუთვნო, მისი ნამუშევრები არც ერთ სტილთან არ ასოცირდება. ის სრულიად გამორჩეულია. მხატვარი არ მიყვება ერთხელ არჩეულ გზას. მის ყოველ სურათში სიახლე და აღმოჩენა, ფერთა განსხვავებული აქცენტებია. ის მუდმივად ინდივიდუალური გამოხატვის საშუალებათა ძიებაშია.

Mamuka Mikeladze (b. 1959) exhibitions have been held in the USA, Canada, France, Germany, Azerbaijan, Russia, Italy, Austria, Switzerland, and Great Britain. Over three decades, the artist has organized 15 solo exhibitions, participated in more than 30 group exhibitions, and painted ten churches in Georgia and one in France - St. Tamar's Georgian Orthodox Church in Paris. Mamuka Mikeladze's painting is characterized by stylized mystical images, which evoke a sense of mystery, and the alternation of colours creates the illusion of volume and space. He often depicts animals using plant and geometric motifs as a background. His inspiration is often based on the information from mythology, the Bible, and everyday life. Due to the deformation, generalization, expressiveness, and unique combinations, some of his works are characterized by an unreal and mystical atmosphere. The principle of the artist is the abundance of symbols and stylistic diversity - polystylism (not eclecticism). In his works, we meet a lot of animals and mythical and Biblical characters filled with positive energy. In his works, one can feel the experience gained while working on the mural painting for years. It is hard to attribute Mamuka Mikeladze's art to any particular genre; his works do not match any style. He is unique. The artist does not follow the path that has been walked once. The novelty and discovery of new, different accents of colours can be observed in each of his paintings. He is constantly in search of means of individual expression.




მამუკა მიქელაძე. არწივი. 2015. ტილო, აკრილი. 90x150 სმ.  
Mamuka Mikeladze, An Eagle, 2015, acrylic on canvas. 90x150 cm.



გიორგი გუგუშვილი  
George Gugushvili

გიორგი გუგუშვილი (დ.1957) 1986 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. 1985-1986 წლებში იყო ფოთის სახელმწიფო თეატრის მთავარი მხატვარი. გაფორმებული აქვს სპექტაკლები: „კოლხეთის დაბლობი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „თეთრი ბაირალები“. 1991 - 93 წლებში სატელევიზიო გადაცემების დამდგმელი მხატვარი იყო. 2007 – 2012 წლებში კი- თბილისის სამხატვრო აკადემიაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, პროექტებისა და საგამოფენო დარბაზ „აკადემია HALL“-ის- კურატორი. ის დამდგმელ მხატვრად იქნა მიწვეული ფესტივალებისა და დიზაინერული შოუების გასაფორმებლად, რომელთა შორისაა: „Kent Fashion Show“ (1995 ), „Sisley - Benetton – Polo“ (1995 ), „ ART UNDERGROUND - ტერორიზმის წინააღმდეგ“ (2005). გიორგი გუგუშვილის ნამუშევრები ყოველთვის გამოირჩეოდა ლაკონურობით, ექსპრესიულობითა და მონუმენტურობით. პორტრეტების სერია, რომლებიც შესრულებულია ავტორისული ექსპრესიული და მკვეთრად ინდივიდუალური სტილით, გიორგი გუგუშვილის შემოქმედების ადრეულსა და შუა ეტაპს ეკუთვნის.

Giorgi Gugushvili (b. 1957) graduated from the Faculty of Graphic Art of the Tbilisi State Academy of Arts in 1986. From 1985 to 1986, he was the chief set designer at Poti State Theater. He has produced several plays, including "Kolkheti Plain," "Samanishvili's Stepmother," and "White Flags." He was a television program director from 1991 until 1993. From 2007 to 2012, he was the curator of the Public Relations Service, Projects, and Exhibition Space "Academy HALL" at the Tbilisi State Academy of Arts. He has directed festivals and design exhibits such as the Kent Fashion Show in 1995, the Sisley-Benetton-Polo shows in 1995, and the "ART UNDERGROUND" against terrorism in 2005. Giorgi Gugushvili's artworks have always been distinguished by their conciseness, expressiveness, and monumentality. The portrait series, done in the author's expressive and distinct style, dates from the early and middle periods of Giorgi Gugushvili's career.



გიორგი გუგუშვილი. პორტრეტი #90. 2016. მუყაო,ზეთი, აკრილი. 100x70 სმ.  
George Gugushvili. The Portrait #90. 2016. oil, acrylic on cardboard. 100x70 cm.



ოლგა ფლორენსკაია  
Olga Florenskaya

ოლგა ფლორენსკაია (დ.1960) - ფერმწერი, გრაფიკოსი, კერამიკოსი და მოქანდაკე, დაიბადა ლენინგრადში, მხატვრების ოჯახში. 1982 წელს დაამთავრა ვერა მუხინას სახელობის უმაღლესი სამხატვრო-ტექნიკური სასწავლებლის კერამიკის განყოფილება. მეუღლე ალექსანდრ ფლორენსკისთან ერთად არის ჯგუფ "Митьки"-ს შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1985), პეტერბურგის მხატვართა კავშირის წევრი (1988). ალექსანდრე ფლორენსკისთან ერთად განახორციელა არაერთი მასშტაბური შემოქმედებითი პროექტი. მათ შორის, ანიმაციური ფილმები: „ამბავი ყველაზე დიდი“ და „ნალაფარი ფილმები“. მიღებული აქვს რუსეთში გამართული საერთაშორისო კინოფესტივალების მრავალი ჯილდო. ოლგა ფლორენსკაიამ სახელი გაითქვა ქალაქისა და ქსოვილისგან შექმნილი კოლაჟებით. მის პერსონალურ გამოფენებს მასპინძლობდნენ როგორც კერძო გალერეები, ასევე სახელმწიფო მუზეუმები. მათ შორის: ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის მუზეუმი ( პეტერბურგი, ), „Gallerie Vallois Sculpture“ ( პარიზი), „OAT gallery“ (თბილისი), „Totibadze Gallerie“ (მოსკოვი). მისი ნამუშევრები ინახება რუსული მუზეუმის, ერმიტაჟის, ტრეტიაკოვის გალერეის, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების, მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის, ლონდონის „VICTORIA & ALBERT“-ისა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციებში. მხატვარი ცხოვრობს და მუშაობს სანკტ-პეტერბურგსა და თბილისში.

Olga Florenskaya (b. 1960) = Painter, graphic artist, ceramicist and sculptor, born in 1960 in Leningrad, in a family of artists. In 1982 she graduated from the ceramics department of the Vera Mukhina Higher Art and Technical School. Together with his spouse Alexander Florensky, she organized a group of artists called "Митьки" ("Mit'ki") (1985). She has been a member of the St. Petersburg Artists' Union since 1988. Together with Alexander Florensky she has carried out a number of large-scale creative projects. Among them are the animated films: "The Story of the Greatest of the Miracles" and "The Trophy Films". She has been awarded a number of awards at international film festivals in Russia. Olga Florenskaya primarily made a name for herself with collages made of paper and fabric. Her solo exhibitions have been hosted by both private galleries and state museums. Among them: the Museum of the Academy of Fine Arts (St. Petersburg, Russia), "Gallerie Vallois Sculpture" (Paris, France), "OAT Gallery" (Tbilisi), "Totibadze Gallery" (Moscow, Russia). Her works are kept in the collections of the Russian Museum, the Hermitage, the Tretyakov Gallery, the Pushkin Museum of Fine Arts, the Moscow Center for Contemporary Art, the VICTORIA & ALBERT Museum in London, and the Shalva Amiranashvili Museum of Art. The artist lives and works in St. Petersburg and Tbilisi.



ოლგა ფლორენსკაია. ბანაობა აკრძალულია. 2020. ტილო, ზეთი. 60x80 სმ.  
Olga Florenskaya. Swimming is prohibited. 2020. oil on canvas. 60x80 cm.



## ალექსანდრე ფლორენსკი Alexander Florensky

ალექსანდრე ფლორენსკი (დ.1960) ფერმწერი, გრაფიკოსი, კერამიკოსი. დაიბადა 1960 წელს ლენინგრადში, მხატვრების ოჯახში. 1982 წელს დაამთავრა ლენინგრადის ვერა მუხინას სახელობის უმაღლესი სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებლის კერამიკის განყოფილება. არის მხატვართა გაერთიანება „Митьки“-ს შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1985 წ.), პეტერბურგის მხატვართა კავშირის გრაფიკის სექციის წევრი (1988 წ.). 1997-2005 წლებში იყო გალერეა „Митьки - ВХУТЕМАС“-ის კურატორი. ამას გარდა, მუშაობდა თანამედროვე ხელოვნების განყოფილების ხელმძღვანელად სახელმწიფო მუზეუმში (ცარსკოე სელოს კოლექცია. რუსეთი). არის კოლექციონერი. აგროვებს ქართველი და რუსი თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებს. მეუღლე ოლგა ფლორენსკაიასთან ერთად განახორციელა არაერთი სახელოვნებო და საგამომცემლო პროექტი. ალექსანდრე ფლორენსკის ნამუშევართა ექსპოზიციებს სხვადასხვა დროს მრავალი კერძო გალერეა და სახელმწიფო მუზეუმი მასპინძლობდა. მათ შორისაა: „Totibadze Gallery“ (მოსკოვი, რუსეთი), არტცენტრი „ВИНЗАВОД“ (მოსკოვი, რუსეთი), სახელმწიფო რუსული მუზეუმი (პეტერბურგი, რუსეთი), ტრეტიაკოვის გალერეა (მოსკოვი, რუსეთი) და ერმიტაჟი (პეტერბურგი, რუსეთი). ალექსანდრე ფლორენსკის ნამუშევრები ინახება რუსული მუზეუმის, ერმიტაჟის, ტრეტიაკოვის გალერეის, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების, მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების ცენტრისა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციებში.

Alexander Florensky (b. 1960): painter, graphic artist and ceramicist, Alexander Florensky was born in 1960 in Leningrad, in the family of artists. In 1982 he graduated from the Ceramics Department of the Vera Mukhina Higher Art and Industrial School in Leningrad. He was one of the founders of the Union of Artists „Митьки“ (Mit'ki), (1985), and member of the graphic section of the St. Petersburg Artists' Union (1988). In 1997-2005 he acted as a curator of the gallery „Митьки - ВХУТЕМАС“ and worked as head of the department of contemporary art at the State Museum (Tsarskoe Selo Collection. Russia). The painter is an avid collector of works of Georgian and Russian contemporary artists. Together with his wife Olga Florenskaya, he has implemented a number of art and publishing projects. Exhibitions of the artist's works have been hosted by numerous private galleries and state museums at various times. These include the Totibadze Gallery at the VINZAVOD Art Center (Moscow, Russia), the Russian State Museum (St. Petersburg, Russia), the Tretyakov Gallery (Moscow, Russia), and the Hermitage (St. Petersburg, Russia). The works of Alexander Florensky are kept in the collections of the Russian Museum, the Hermitage, the Tretyakov Gallery, the Pushkin Museum of Fine Arts, the Moscow Center for Contemporary Art and the Shalva Amiranashvili Museum of Art.



ალექსანდრე ფლორენსკი. ანბანი. 2020. ტილო, ზეთი. 18x24 სმ. (33 ნამუშევარი)  
 Alexander Florensky, Alphabet, 2020, oil on canvas, 18x24 cm. (33 artworks)





გელა წულაძე  
Gela Tsuladze

გელა წულაძე (დ.1959) გასაბჭოების შემდგომ საფრანგეთში ემიგრირებული ოჯახის შთამომავალია; 1977-1980 წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. შემდეგ საცხოვრებლად პარიზში გადავიდა და სწავლა განაგრძო პარიზის სახვითი ხელოვნების ეროვნულ სკოლაში (École des Beaux-Arts). აქ გაიცნო და დაუახლოვდა მხატვართა გაერთიანება „თავისუფალი ფიგურაციის“ წევრებს. მათთან ერთად მისი ნამუშევრები იფინებოდა სხვადასხვა გალერეაში. გელა წულაძემ თბილისსა და ბათუმში “სტრიტ-არტის” ფორმატი და თანამედროვე ურბანული ქანდაკებების იდეები შემოიტანა. მისი წარდგინებითა და კურირებით თბილისში დაიდგა კონცეპტუალისტი მხატვრის, ჟან დიუპის სკულპტურა „ანაციკლისტი“ და ბათუმში - „WHERE“. ხოლო ბათუმის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, მოეწყო მარგარეტ და ემე მაგების ფონდის აბრეშუმის შარფების კოლექციის გამოფენა. გელა წულაძე არის არაერთი პოპულარული ურბანული სკულპტურის ავტორი, ესენია: ლითონის ქანდაკება „ყირამალა“, „მე მიყვარს ბათუმი“, „ვარიაციები სიყვარულზე“, „ლოკოკინა“. მისი შექმნილია საქართველოს დროშა, სადაც ჯვრების ნაცვლდ გულებია გამოსახული და სხვ.

Gela Tsuladze (b. 1959) is the descendent of the Georgian immigrant family who after the Georgia's Sovietization left the homeland for France. From 1977 to 1980, Gela Tsuladze studied at the Tbilisi State Academy of Arts. He then moved to Paris, where he continued his education at the "Ecole des Beaux-Arts". Here he became acquainted with members of the Artists' Union of "Free Figuration" (Figuration Libre). Gela Tsuladze introduced Street-art in Tbilisi and Batumi and realized many ideas of contemporary urban sculptures. With his presentation and curatorial work, the conceptual artist Jean Dupuy set up two sculpture: "Anacyclist" in Tbilisi and "Where" in Batumi. He also curated the exhibition "Les Foulards de la Galerie Maeght" at the Batumi Contemporary Art Center and the Dimitri Shevardnadze National Gallery, which featured silk scarves based on artist sketches from the collections of Marguerite and Aime Maeghts. Gela Tsuladze is the author of several well-known urban sculptures, including "Upside Down," "I Love Batumi," "Variations on the Theme of Love," and "The Snail." He created an image of Georgian flag, which features red hearts instead of red crosses.



გელა წულაძე. სიყვარული მძიმეა. 2021. ტილო, აკრილი. 131x106 სმ.  
Gela Tsaladze. Love is Heavy. 2021. acrylic on canvas. 131x106 cm.



## გიორგი ლაზარაშვილი Giorgi Lazarashvili

გოგი ლაზარაშვილი (დ.1946) 1969 წელს დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, 1976 წელს კი-თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი), რომლის პედაგოგია იგი 1985 წლიდან არის საიალენო სპორტის ოსტატი, მწვრთნელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. გოგი ლაზარაშვილი 1976 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში. გამართული აქვს პერსონალური გამოფენები: მირზაანში (1985), თბილისსა და მოსკოვში (1989); ჰანოვერში (გერმანია), თბილისში (1994), მიუნჰენში („ბოდო შნიდსის“ გალერეა, გერმანია. 1996), აისბერგენსა (გალერეა “შპიგელ”, გერმანია. 2002) და პეტერს-ჰაგენში (კულტურის ცენტრი, გერმანია. 2006). მიღებული აქვს თბილისის მხატვართა საერთაშორისო არტფესტივალის III (1999) და I (2001) ხარისხის პრემიები. გოგი ლაზარაშვილის აბსტრაქციები ძალზე ექსპრესიული, ფერადოვანი და კონცეპტუალურია, გამოირჩევა უკიდურესი დაძაბულობით ტილოზე. მისი ნამუშევრები ინახება ტრეტიაკოვის გალერეაში (მოსკოვი, რუსეთი), კერძო კოლექციებში, საქართველოში, გერმანიაში, საფრანგეთში, ფინეთში, კანადაში, აშშ-ში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში, იტალიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, იაპონიაში, ირანში, ისრაელში, უნგრეთში, თურქეთში, ქუვეითში, ბელგიასა და დიდ ბრიტანეთში.

Gogi Lazarashvili (b. 1946) graduated in 1969 from Tbilisi Technical University and in 1976 from the Tbilisi State Academy of Arts (Faculty of Fine Arts), where he has been teaching since 1985. He is a master of sailing, a coach, and a champion of Georgia. Gogi Lazarashvili has participated in various exhibitions since 1976, personal exhibitions have taken place in Mirzaani (1985), Tbilisi and Moscow (USSR) (1989), Hanover, Germany, and Tbilisi (1994), “Bodo Schnids Gallery”, Munich, Germany, (1996), “SPIEGEL Gallery”, Eisbergen, Germany, (2002), and Cultural Center, Peter Hagen, Germany, (2006.). He was awarded the International Art Festival’s III (1999) and I Quality Prizes (2001). His works are in private collections in Georgia, Germany, France, Finland, Canada, the United States, the Netherlands, Switzerland, Italy, Greece, Spain, Japan, Iran, Israel, Hungary, Turkey, Kuwait, Belgium, and the United Kingdom.



გიორგი ლაზარაშვილი. აქ და ახლა. 2021. მუყაო, ზეთი. შერეული ტექნიკა. 76x76 სმ.  
Giorgi Lazarashvili. Here and Now, 2021. oil, mixed media on cardboard. 76X76 cm.




## ლევან ურუშაძე Levan Urushadze

ლევან ურუშაძე (დ.1960) 1990 წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე იწყებს საგამოფენო საქმიანობას საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ - აშშ-სა (ნიუ-იორკი) და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში (ბერლინი, ციურიხი, ლისაბონი, მონაკო, ამსტერდამი, რომი, მოსკოვი). მისი გამოფენების არასრული ნუსხა ასეთია: ჯგუფური გამოფენა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (თბილისი. 1991); გამოფენა „Совинцентр“-ში ( მოსკოვი, რუსეთი.1992); გამოფენა „სამი სუბიექტი“ გალერეა „25 კადრში ( მოსკოვი, რუსეთი. 2009); სოლო გამოფენა გალერეა „Colorida“-ში ( ლისაბონი, პორტუგალია.2010); გამოფენა მე-13 საერთაშორისო არტბაზრობა „Art Zurich“-ზე (ციურიხი, შვეიცარია.2011); გამოფენა «Zurich Art Fair» ( ციურიხი, შვეიცარია. 2012); გამოფენა „Art Monaco“ ( მონტე კარლო, მონაკოს სამეფო. 2012); გამოფენა «Отражение» მხატვრის სახლში (მოსკოვი, რუსეთი. 2013).

ერთი ამონარიდი ლევან ურუშაძის შემოქმედების შესახებ წერილიდან, რომელიც ჯ. სანდერს იტონმა გამოაქვეყნა ნიუ-იორკში გამოცემულ ჟურნალ „Gallery & Studio“-ის ნომბრის ნომერში: „...ლევან ურუშაძის ექსპრესიის საშუალებებს, მთლიანად როგორც მის თანმიმდევრულ ნამუშევრებს, ასევე მისი ინდივიდუალური მგრძობილობის ერთგვარი უნიკალური ბეჭედი, რომელიც გადაფარავს მის ეკლექტიკას და მძლავრად მჟღავნდება ტილოს თითოეულ შტრიხში....“

Levan Urushadze (b. 1960) After graduating from the Tbilisi Academy of Arts in 1990, he started his exhibition activity in Georgia and abroad - in the United States (New York) and in various European cities (Berlin, Zurich, Lisbon, Monaco, Amsterdam, Rome, Moscow). The incomplete list of his exhibitions is as follows: 1990. - Group exhibition (Vienna, Austria); 1991 - Group exhibition at the Museum of Contemporary Art (Tbilisi); 1992 - Exhibition in “Sovincentr” (Moscow, Russia); 2009 - Exhibition “Three Subjects” Gallery “25 frames (Moscow, Russia); 2010 - Solo exhibition at the Gallery “Colorida” (Lisbon, Portugal); 2011 - Exhibition at the 13th International Art Market “Art Zurich” (Zurich, Switzerland); 2012 - Exhibition “Zurich Art Fair” (Zurich, Switzerland); 2012 - Exhibition “Art Monaco” (Monte Carlo, Kingdom of Monaco); 2013 - Exhibition “Reflection” at the artist’s house (Moscow, Russia).

One extract from a letter about Levan Urushadze’s work, written by J. Sanders Eaton published in the November issue of the New York-based magazine Gallery & Studio: ‘Levan Urushadze’s means of expression, as well as all his consistent works, bear a unique seal of his individual sensitivity, which overlaps his eclecticism and is strongly revealed in each line of the canvas ....’



ლევან ურუშაძე. ძველი ქუჩა. 2021. ტილო, ზეთი. 60x50 სმ.  
Levan Urushadze. Old Street. 2021. oil on canvas. 60x50 cm.



ლევან ჭიჭინაძე  
Levan Chichinadze

ლევან ჭიჭინაძე (დ.1961) ფერმწერი, თეატრის მხატვარი, პედაგოგი. მან 1986 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფეკულტეტი თეატრის მხატვრობის მიმართულებით (პედაგოგი ფარნაოზ ლაპიაშვილი). გაფორმებული აქვს სპექტაკლები თბილისის ახმეტელის სახელობის (თამაზ ბაძაგუას პიესის „ღუზა ჩაუშვი, ანგელოზო!“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი) და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში, ასევე სარდაფისა და ილიაუნის თეატრებში. მისი პერსონალური გამოფენები სხვადასხვა დროს მოეწყო თბილისის გალერეებში- გალერეა TMS-ში, „ვერნისაჟში“. ლევან ჭიჭინაძის ნამუშევრები დაცულია საქართველოს, გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების კერძო კოლექციებში. წლეულს მისი ნამუშევარი პირველად შეისყიდა სახელმწიფომ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმისთვის.

Levan Chichinadze (b. 1961) - painter, scenographer, lecturer. In 1986 graduated from Tbilisi Fine Arts Academy, Fine Arts faculty with the specialty of a scenographer (teacher Parnaoz Lapiashvili). He has created scenography at the Akhmeteli Theater in Tbilisi (a play based on Tamaz Badzagua's play "Cast Anchor, Angel!"), at the Kote Marjanishvili Theater, as well as in the Basement and Iliauni Theaters. His personal exhibitions were held at different times in Tbilisi galleries - Gallery TMS, "Vernissage". Levan Chichinadze's works are preserved in private collections in Georgia, Germany and the United States. This year, his work was purchased by the ministry for Shalva Amiranashvili Art Museum for the first time.



ლევან ჭიჭინაძე. სკვერი. 2011. ტილო, ზეთი. 123x80 სმ.  
Levan Chichinadze. Square, 2011. oil on canvas. 123x80 cm.






გიორგი მირზაშვილი  
Giorgi Mirzashvili

გიორგი მირზაშვილი (დ.1961) მხატვრთა 80/90-იანელთა თაობის წარმომადგენელია. მან 1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. „ფერწერულ ნამუშევარზე მუშაობისას ჩემი პირველადი მიზანია, მივადწიო კომპოზიციისა და ფერის ერთიანობას, ვცდილობ, ჩემი სურათი გავხადო ფერში ინტენსიური და ექსპრესიული ნახატში... მე მჯერა, რომ ფერწერაში მთავარი მოძრაობაა, დინამიკა, რომელიც ტრანსფორმირდება სტატიკაში... ჩემთვის დასრულებული ფერწერული ტილო არის დინამიკური სტატიკა, კონტრასტსა და ოპოზიციას აგებული ჰარმონია“- ამბობს მხატვარი. გიორგი მირზაშვილი არაჩვეულებრივად პროდუქტიული მხატვარია. შემოქმედებითი პროცესი კი მხატვრული ნაწარმოების ჰარმონიულ მთლიანობაში კონტრასტისა და ოპოზიციების გამდაფრების გზაა. რაც უფრო მდაფრდება კონტრასტი, მიღწეული ჰარმონია უფრო გამომსახველია... ფერწერის სამეტყველო ენაც ვითარდება და თითქოს თავიდანვე მიღწეული სასურველი სიზუსტეც დაუსრულებლად იხვეწება.

Giorgi Mirzashvili (b. 1961) is an artist from the 1980s and 1990s who graduated from the Tbilisi Art Academy in 1984. "My primary goal when working on a painting is to achieve the unity of composition and colour. I try to make my painting's colour intense and its image expressive... I believe that the most important element in the painting is movement, a dynamic which is transformed into statics... The finished painting is dynamic statics, a harmony built on contrast and opposition." says the artist. Giorgi Mirzashvili is a particularly prolific artist. The creative process is a method of emphasizing the contrasts and oppositions in the work of art's harmonious whole. The greater the contrast, the more expressive the harmony... The eloquent language of painting evolves as well, and it appears that the desired accuracy achieved from the beginning is infinitely refined.



გიორგი მირზაშვილი. ნატურმორტი. 2021. ტილო, აკრილი. 50x40 სმ.  
Giorgi Mirzashvili. Still Life. 2021. acrylic on canvas. 50x40 cm.



## ილია პატაშური Ilya Patashuri

ილია პატაშური (დ.1939) 1960-იან წლებში გამოდის სამხატვრო ასპარეზზე. 1939 წელს ხევშაში დაიბადა და, თუ მის შემოქმედებას გადავავლებთ თვალს, ნათელი გახდება, რომ ქართული მითის კოსმოგონია მუდმივად თან სდევს. თითქოს ის მუდმივად მითოლოგიზირებულ დროში ცხოვრობს. ასე იყო, როდესაც ბავშვობაში ნახშირით ქვის ლოდებსა და სახლის კედლებზე ხატავდა დევებს და ასეა ახლაც, ათეული წლების შემდეგ, როდესაც ასრულებს აბსტრაქტულ ფერადოვან სურათებს. ილია პატაშურის შემოქმედება ჟანრულად მრავალფეროვანია. უმთავრესად, ესაა ტრადიციული ჟანრები - ისტორიული, პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ყოფითი სცენები. ყველა ამ ჟანრის სურათები შესრულებულია ინტენსიურ ფერთა შეხამებით. ფერი მასთან მითოლოგიის გამომხატველია. ილია პატაშურის ნამუშევართა ხილვა ნათელს ხდის, რომ ფერის ძიებამ ის აბსტრაქციებამდე მიიყვანა. იმის თქმაც შეიძლება, რომ აბსტრაქციული მხატვრული აზროვნებისაკენ მიდრეკილება მხატვრის ადრეულ შემოქმედებაშიც ჩანს, თუმცა აქ აბსტრაქცია ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობით კი არაა, არამედ ეს პატაშურისეული აბსტრაქციაა. ამ „ფერთა მეწყერშიც“, როგორც დავით ანდრიაძე უწოდებს პატაშურის შემოქმედებას, ჩანს რაციონალური, თუნდაც აკადემიური მიდგომა. მხატვარს მრავალნიანი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და წოდება, მათ შორის, 1975 წელს - საქართველოს კულტურის სამინისტროს პრიზი წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის - „მწყემსის ოჯახი“, 1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება, ხოლო 2001 წელს გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 2012 წელს ქართულ კულტურაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის მხატვარს გადაეცა თბილისის მერიის საპატიო სიგელი, 2018 წელს კი - ღირსების ორდენი.

Ilya Patashuri (b.1939) was born in the village of Khevsha and appeared in the art arena in the 1960s. and if we look through his works, it becomes clear that the Georgian mountain cosmogony always follows him; as if he lives in a constantly mythologized time. As a child, he painted Georgian mythological creatures – “Devis” with coals on the walls of houses, and it is the same now, many decades later, when he performs abstract coloured compositions. The works of Ilya Patashuri are diverse in genres, mainly traditional, historical genres, everyday scenes, landscape, portrait, and still life. They are made in a combination of rich colours, the colour itself is an expression of mythologem. Seeing the works of Ilya Patashuri makes it clear that the quest for colour led him to abstractions. It can also be said that the tendency toward abstract artistic thinking is also observed in the artist’s early works, however, in this case, abstraction does not imply the common sense of the word but rather - Patashuri’s original abstraction. Even in this “landslide of colours” - as Davit Andriadze calls Patashuri’s work - there seems to be a rational and even academic approach. The artist has received numerous awards and titles for his many years of fruitful creative work, including the 1975 Prize of the Ministry of Culture of Georgia for the best composition of the year – “Family of Shepherd”; in 1982, he was awarded the title of Honored Artist of Georgia. In 2012, the artist was awarded an honorary diploma from Tbilisi City Hall for his special contribution to Georgian culture, and in 2018 - the Order of Honor.



ილია პატაშური. პეიზაჟი. 2019. ტილო, ზეთი. 67x76 სმ.  
Iliia Patashuri. Landscape. 2019. oil on canvas. 67x76 cm.



ალექსანდრე (ავთო) მოსიაშვილი  
Aleksandre (AvTo) Mosiashvili

ალექსანდრე (ავთო) მოსიაშვილი (დ.1939) სწავლობდა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ფერწერის განხრით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. ავთო მოსიაშვილი გამოფენებში მონაწილეობას იღებს 1969 წლიდან. 1986 წელს ტოკიოში მხატვართა საერთაშორისო გამოფენაზე დაჯილდოვდა ოქროს მედლით, 1990 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. 2017 წელს დაჯილდოვდა „სამაყო დიდუბელის“ წოდებითა და მედლით. 2018 წელს კი - ღირსების ორდენით. 1990 წელს გაიმართა ავთო მოსიაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა ქ.მოსკოვში. 2004 წელს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულმა გალერეამ უმასპინძლა მხატვრის პერსონალურ გამოფენას. 2009 წელს მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა გალერეა „დი-არტში“. იგი მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებშიც: პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ბულგარეთსა და რუსეთში. ავთო მოსიაშვილის მკვეთრად ინდივიდუალურ ხედვა და ოსტატობის მაღალი დონე ყველაზე უკეთ მის აბსტრაქციებში აისახა. იგი ერთ-ერთი პირველი აბსტრაქციონისტია ქართულ სახელოვნებო სივრცეში. მისი ნამუშევრები დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეასა და აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში ( მოსკოვი, რუსეთი)

Aleksandre (Avto) Mosiashvili was born in Dusheti in 1939. He continued his studies at the Tbilisi State Academy, majoring in Fine Arts, after completing his studies at Iokob Nikoladze Art School. He has been participating in exhibitions since 1969. He won a gold medal at the International Exhibition of Artists in Tokyo in 1986, and in 1990. Mosiashvili was awarded the title of Honored Artist of Georgia. He was given the title of "Praiseworthy Didubean" and a medal in 2017. In 2018, by the nomination of the Artist's Union of Georgia, the artist was awarded a "Medal of Honor". Mosiashvili's first solo exhibition was held in Moscow in 1990. His solo exhibitions were held at the Dimitri Shevardnadze National Art Gallery in 2004 and the "D-Art" Gallery in 2009. He has also taken part in group shows in Poland, Lithuania, Latvia, Bulgaria, and Russia. Avto Mosiashvili's boldly individual vision and high level of mastery were best reflected in his abstractions. He is regarded as one of Georgia's first abstractionists. His works are preserved at the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, the Tretyakov Gallery, and the Museum of Oriental Art in Moscow, Russia.



ავთო მოსიაშვილი. ნოსტალგია. 2010. ტილო, ზეთი. 150x150 სმ.  
Avto Mosiashvili. Nostalgia. 2010. oil on canvas. 150x150 cm.




## დათო კრაწაშვილი

Dato Kratsashvili

1963–1980

დათო კრაწაშვილს (1963 – 1980) პატარა გენიოსი შეარქვეს. წერდა, ხატავდა, მღეროდა. 17 წლისა გარდაიცვალა. დათოს ამ სტრიქონებში ჩანს, რომ იგი თავის ნაადრევ გარდაცვალებასაც წინასწარმეტყველებდა: „გასვენების დღეს იქნება წვიმა, წვიმის წვეთებიც დამიტრებენ, დამასვენებენ თბილისის მიღმა და, ალბათ, სამუდამოდ, დამივიწყებენ“... დათო კრაწაშვილმა დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო ათწლედი ფორტეპიანოს განხრით. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ფერწერის განყოფილებაზე. 1979 წელს თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყობილ ჯგუფურ გამოფენაზე დათო დაჯილდოვდა სიგელითა და პრიზით („ვენერა“) საუკეთესო კომპოზიციისათვის „წვიმიანი დღე“. ეს მისი პირველი და სიცოცხლეში ერთადერთი აღიარება იყო. დათომ დატოვა 1000-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, 35 ლექსი და 10-მდე დღიური. სამწუხაროდ, არ შემორჩენილა მისი მუსიკალური იმპროვიზაციები. დათოს პირველი პერსონალური გამოფენა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1981 წელს, მოეწყო შავნაბადაზე ახალგაზრდული ქალაქის საგამოფენო დარბაზ „ფიროსმანში“, რასაც მოჰყვა საქართველოსა თუ უცხოეთის სხვადასხვა ქალაქში გამართული პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენები, მაგალითად, გამოფენა კინოთეატრ „თბილისის“ საგამოფენო დარბაზში (მოსკოვი. 1982), ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეაში (თბილისი. 1982), ნამუშევართა ექსპოზიცია (სანკტ-პეტერბურგი. 1983), 20 ნამუშევრის გამოფენა (სტუდენტთა და ახალგაზრდობის მე-12 მსოფლიო ფესტივალი. მოსკოვი. 1985). 1988 წელს საერთაშორისო ფესტივალზე – „მშვიდობის დროშა“ დათოს ნამუშევრებს გაეცნო ბულგარეთი. მოგვიანებით, თი-ბი-სი ბანკის საგამოფენო დარბაზში დათოს 72 ტილო გამოიფინა (თბილისი. 2007), სიდნაღში კი - 65 ნამუშევარი (სიდნაღის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმი. 2009). 17 წლის მხატვრის ფენომენალური შემოქმედებითი ნიჭის გამო 1988 წელს აშშ-ის სმიტსონის საერთაშორისო ასტრონომიულმა ცენტრმა 3146 ნომრით ცნობილ პლანეტას უწოდა „დათო“. „ეს ბიჭი გენიოსი იყო და მადლობა შევწიროთ ღმერთს, რომ დათომ ჩვენს აღტაცებაში მოსაყვანად თავისი გენიის ნაწილი დაგვიტოვა“, - წერდა ამერიკელი ხელოვნებათმცოდნე მაქს გეიტორი.

Dato Kratsashvili was called a “little genius”. He used to write, paint, and sing. He died 17 years old (1963 - 1980). The lines of his poem reveal that he also predicted his untimely death: „It will rain on the day of the funeral, even the raindrops will mourn me, they will bury me outside Tbilisi and, probably, I will be forgotten forever“... Dato Kratsashvili graduated from the the ten-year piano school at the Vano Sarajishvili State Conservatory. In the same year, he enrolled in the painting department of the Iakob Nikoladze Art School in Tbilisi. In 1979, at a group exhibition organized at the House of Art Workers in Tbilisi, artist was awarded a diploma and a prize (“Venus”) for the best composition – “Rainy Day”. It was his first and the only acknowledgement in life. Artist left up to 1000 paintings and drawings, 35 poems, and up to 10 diaries. Unfortunately, his musical improvisations have not survived. Dato Kratsashvili’s first solo exhibition after his death, in 1981, was held at the Shavnabada, City of Youth, exhibition hall “Pirosmani”, which was followed by solo and group exhibitions in various cities of Georgia and abroad; for example, the exhibition in the exhibition hall of the Cinema Tbilisi (Moscow, USSR 1982), Elene Akhvediani Children’s Art Gallery (Tbilisi. 1982), an exhibition of works in St. Petersburg, USSR. (1983), an exhibition of 20 works at the 12th World Festival of Students and Youth. Moscow, USSR. (1985). In 1988, Bulgaria got acquainted with Dato Kratsashvili’s works at the international festival “Peace Flag”. Later, his 72 paintings were exhibited in the exhibition hall of TBC Bank (Tbilisi. 2007), and 65 works - at Signaghi Historical-Ethnographic Museum. (2009). Due to the phenomenal creative talent of the 17-year-old artist, in 1988 the Smithsonian International Astrophysical Observatory in the USA named the planet known as 3146 “Dato”. “This boy was a genius, and thank God that Dato left us part of his greatness to impress us” - wrote American art critic Max Gaitor.



დათო კრანაშვილი. წვიმიანი დღე. 1979. ქაღალდი. შერეული ტექნიკა. 110x70 სმ.  
Dato Kratsashvili. Rainy Day. 1979. mixed media on paper. 110x70 cm.



ზურაბ გიკაშვილი. სკამები Zurab Gikashvili, Chais







ზურაბ გიკაშვილი  
Zurab Gikashvili

ზურაბ გიკაშვილი (დ. 1961) სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (1986-1992). ჯერ კიდევ სტუდენტობისას, 1991 წელს, მან მოიგო სამხატვრო კონკურსი და მხატვარ მარკუს ლიუპერცისთან ერთად დაჯილდოვდა იტალიის ქალაქ ჯიბელინაში, ხმელთაშუა ზღვის პირველ ატელიეში, მუშაობის უფლებით. კონკურსი ორგანიზებული იყო აკილე ბონიტო ოლივას მიერ. ზურაბ გიკაშვილი თანამშრომლობდა „The Studio Francesco Messina Museum“- ის დამფუძნებელთან, მხატვარ კარლა აკარდისა და მოქანდაკე ფრანჩესკო მესინასთან. მუშაობდა რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტ ზურაბ წერეთლის სტუდიაშიც. ზურაბ გიკაშვილის ნამუშევრები ინახება ჯიბელინაში (იტალია) თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ასევე აღმოსავლური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (მოსკოვი, რუსეთი). 2000 წელს მისი ნამუშევრები გამოიფინა ლონდონის სამეფო აკადემიაში. გამოფენა ოფიციალურად გახსნა საქართველოს პრეზიდენტმა ელუარდ შევარდნაძემ. 2010 წელს კი ის საქართველოს (ქვეყანას) წარადგენდა პრადის ბიენალეზე. მისი ნამუშევრები სხვადასხვა კოლექციის, მაგალითად, „Huma Kabakci“-ის ნაწილია. 2013 წლიდან ხელოვანი მუშაობდა გერმანელ მოქანდაკე ანატოლ ჰერცფელდთან. 2015 წელს ჰაგენში, კარლ ერნსტ ოსტჰაუსის მუზეუმში, მოეწყო ზურაბ გიკაშვილის პერსონალური გამოფენა. 2017 წელს მან შექმნა საქსოფონის სკულპტურა „The Moers Jazz Festival“ - ისთვის.

Zurab Gikashvili (b.1961) studied at the Tbilisi State Academy of Arts (1986-1992). In 1991, Gikashvili won an art competition and was awarded to attend the 1st Mediterranean Atelier in Gibellina, Italy, with the Dean of The Academy of Fine Arts of Düsseldorf, Germany, famous artist Markus Lüpertz, organized by the art critic and historian of the contemporary art Achille Bonito Oliva. Zurab Gikashvili has been working with an abstract artist Carla Accardi and the founder of “The Studio Francesco Messina Museum”, sculptor Francesco Messina. He also worked in the studio of the President of the Russian Academy of Arts. Zurab Tsereteli in Moscow (Russia). Zurab Gikashvili’s artworks are kept at The Gibellina Civic Museum of Contemporary Art, at the State Museum of Oriental Art in Moscow, Russia. In 2000, the artist’s works were presented at the Royal Academy of London Summer Exhibition. The exhibition was opened by the President of Georgia, Edward Shevardnadze. In 2010, Georgia (the country) was represented by Zurab Gikashvili at the Prague Biennale.




ზურაბ გიკაშვილი. ნატურმორტი. 2010. ტილო, ზეთი, აკრილი. 145x125 სმ.  
Zurab Gikashvili. Still life. 2010. oil, acrylic on canvas. 145x125 cm.



ლევან ხარანაული  
Levan Kharanauli

ლევან ხარანაულმა (დ. 1963) 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. მხატვარი ჯგუფურ გამოფენებში მონაწილეობას იღებს 1983 წლიდან. პერსონალური გამოფენები გამართული აქვს თიანეთის მხარეთმცოდნეობის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნებისა და ქართული ლიტერატურის მუზეუმებში; თბილისის კერძო გალერეებში - „TMS“-სა და „ძველ გალერეში“. სხვადასხვა წელს მისი სოლო გამოფენები მოეწყო ნანტიში, პარიზში (საფრანგეთი) და ბოლონიაში (იტალია). ლევან ხარანაულს დასურათებული აქვს თავისი მამის - ბესიკ ხარანაულის პოეზიის კრებულები, მარიამ ხუცურაულის „სანათას წიგნი“; კინორეჟისორ გოდერძი ჩოხელის პროზაული კრებული „ბინდისფერი ხეობიდან ცამდე“. 1988 წელს ამავე რეჟისორის ფილმში - „ადღომის ბატკანი“ მან მთავარი როლი შეასრულა. ლევან ხარანაულის ნამუშევრების უმეტესობა ინახება იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ლუქსემბურგის და საქართველოს კერძო კოლექციებში. ხარანაულის ფერწერული შემოქმედების მთავარი მოტივებია პორტრეტები, მშობლიური თიანეთის პეიზაჟები და ნატურმორტები. მისი მოდელები, უმეტესად, საკუთარი თავი, ოჯახის წევრები და მეგობრები არიან. ნატურმორტებში ის უბრალო საგნებით - ჭიქებითა თუ ბავშვების ფეხსაცმელებით, საკუთარი ოჯახის ყოველდღიური გარემოსა და ოჯახისავე ისტორიის ამსახველ ხატებს ქმნის. ოჯახთან ერთად ცხოვრობს და მუშაობს დაბა თიანეთში.

Levan Kharanauli (b.1963) graduated from the Tbilisi State Academy of Arts in 1986 . The artist has participated in group exhibitions since 1983. He had solo exhibitions at the Tianeti Local Museum, the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, Giorgi Leonidze State Museum of Literature, and the “Gallery TMS” and “Old Gallery” in Tbilisi, Nantes, Paris (France), and Bologna (Italy). Levan Kharanauli has illustrated the collections of poetry of his father - Besik Kharanauli; Mariam Khutsurauli’s “Sanata’s Book”; Film director and novelist Goderdzi Chokheli’s collection of verses “Village of Twilight Colour”. In 1988, Levan Kharanauli played the lead in the same director’s film “Easter Lamb.” The majority of Levan Kharanauli’s works are held in private collections in Italy, Germany, France, Spain, Luxembourg and Georgia. Portraits, landscapes, and still lifes of the native Tianeti are the main themes in Kharanauli’s paintings. His models are mainly his family and friends. With simple objects such as cups or children’s shoes, he creates icons of his family’s everyday environment and family history in his still lifes. He lives with his family and works in Tianeti.



ლევან ხარანაული. მხატვარ მიხეილ ნონიკაშვილის პორტრეტი. 1988. ზეთი, დაპრესილი ხე. 92x81 სმ.  
Levan Kharanauli. Portrait of artist Mikheil Nonikashvili. 1988. oil, pressed wood. 92x81 cm.



დავით ალექსიძე  
David Alexidze

დავით ალექსიძე (დ. 1966) 1990-იან წლებში იწყებს საკუთარი ხელოვნების დემონსტრირებას. მას დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია აქტიურ სახელოვნებო სივრცეში დამკვიდრებისათვის, სადაც სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე (1988-1991) აღმოჩნდა. ის იყო „უნდერკინდი“ ხელოვნებაში, რომელმაც ადრეულ ასაკშივე სრულიად ჩამოყალიბებული მხატვრული სისტემა შექმნა საკუთარი ფილოსოფიითა და კრიტიკული აზროვნებით. დავით ალექსიძის ხელოვნებას, შესაძლოა, ყველაზე ზუსტად მისტიკური რეალიზმი განსაზღვრავდეს. მის მხატვრობაში შეიძლება გამოიყოს ოთხი ხაზი: შავ ფონზე წყლის საღებავებით შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები; შავ ფონზე (ზოგჯერ ფაქტურულ ზედაპირზე) ფიგურატიული ფერწერული ნამუშევრები; ყვითელი სერია და შავ-თეთრი აბსტრაქციები, რომლებიც ერთიანად საგნის ასახვის უტრირებით ხაზგასმულ პოზიციას ამჟღავნებს და გაურბის რეალობას. იდეა კი რეალობას მოწყვეტილი მაინც არაა. XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში შექმნილი მისი ნამუშევრები რეალური შეგრძნებების კრებულაა, რომელიც, ფერადონების მიუხედავად, საკმაოდ მუქია, თუმცა ამ წყვილიაღმში არ იკარგება მაყურებელი. ეს კი ერთგვარი თამაშია ან იდეა თამაშზე, რაც თანამედროვე ქართულ მხატვრობაში სრულიად ახალია.

In the 1990s artist, David Alexidze (b.1966) first introduced his artworks to the public. It did not take him much effort to get established within the Georgian artistic society, where he found his place right after graduation from the Tbilisi State Academy (1988-1991). He was a prodigy in arts, having created in his early years a sophisticated artistic system through active philosophical and critical thinking. David Alexidze's art can most precisely be described as mystic realism. In general four trends can be identified in Davit Alexidze's art: graphical works created with water-based paints on black background, figurative paintings on a black background (sometimes on the textured surface), yellow series and black-and-white abstractions, which altogether demonstrate the underlined position by exaggerated imaging of an object, avoid the reality and even depicting creatures. But the concept here is still not isolated from reality. David Alexidze's art is created in the late 20th and early 21st centuries is a collection of real senses, which regardless of the richness of colours, is quite dark, although the audience does not get lost in this gloom; This is a brand-new game or idea about the game in current Georgian painting.



დავით ალექსიძე. ჯვარცმა. 1992. ტილო, ზეთი. 85x95 სმ.  
David Alexidze. The Crucifixion. 1992. oil on canvas. 85x95 cm.





მურთაზ შველიძე  
Murtaz Shvelidze

მურთაზ შველიძემ (დ. 1965) თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია 1992 წელს დაამთავრა. მისი შემოქმედებითი ცხოვრების გზის დაწყება დიდ პოლიტიკურ ქართველებს დაემთხვა. 1990-იანი წლების თბილისი, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილი, „პერესტროიკის“ პერიოდის წინააღმდეგობებით სავსე გარემოა. „მხატვრობა ყოველთვის იყო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რაც საქართველოსთვის იმ გარდამტეხ დროს დამენმარა, ჩემი სათქმელი მხატვრულ ფორმაში გამომეხატა და დღემდე ასე გრძელდება.“- ამბობს მურთაზ შველიძე. მისთვის საინტერესოა ერთი საკითხის განსხვავებულ რაკურსში დანახვა, მხატვრული ფორმებით ექსპერიმენტირება. ის ხშირად მიმართავს სერიულ პრინციპს. ხელოვანის თქმით, მხატვრული ფორმითა თუ შინაარსით განსხვავებული ნამუშევრები ყოველთვის დაკავშირებულია მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპთან. ის ძირითადად მუშაობს ფერწერის დარგში, თუმცა 1999 წელს შექმნილი ინსტალაცია „ძველი ტელევიზორები“ (გამოფენა „ხიბლი“) სერიოზული განაცხადი იყო ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში. მხატვრის პერსონალურ გამოფენათაგან გამორჩეული იყო მისი პირველი გამოფენა „Landscapes“ „ძველ გალერეაში“ (1997), ბოლო პერიოდში კი აღსანიშნავია „Dedicace Gallery“-ისთან თანამშრომლობით ორგანიზებული გამოფენები „თვალთვალი“ და „Detectio“.

Murtaz Shvelidze (b.1965): painter, alumnus of the Tbilisi State Academy of Arts (1992). The beginning of the Murtaz Shvelidze's path of independent creative life coincided with the great political turbulence: Tbilisi of the 1990s, as part of the post-Soviet space, became the scene of post-Perestroika contradictions and clashes between the paramilitary groups. "Painting has always been the most important part of my life. It helped me greatly at that turning point for Georgia to express my feelings in artistic form and thus it continues to this day," Murtaz Shvelidze says. He seeks to see one and the same issue from different angles and to experiment with artistic forms. He often applies the principle of seriality. According to the artist, his artworks that differ in form and content always correspond to the particular stages of his life. He works mainly in the field of painting, although his installation "Old TVs" created in 1999 became a significant statement in the field of the Georgian contemporary art. Among the artist's personal exhibitions the most noteworthy is his first solo show "Landscapes" at the "Dzveli galerea" ("Old Gallery"), (1997), and the most recent ones "Surveillance" and "Detectio" organized in collaboration with the Dedicace Gallery.




მურთაზ შველიძე, აეროპორტი. 2005. ტილო, ზეთი. 110x140 სმ.  
Murtaz Shvelidze. The Airport. 2005. oil, canvas. 110x140 cm.



## კოტე სულაბერიძე Kote Sulaberidze

კოტე სულაბერიძე (დ. 1968) მხატვრების 90-იანელი თაობის წარმომადგენელია. კოტე სულაბერიძის ნამუშევრები 1990-იანი წლების დასასრულს გამოჩნდა. ჯერ კიდევ მის სადიპლომო ნამუშევარში გამოვლინდა ვიზუალური და ვერბალური ინფორმაციის სინთეზირების მცდელობა. კოტე სულაბერიძის ისტორია უცნაურად იწყება: როდესაც აკადემიაში აბარებდა, მას ჯანმრთელობის ცნობა მოსთხოვეს, თვალის ექიმმა მხატვარი დალტონიზმის დიაგნოზით გამოისტუმრა, გადამოწმებისას კი ფერადოვანი მხედველობის დარღვევა დაუდასტურეს. დალტონიზმის თემაზე მხატვარმა ნამუშევრებიც შექმნა, სახელწოდებით „დალტონიკის თვლებით“. ნამუშევარი „დალტონიზმით დაავადებულის თვალთა ხედვით“ (2012 წ.) გალერეა ბაიას დაკვეთით „Sotheby’s“-ის გამოფენისთვის შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ ამავე დასახელების ინსტალაცია ავტორმა 1999 წელს შექმნა პროექტისთვის „ხიბლი“. ეს ნამუშევარი მხატვრის მიერ ფერთა შესწავლის შემდგომი ეტაპია. დიპტიქის ორი ნაწილი ურთიერთუარყოფაა. მათში გამოცემულია, თუ როგორ ხედავს სამყაროს დალტონიკი და ჩვეულებრივი ადამიანი. ნამუშევარი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხედვის ნორმატივებსა და სამყაროს ჩვენებურ აღქმას. კოტე სულაბერიძის ხელოვნება მრავალშრიანობით გამოირჩევა. მხატვრის ნამუშევრები გარკვეულ ვიზუალურ ისტორიებს ასახავს და წარმოადგენს ყოველდღიურობის ვიზუალურ ხატებს. მის ხელოვნებაში, დაცულია ხატოვანი აზროვნების ვიზუალური გამოსახულებებით თხრობის საუკეთესო ქართული ტრადიციები.

Kote Sulaberidze (b.1968) is a representative of the 1990s generation of artists. His works first were shown in the late 1990s. Kote Sulaberidze's diploma work demonstrated attempts to synthesize visual and verbal information. Kote Sulaberidze's story begins unusually: when enrolling in the academy, he was asked for a health certificate; an optometrist diagnosed the artist with colour blindness during the examination. The artist has created a diptych on the theme of colour blindness, titled "By Eyes of the Colourblind." The Baia Gallery commissioned "By Eyes of the Colorblind" (2012) for the Sotheby's exhibition. It is worth noting that the artist created an installation of the same name for the project "Khibli" (Charm) in 1999. The work is a further development in Sulaberidze's research of colour. The two parts of the diptych are negations of each other and reflect the world through the eyes of a colour blind person and one with regular vision. The work questions the normative of vision and our visual perceptions of the world. Kote Sulaberidze's art is distinguished by its multi-layered nature. Kote Sulaberidze's works signify certain visual histories and represent visual icons of everyday life. His art upholds the best Georgian traditions of pictorial thinking, of storytelling with visual images.



კოტე სულაბერიძე. წინანდლის ბაღი. 2018. ტილო, ზეთი. 70x100 სმ.  
Kote Sulaberidze. The Garden in Tsinandali. 2018. oil on canvas. 70x100 cm.



მიშა გოგრიჭიანი  
Misha Gogrichiani

მიშა გოგრიჭიანი (დ. 1967) თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაამთავრა. 1990-იანი წლების დასაწყისში მისი ნამუშევრები გამოჩნდა ქართულ საგამოფენო დარბაზებში და დამთავლიერებელს თავი ფერწერული მინიმალისტური ნაიური ხელწერით დაამახსოვრა. 1990-იანი წლების დასასრულ მხატვარი საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 90-იანი წლების საქართველო ამერიკულ ყოველდღიურობას „შეაზავა“ და შექმნა ნოსტალგიური ხასიათის სურათების სერიები ყველაფერ ამერიკულზე. საქართველოში დაბრუნებული მიშა გოგრიჭიანი თანამშრომლობს „დედიკას გალერეასთან“ და მისი ნამუშევრებიც აქტიურად იფინება. 2010 წელს გაიხსნა მისი პირველი გამოფენა „მამაჩემის მონადირე ძაღვები“. ამას მოჰყვა გამოფენები: „ალპინისტის დღიური“ (2013), „სცადეთ კიდე ერთხელ“ (2014), „პროცენტები“ არტისტერიუმის ფარგლებში (2015), „მხატვრის სახლი“ (2016), „კლასი / ბედნიერი ბავშვობა“ (2017), „თუ არ შეგიძლია ფრენა, ისწავლე ვარდნა“ (2018). 2019-2020 წლებში კი მიშა გოგრიჭიანი მონაწილეობდა „დედიკას გალერეაში“ მოწყობილ ჯგუფურ გამოფენებში სახელწოდებით „პერ ასპერა“ და „მიყვარს ყავა, მიყვარს ჩაი.“ გარდა ამისა, ხელოვანი აქტიურად მონაწილეობს ედინბურგის, ვაშინგტონის, პარიზის, ლონდონისა და სხვა ქალაქების ჯგუფურსა თუ სოლო გამოფენებში.

Misha Gogrichiani (b.1967) in 1992 graduated from the Tbilisi State Academy of Arts. His paintings first appeared in Georgian exhibition spaces in the early 1990s, and the viewers remember him for his minimalist, naive painting style. The artist moved to the United States in the late 1990s. He creates a series of nostalgic images about everything American, where the Georgia of the 1990s is “fused” with American everyday life. Misha Gogrichiani collaborates with “Dédicace Gallery” after returning to Georgia, and his works are actively exhibited. “My Father’s Hunting Dogs,” his first exhibition was held in 2010. The following shows: “Alpinist’s Diary” in 2013, “Try Once Again” (2014), “Interest” within the Artisterium (2015), “Artist’s House” (2016), “Class /Happy Childhood” (2017) and “If You Can’t Fly, Learn to Fall” (2018). Misha Gogrichiani took part in group exhibitions at the “Dédicace Gallery” in 2019-2020: “Per Aspera” and “I Love Coffee, I Love Tea.” Furthermore, the artist actively participates in group and solo shows in Edinburgh, Washington, Paris, and London, among other cities.



მიშა გოგრიჭიანი. ვალოთებული ინტელიგენტი. 2008. ტილო, ზეთი. 120x90 სმ.  
Misha Gogrichiani. White Collar Alcoholic. 2008. oil on canvas. 120x90 cm.



## მიშა შენგელია Misha Shengelia 1959-2020

მიშა შენგელია (1959-2020) დაიბადა მეცნიერთა ოჯახში. მისი პაპა - ბოტანიკოსი ნიკო კეცხოველი 1945-1953 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი. 1982-1989 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში. ხატვა შეიწავლა დამოუკიდებლად. მასზე დიდი გავლენა იქონიეს მოდერნისტმა მხატვრებმა, რომელთა ნამუშევრების რეპროდუქციები ნახა ლენინგრადის ბუკინისტურ მაღაზიაში ნაყიდ წიგნში „Modern Painting. Contemporary Trends“. მხატვრის სიტყვით, სწორედ ეს წიგნი გახდა მისი სახელმძღვანელო. მხატვარი თავის ნამუშევრებს ყიდდა ქუჩაში, რუსთაველის გამზირზე. იგივე გააგრძელა ქალაქ ათენში, სადაც ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და კუნძულ როდოსზე მისი პერსონალური გამოფენაც მოეწყო. თბილისში მიშა შენგელიას პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა „ბაია გალერეაში“ 1995 წელს. ამის შემდგომ ის თბილისის სამხატვრო წრეების განუყოფელი წევრი გახდა. 1999 წელს გლაზგოს თანამედროვე ხელოვნების ცენტრის მიწვევით რამდენიმე სხვა ქართველ მხატვართან ერთად მან სამთვიან სარეზიდენციო პროგრამაში მიიღო მონაწილეობა და გლაზგოში ორი პერსონალური გამოფენა მოაწყო. ლონდონში ნანახმა საფოსტო ურიკამ წარწერით - „Royal Mail“ მხატვარს შთაგონება მისცა, შეექმნა საფოსტო ბარათების ფერწერული სერია, რომელსაც „Replica Gallery“ დაარქვა. მეორე პერსონალური გამოფენა „Royal Mail“ კვლავ „ბაია გალერეაში“ გაიმართა 2007 წელს. მხატვრის ნამუშევრები გავანტულია მსოფლიოს უამრავ კერძო კოლექციაში. განსაკუთრებით ბევრი ინახება არჩილ დარჩიას, ალექსანდრე და ოლგა ფლორენსკების, ლენა და დერეკ მიულერების კოლექციებში. 2022 წელს მიშა შენგელიას ნამუშევრები, კულტურის სამინისტროს ინიციატივით, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმისთვის შეიძინეს, ხოლო კოლექციონერებმა ლენა და დერეკ მიულერებმა მუზეუმს ორი ნამუშევარი უსასყიდლოდ გადმოსცეს.

Misha Shengelia (1959-2020) was born into the family of scientists. His grandfather - botanist Niko Ketskhoveli, was the rector of Tbilisi State University in 1945-1953. Alumnus of the Geology Department of the Tbilisi State University, he worked for some time at the Institute of Geology of the Georgian Academy of Sciences (1982-1989). He studied painting and drawing independently and was greatly influenced by modernist artists, whose works he saw for the first time in the book "Modern Painting. Contemporary Trends" which he happened to purchase in Leningrad from a secondhand bookseller. According to the artist, this book became his art-guide and tutor. At the beginning, the artist was selling his works on the streets - mostly on Rustaveli Avenue in Tbilisi. The same continued in the city of Athens, where he attracted the attention of the public interested in art and his personal exhibition was organized on the island of Rhodes. Misha Shengelia's first solo exhibition was held at the "Baia Gallery" in 1995 in Tbilisi. After that he established himself as an integral member within the Tbilisi artistic circles. In 1999, at the invitation of the Glasgow Center for Contemporary Art, he participated in a three-month residency program with several other Georgian artists and organized two solo exhibitions there. While travelling to London the mail carts with the inscription of "Royal Mail" caught his attention. That inspired him to create a series of postcard-paintings called "Replica Gallery". The latter became the theme for his second solo exhibition titled "Royal Mail" that was held again at the "Baia Gallery" in 2007. The artist's works are scattered in numerous private collections around the world. Great number of his paintings are kept in the private collections. In 2022, Misha Shengelia's works were purchased for the Shalva Amiranashvili Art Museum at the initiative of the Ministry of Culture, while Lena and Derek Mueller donated two works to the Museum.



მიშა შენგელია. God Save the Queen. 2010. ტილო. შერეული ტექნიკა. 58x38 სმ.  
 Misha Shengelia. God Save the Queen. 2010. mixed media on canvas. 58x38 cm.





## კოტე ჯინჭარაძე Kote Jincharadze

კოტე ჯინჭარაძე (დ.1962) თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ 1992 - 1996 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა სანკტ-პეტერბურგში; 1996 –1997 წლებში კი-მოსკოვში. 2001 წლიდან კოტე ჯინჭარაძე თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორია. 2000-იანი წლების განმავლობაში, სხვადასხვა სახელწოდებით მხატვრის გამოფენები მოეწყო არაერთ სახელოვნებო სივრცეში: „OBJECT SPACE“. Rouin გალერეა (ჟენევა, შვეიცარია. 2011 ), „დუმილი თანხმობის ნიშანია“. პერფორმანსი (პონტ-ნეფი, პარიზი, საფრანგეთი. 2011) „დროის სუბსტანციები“. კოტე ჯინჭარაძე მუშაობს კონცეპტუალური ხელოვნების მიმართულებით. მისი პროექტებისა და გამოფენების მთავარი თემაა მნიშვნელოვანი ეპოქალური გამოგონებები. ეს გამოგონებები პირველყოფილი ადამიანის ცეცხლის ასანთები ნაკეთობა, თუ თანამედროვე ურთულესი მექანიზმები, მინიმალისტური გამომსახველობითი საშუალებებით მის მიერ შესრულებულ ფერწერულსა და გრაფიკულ ნახატებში მოგვაგონებს ნაცნობსა თუ უცნობ დანადგარებსა და საგნებს. მხატვრის მიერ ამ ფორმით შემოთავაზებული პროექტები მნახველს აძლევს ფიქრისა და განსჯის საშუალებას. საინტერესოა მისი პოლიტიკურ-სოციალური აქცია-პერფორმანსებიც, მაგალითად, 2013 წელს ლიტვაში, ქალაქ ვილნიუსში, ჩატარებული აქცია-პერფორმანსი „დუმილი თანხმობის ნიშანია“ ან 2014 წელს თბილისში კანცელარიის შენობასთან მუშათა უფლებების დასაცავად მოწყობილი პერფორმანსი „წყლის ნაყვა“. კოტე ჯინჭარაძემ 2005 წელს რაჭაში პირველი საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „არტრა“ დააფუძნა და რეგიონის მუზეუმებსა და სახელოვნებო დაწესებულებებთან თანამშრომლობით ყოველწლიურ ღონისძიებებს მასპინძლობს.

Kote Jincharadze (b. 1962) after graduating from the Tbilisi State Academy of Arts, Kote Jincharadze lived and worked in St. Petersburg (1992-1996) and Moscow (1996 – 1997). Since 2001, he has been a professor at the Tbilisi State Academy of Arts (Media art and Design). During the 2000s, exhibitions of the artist were held under various titles in several art spaces: “OBJECT SPACE” at the Rouine Gallery, (Geneva, Switzerland. 2011), “Silence Is a Sign of Consent” (performance, Pont-Nefi, Paris, France. 2011) etc. Kote Jincharadze mostly works in the field of conceptual art. The main theme of his projects and exhibitions are important epoch-making inventions that have fundamentally changed human life in general. These inventions - primitive human fire lighters or modern sophisticated mechanisms - remind us of familiar or unfamiliar installations and objects in his paintings and graphic drawings with minimalist means of expression. The projects proposed by the artist in this form allow the viewer to think and judge. His political and social action-performances are also interesting, for example, “Silence is a Sign of Consent” held in 2013 in Vilnius, Lithuania, or the performance “Water Grinding” organized in 2014 to protect the rights of workers at the Chancellery in Tbilisi. Kote Jincharadze founded the first international contemporary art festival “Artra” in Racha in 2005 and since then has been hosting the annual events in cooperation with the region’s museums and art institutions.



კოტე ჯინჭარაძე. თევზის ისტორია. 1998. მუშაობა, აკრილი. 150x180 სმ.  
Kote Jincharadze. A History of a Fish. 1998. acrylic, oilcloth. 150x180 cm.



ვახო ბუღაძე  
Vakho Bugadze

ვახო ბუღაძე (დ. 1964) 1982-1991 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1990-იანი წლების საქართველოში არსებული რთული პოლიტიკურ-სოციალური სიტუაცია, ბუნებრივია, აისახა კულტურაზეც. ასეთ ვითარებაში მხატვარი ხელოვნებას გადარჩენის ზონად კი აღარ აღიქვამს, არამედ, პირიქით, ხელოვნების ენით ხმამაღლა აცხადებს თავის დამოკიდებულებას ეპოქალური პრობლემებისადმი. რთულია განისაზღვროს ვახო ბუღაძის მხატვრული სტილი, რადგან ის აბსტრაქციისა და ფიგურატიულობის ძალიან სპეციფიკური სინთეზია და მაყურებელში მუდმივად საზღვრის წინ დგომის განცდას ბადებს. მხატვარმა ქართულ სახვით ხელოვნებაში შემოიტანა და დაამკვიდრა სრულიად სხვა ესთეტიკა. კატაკლიზმურსა და აგრესიულ სამყაროში თვითიდენტობის ძიებისა და შენარჩუნების პრობლემა უკიდურესად მწვავედ აღიქმება მის მიერ და, შესატყვისად, მისი სახვითი ენაც ექსპრესიულ ფორმადქმნადობას ეფუძნება. მხატვრის ინსპირაციის წყაროა ძველი ფოტოსურათები და ბავშვობისდროინდელი მოგონებები, ქვეცნობიერში დაღეული გამოსახულებათა ბუნდოვანი სილუეტები. ვახო ბუღაძე, ძირითადად, პერსონაჟთა მხატვრული სახეებით ოპერირებს, რომლებიც, ერთდროულად, ბრუტალურნიც არიან და თან თითქოს უსხეულონიც, სურათის ფერწერულ სტრუქტურაში გამქრალ-მიკარგულები. იმპროვიზაცია და მასალის სპეციფიკა, შემთხვევითის, ირაციონალურის, თამაშის ფაქტორის გაძლიერება ავტორისთვისაც კი საბოლოოდ მოულოდნელ შედეგს იძლევა, როდესაც გამოსახულება თითქოს ჩვენ თვალწინ იშლება. ეს ამბივალენტობა - ფიგურების რეალურისა და აბსტრაგირებულის მიჯნაზე ყოფნა კიდევ უფრო აძლიერებს ვახო ბუღაძის შემოქმედებაში ექსპრესიულობისა და დაძაბული ემოციურობის განცდას.

Vakho Bugadze (b.1964) studied at the Tbilisi State Academy of Arts from 1982 to 1991. In the 1990s, the conflict between the artist and the outer world intensified to the extreme in Georgian art. The effects of the sociopolitical environment most naturally reverberated through culture. Art was no more seen as a shelter for survival but, on the contrary, as a language through which to voice one's attitude towards major events and challenges of the time. Bugadze introduced and established a novel conception of aesthetics in Georgian fine arts. His response to the cataclysms unfolding in his contemporary world, together with the quest for one's identity and the challenge of preserving it amid universal aggression, is immensely sensitive and compels his artistic language to seek expressive forms. Bugadze is inspired by old photos and childhood memories, the vague silhouettes deposited in his subconscious. His primary focus is on his characters that exert brutal power and at the same time seem incorporeal, dissolved in the colour texture of his paintings. Through improvisation, the use of specific material and the creation of an intense sensation of arbitrariness, irrationality and playfulness, the artist achieves an outcome that seems to surprise him and the images seem to unfold before the viewers' eyes. The ambivalence and positioning of figures on the borderline between the real and abstract further intensify the expressiveness and the background emotional strain.



ვახო ბუღაძე. ნეგატივა. 2021. ტილო, აკრილი, პიგმენტი, ზეთი. 180x150 სმ.  
Vakho Bugadze. Negativa. 2021. acrylic, pigment, oil, canvas. 180x150 cm.



ზურა აფხაზი  
Zura Abkhazi

ზურა აფხაზი (დ. 1968) თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების (1996) შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში, მუშაობდა უფლისციხეში ხატვის მასწავლებლად. არის ქართულ-გერმანული საზოგადოების წევრი. მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ახალი ექსპრესიონისტული გერმანული მხატვრობისთვის სახასიათო ბრუტალიზმამ, დიდმა ფორმატებმა და აქცენტებმა ტექსტურაზე. თუმცა მხატვარმა შეძლო მათი განვითარება ორიგინალურ მრავალფეროვნებად მასშტაბურ სერიებში, რომლებშიც მკაფიოდ ვლინდება მისი ინდივიდუალური ხედვა. ზურა აფხაზის სამხატვრო სტუდია უფლისციხის არქაული მონუმენტურობისა და შთამბეჭდავი პეიზაჟების გარემოცვაშია განთავსებული. აქ შეიძლება იმ მოტივების ამოცნობა, რაც ქმნის მისი ნამუშევრების ენას. კოსმოსის შავ-თეთრი სურათების გავლენით შექმნილი სერიები ისეთივე იდუმალია, როგორც თავად კოსმოსი. ამ ხელოვანის მხატვრული ამოცანა ვერბალურად რთული გადმოსაცემია. თავადაც არ ცდილობს თეორიული განსაზღვრება მისცეს საკუთარ ძიებებს. მისთვის ეს საქმეა, რომელიც, ზოგადად, არსებობასთან, სიცოცხლესთანაა გათანაბრებული. მხატვარი ტილოებსა თუ სხვა ზედაპირებზე მუდმივი ექსპერიმენტირების შედეგად აგებს მრავალმრისა და ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ფაქტურებს. მისი ნებისმიერი ახალი ნამუშევარი, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში შეთხზულ ცალკეულ ისტორიას გადმოცემს, სადაც შეიძლება ჭკარტილიდან პიგმენტების მიღებას მოჰყვეს უცნაური მინარევების მთელი წყება და საბოლოოდ გამოსახულებაც, რომლის „შიგნითაც უამრავი რამე ხდება“. ზურა აფხაზი „კოსმოსის რუკების“ მხატვარია და ხშირად მიმართავს გეომეტრიულ სხეულებს, მანდალას მოტივებს და შავ-თეთრის უსასრულო კომბინაციებით მათ მრავალფეროვან გამოსახულებებად აქცევს.

Zura Abkhazi (b.1968) after graduating from the Tbilisi Academy of Arts in 1996, he worked as a teacher in the Uplistsikhe village for several years. He is a member of the Georgian – German Community. The brutality of German Neo-Expressionist painting, as well as the large scale formats and emphasis on texture, had a big influence on his work. However, the artist was able to develop them into the original diversity in his large-scale series, where individual vision is revealed. Zura Abkhazi's Art Studio is surrounded by archaic monuments and beautiful landscapes of Uplistsikhe. The motives that comprise the language of his works can be identified here. The series, which was inspired by black and white space pictures/photographs, is as mysterious as space itself. His artistic task is difficult to convey verbally. He does not attempt to theoretically define his search. For Zura Abkhazi, work is generally associated with existence, with life. He creates multi-layered and completely different textures as a result of constant experimentation on canvases or other surfaces. So to speak, each of his new works tells a distinct story created in an experimental laboratory, where the extraction of pigments from soot can result in a slew of strange impurities and, finally, an image in which "a lot of things happen inside." Zura Abkhazi is a "Space map" artist who frequently uses geometric /forms/bodies, Mandela motifs, and infinite combinations of black and white to create a variety of images.



ზურა აფხაზი. უსათაურო. 2020. ტილო, პიგმენტი, ბინტი. 145x96 სმ.  
Zura Abkhazi. Untitled. 2020. pigment, canvas, bandage. 145x96 cm.



## ირაკლი მაისურაძე

Irakli Maisuradze

1963–2010

ირაკლი მაისურაძემ (1963 – 2010) 1990 წელს დაამთავრა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1988 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ჯგუფურსა და სოლო გამოფენებში საქართველოში, რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში. აღსანიშნავია მისი კონცეპტუალისტური აქცია „ლოკალური კათარზისი“ (თბილისის თანამედროვე ხელოვნების გალერეა. 1993). მხატვარმა 2008 წელს დაიწყო ხატუნა. ირაკლი მაისურაძე 1997 წლიდან ამიერკავკასიის მხატვართა გილდიის წევრი იყო. 1998 წლიდან -საქართველოს ხელოვნათა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, 1998 წლიდან კი -საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. გარდაცვალების შემდეგ მოეწყო მისი რეტროსპექტიული გამოფენა (თბილისის ისტორიის მუზეუმი. 2011 ), სადაც ექსონირებული იყო მისი გეომეტრიული აბსტრაქციები. „ჩემი მხატვრობა სევდისა და ტკივილი ემანაციაა, ჩემი მხატვრობა მისტიკური სიმღერაა სამყაროს სპონტანურ ძალებზე, მე უბრალოდ, ვხატავ სულს, ცხოვრებას სულისას. მე მინდა, ვაჩვენო გზა ნეოკათარზისისა, - წერს მხატვარი თავის შემოქმედებაზე (ამონარიდი მხატვრის „ღია ვარდისფერი მანისფესტიდან“).

Irakli Maisuradze (1963 – 2010) graduated from the Sulxhan-Saba Orbeliani Pedagogical Institute in Tbilisi in 1990. Since 1988, he has actively participated in group and solo exhibitions in Georgia, Russia and European countries. Notable is his conceptual action “Local Catharsis” (Tbilisi Gallery of Modern Art, 1993). He began painting icons in 2008. Irakli Maisuradze has been a member of the Transcaucasian Artists Guild since 1997. Since 1998 - Member of the International Federation of Artists of Georgia, and since 1998 - Member of the Union of Artists of Georgia. After his death, his retrospective exhibition was organized (Tbilisi History Museum, 2011), where his geometric abstractions were exhibited. “My painting is an emanation of sadness and pain, my painting is a mystical song about the spontaneous forces of the world, I just paint the soul, life of the soul. I want to show the neo-catharsis way, - the artist writes about his work (extract from the artist “Light Pink Manifesto”).



ირაკლი მაისურაძე. სერიიდან - დიდი გამოცდა. 1992. ტილო, ზეთი. 150x150 სმ.  
Irakli Maisuradze. From the series - The Great Challenge. 1992. oil on canvas. 150x150 cm.





## თამუნა მელიქიშვილი Tamuna Melikishvili

თამუნა მელიქიშვილი (დ. 1965) სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, პარალელურად ლევან ჭოდოშვილის სახელოსნოში ეუფლებოდა ფერწერას. 1989 წელს კი დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი. მხატვარი 1990-იანი წლებიდან მუშაობს კინოსა და ვიდეოარტის მიმართულებით, აფორმებს თანამედროვე ქართველი მწერლების წიგნებს. ვიდეო-არტისა და ინსტალაციების გარდა, ამზადებს კერძო სახლების ინტერიერებისათვის ვიტრაჟულ ესკიზებს, ასევე ქმნის საოფისე შენობებისთვის ლითონის ფასადის დიზაინს. ხელოვანი ძირითადად მუშაობს ზეთის საღებავებით ტილოზე, ბრინჯის ხელნაკეთ ქაღალდსა და მუყაოზე. 2000 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. სხვადასხვა წელს მონაწილეობდა პეკინის ბიენალეში, თბილისისა და ერევნის ხელოვნების ბაზრობებში. მისი ნამუშევრები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციების ნაწილია.

Tamuna Melikishvili (b.1965) studied at Ivane Javakhishvili Tbilisi State University's Faculty of Chemistry while also taking painting classes at Levan Chogoshvili's studio. In 1989, she graduated from the Tbilisi State Academy of Arts' Faculty of Art History and Theory. Since the 1990s she's been working as a movie and video art director and has designed and illustrated the books of contemporary Georgian writers. Apart from video arts and installations, she's the author of vitrage sketches for the private interiors and a metal facade design for the office building. Her primary media is oil paint - oil on canvas, hand-made rice paper, and cardboard. Since the year 2000 she's had numerous solo and group exhibitions in Georgia and abroad; participated in Beijing Biennale, Tbilisi and Yerevan Art fairs. Her works are part of private collections worldwide.



თამუნა მელიქიშვილი. ემიგრაცია. 2020. ტილო, ზეთი. 100x130 სმ.  
Tamuna Melikishvili. Emigration. 2020. Oil on canvas. 100x130 cm.



კაკო თოფურია  
Kako Topuria

კაკო თოფურიას (დ. 1960), პროფესიით ხელოვნების ისტორიკოსის, ცოდნა გამდიდრებულია ტრადიციული ქართული მონუმენტური ფერწერის, საქანდაკო პლასტიკის, ჭედურობის, მინანქრისა და კერამიკის დარგების ცოდნითაც. ქართულ ემოციურ რეალიზმსა და ამ რეალობის სუბიექტურ მიდგომაზე დაფუძნებული კაკოს ფერწერული კულტურის დემონსტრირება დამოუკიდებელ, საუცხოო სტილში ვლინდება და ლიტერატურული ქვეტექსტით პრიმიტივიზმს, “ინფანტილიზმსა” და იუმორსაც შეიცავს. იგი ორგანოზომილებიან სივრცეს გვთავაზობს, სადაც სტატიკაა გამეფებული და მხოლოდ ჭრელი, ფერადოვანი შეგრძნებები თანაბარუფლებიანი, რომლებიც იერარქიის მიღმა არსებობს. სხვა დანარჩენი ოპტიკური ილუზიაა. მშვიდ, ნეიტრალურ ფონზე დაკვირვებისას აღმოვაჩენთ, რომ მას გააჩნია ფორმა და ლოკალიზაცია, რომელიც გადაზრდილია ფერადოვან პორტრეტებსა და ფიგურატიულ კომპოზიციებში. მხატვარი დიდი ხანი ცხოვრობდა საფრანგეთში. კაკო თოფურიას უკლებლივ ყველა ნამუშევარს სამკაულივით ამშვენებს ავტორისეული ხელმოწერა ქართული ასოებით - „კაკო“ როგორც უცხოური, საკუთარი წერის სისტემის ერთგვარი ეტიმოლოგიური გზავნილი, ერთგვარი ინფორმაცია ისტორიული მეხსიერებიდან, რომელიც გარკვეულ კულტურულ დისტანციაზე აღიქმება როგორც ორნამენტი და ყველა შესაძლო ინტერპრეტაციით აცდუნებს მაყურებლის წარმოსახვას ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობი პატარა ქვეყნის კულტურულ სამყაროზე შავიზღვისპირეთიდან.

Kako Topuria (b. 1960) is a professional art historian whose knowledge includes traditional Georgian monumental painting, sculpture, stamping, enamel, and ceramics. Kako's pictorial culture, based on Georgian emotional realism and a subjective approach to reality, manifests itself in an independent, superb style and involves primitivism, “infantilism”, and humour in a literary subtext. He creates a two-dimensional space in which statics reign supreme and only the diverse, colourful sensations are equal to those found beyond the hierarchy. The rest is an optical illusion. A calm, neutral background has a form and localization that is transformed into colourful portraits and figurative compositions. The artist lived a long time in France. Kako Topuria's all works have the author's signature like “Jewells”, at a certain cultural distance, the author's signature in Georgian letters - “Kako” as a foreign, a kind of etymological message of his writing system, a kind of information from historical memory - is perceived as an ornament. And, by all interpretations, deceives the viewer's imagination about the cultural world of a small country that is still completely unrecognizable from the Black Sea coast.




კაკო თოფურია. პანა. 2019. ტილო, ზეთი. 81x54 სმ.  
Kako Topuria. Hannah. 2019. oil on canvas. 81x54 cm.



ეკა აბულაძე  
Eka Abuladze

ეკა აბულაძე (დ. 1964) მხატვრების 90-იანელთა თაობის წარმომადგენელია. მოყოლებული 1990 წლიდან ის აქტიურად იფინება. ეკა აბულაძე, როგორც მხატვარი, შთაგონებას მეცნიერებაში ეძებს. მის მიერ შემოთავაზებული კოლექციები კონცეპტუალური სახელწოდებითაა წარმოდგენილი: „ელემენტარული ნაწილაკები – სტანდარტული მოდელი“, „ელექტრომაგნეტიზმი“, „დიფრაქცია“, „სპექტრული დიაპაზონები“, „ანბანი, როგორც კაცობრიობის იდენტიფიკაცია“ და „ტრანსმუტაცია“ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ აქ მეცნიერებაც და მხატვრობაც გნოსეოლოგიურ ხასიათს ატარებს და მათი აღრევა, ერთი შეხედვით, არ ღირს, ეკა აბულაძე ამ აღრევას ისე აკეთებს, რომ მაყურებელს არ აგრძნობინებს. ზოგიერთ გადაწყვეტილებას მხატვარი ინტუიტიურ დონეზე იღებს და „სამყაროს გავლით“ უფრო კონკრეტულ ხასიათს სძენს მას, ატარებს პიროვნულ-სუბიექტურ ხაზს. მხატვარი დაგროვილი ინფორმაციის გენერირებას ახდენს საკმაოდ თამამი, ფერადოვანი გეომეტრიული ლაქების საშუალებით და გამოხატავს იდეას, ძირითად არსს. მხატვრობის ოპტიკურ ყალიბში მოქცეული მატრიცა – სტრუქტურა განაპირობებს მისი ხელოვნების რაობას და ერთგვარად ხსნის მას შინაარსობრივადაც, მეტაფორულადაც, გადატანითი მნიშვნელობითაც, აღქმითაც და შემეცნებითაც.

Eka Abuladze (b.1964) is a representative of the 1990s generation of Georgian artists. 1990 is also the time when her artistic activity starts. Eka Abuladze seeks her inspiration in science. The collection offered by her is presented under the conceptual title “Elementary Particles- Standard Model”, “Electromagnetics”, “Diffraction”, “Spectral Ranges”, “Alphabet as Identification of Humanity”, and “Transmutation,” etc. Although science and painting are epistemologically related and should not be infused at first glance, Eka Abuladze achieves an unnoticeable fusion of both. Some decisions are made intuitively by the artist, and “through the world” narrows her focus, drawing a personal-subjective line. The accumulated information is generated by the artist through bold colourful geometric stains that express the basic idea, the essence. Matrix depicted as an optical painting - The structure determines the existence of her art and explains it in terms of content, metaphorically, figuratively, perceptually, and cognitively.



ეკა აბულაძე. ელექტრომაგნიტიზმი. 2018. ტილო, აკრილი. 100x172 სმ.  
Eka Abuladze. Electromagnetism. 2018. acrylic on canvas. 100x172 cm.



## ალექსანდრე ბერდიშევი Alexander Berdysheff

ალექსანდრე ბერდიშევი (დ.1964) - გრაფიკოსი, ფერმწერი, დიზაინერი და ფოტოხელოვანი. მან 1988 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 1990 წელს სტაჟირება გაიარა გლაზგოს უმაღლესი ხელოვნების (მაკინტოშის) სკოლაში ( შოტლანდია). ალექსანდრე ბერდიშევმა შექმნა სრულიად ორიგინალური მხატვრული სამყარო, რომელშიც მოდერნისტული მიმდინარეობების უცნაური ნაზავია. მხატვრის ნამუშევრები ყოველთვის საცნობია... უჩვეულო, სიურრეალისტური გამოსახულებები ვიზუალურად ყოველთვის მოწესრიგებულ, ფერსა თუ ფორმაში დახვეწილ კომპოზიციებში ეწერება. მხატვარი აქტიურ შემოქმედებით მოდვანობას ეწევა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ვრცელია მისი გამოფენების ჩამონათვალი ავსტრიის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთისა და შოტლანდიის სხვადასხვა ქალაქში.

Alexander Berdysheff (b,1964): draftsman, painter, designer and photographer, graduated from the Tbilisi Academy of Arts in 1988. In 1990 he completed an internship at Glasgow School of the Arts (Macintosh) (Scotland). Alexander Berdysheff created a completely original artistic world with a strange mix of modernism tendencies. The works of the artist are always recognizable ... Unusual, surreal images are included into ordered compositions with exquisite colors and forms. Artist actively works in Georgia and abroad. He had numerous exhibitions in different cities of Austria, Spain, Great Britain and Scotland.



ალექსანდრე ბერდიშევი. სადღაც წარსულში. 2019. ტილო, ზეთი. 46x46 სმ.  
Alex Berdysheff. Somewhere in the Past. 2019. oil, canvas. 46x46 cm.





დავით გაგოშიძე  
David Gagoshidze

დავით გაგოშიძემ (დ. 1960) 1982 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, 1984 წელს კი - მოსკოვის გრაბარის სარესტავრაციო ცენტრი შუა საუკუნეების მხატვრობის კოპირების სპეციალობით. 1985-1990 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე; 1990-1991 წლებში - უჩა ჯაფარიძის სახელობის შემოქმედებითი სტუდიის ფერწერის სახელოსნოში. მუშაობს ფერწერის, გრაფიკისა და მინიატიურის დარგებში. დავით გაგოშიძეს ხშირად უწევდა შუა საუკუნეების მონუმენტური მხატვრობის რესტავრაცია-კოპირება, რამაც, როგორც თვითონ აღნიშნავს, მის ნამუშევრებზე გავლენა იქონია. „ კომპოზიციაში გამოსახულ ადამიანებს, ცხოველებს, ლანშაფტსა თუ მცენარეებს შორის არ არის ძირითადი და მეორეხარისხოვანი ფიგურა. ფორმა სიბრტყეზეა გაკეთებული და არ ქმნის საგნის მოცულობითი, მესამე განზომილების ილუზიას. ამდენად, ნახატში მკაცრად დაცულია და არ ირღვევა ორგანოზომილებიანი სიბრტყე, რის აღქმასაც ასევე ხელს უწყობს ნეიტრალური ფონი. გარკვეული ტექნოლოგიის გამოყენებით ფაქტურა ტილოზე კედლისმაგვარია, მშრალი და ხაოიანი.“ -წერს მხატვარი. დავით გაგოშიძე 1989 წლიდან მონაწილეობს ჯგუფურსა და სოლო გამოფენებში, ადგილობრივსა თუ საერთაშორისო პროექტებში. 1989 წელს მხატვრის სახლში ქართული ხელოვნების IV საერთაშორისო სიმპოზიუმისადმი მიძღვნილი შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ასლებისა და ასლი-რეკონსტრუქციების გამოფენა; 2008/2009 წლებში დავით გაგოშიძე მონაწილეობდა ლონდონის „The Chambers Gallery“-ში მოწყობილ ქართველი მხატვრების ჯგუფურ გამოფენაში; 2013 წელს კი პარიზში ექსპონირებულ იქნა სამი მხატვრის - ზეზვა არჩემაშვილის, ფილიპ ქარონისა და დავით გაგოშიძის შემოქმედება.

Davit Gagoshidze (b.1969), painter and restorer, graduated from the Ivane Javakhishvili Tbilisi State University - the Faculty of Geography and Geology in 1982, and continued his studies at the Grabar Restoration Center in Moscow in 1984, specializing in copying of medieval paintings. In 1985-1990 he studied at the Faculty of Painting at the Tbilisi State Academy of Arts. In 1991 he received the painter's diploma for the work created at the Ucha Japaridze Artistic Studio. He has been working extensively in the fields of painting, drawing and miniature - his art is greatly influenced by the Georgian medieval monumental paintings. The artist says: "In the composition there is no primary or secondary figures among the painted peoples, animals, landscape or plants. The shape of the figures is made planar and does not create the illusion of a voluminous, third-dimensional object. Thus, the two-dimensional plane is strictly preserved in the drawing and is not violated; the neutral background usually enhances the two-dimensionality". By using a certain technology, Gagoshidze creates wall-like texture on the canvas which is dry and chaotic. Davit Gagoshidze participated in group exhibitions and had significant solo exhibitions at both the local and international levels: in 1989, at the exhibition of copies and reconstructions of medieval wall paintings dedicated to the IV International Symposium of Georgian Art at the Artist's House in Tbilisi. In 2008/2009 a group exhibition of Georgian artists was organized at The Chambers Gallery in London; In 2013, the works of three artists - Zezva Archemashvili, Philip Charon and Davit Gagoshidze were exhibited in Paris.



დავით გაგოშიძე. ნამონღლილი. 2017-2019. ტილო, ზეთი. 60x110 სმ.  
David Gagoshidze. Lying. 2017-2019. oil on canvas. 60x110 cm.



გელა პატიაშვილი  
Gela Patiashvili

გელა პატიაშვილი (დ. 1964) 1986 წელს, სწავლა დაასრულა თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. ხატვა, რომლითაც ბავშვობიდან იყო გატაცებული, საბოლოო ჯამში, მისი პროფესია გახდა. ტექნიკურმა განათლებამ - პირველ რიგში კი, მათემატიკამ, მხატვრის თქმით, მას სივრცის აღქმის უნარი განუვითარა და მეოთხე განზომილების არსებობაში დაარწმუნა. 1992 წელს, თავისუფალი მსმენელის სტატუსით, ხელოვნების ისტორიის ლექციებს ესწრებოდა პარიზის სორბონის უნივერსიტეტში. გელა პატიაშვილი 30 წელი იცხოვრა საფრანგეთში. მუშაობდა კლაველის თეატრთან, მილიმაჟის, დარგოსა და სხვა ცნობილ ანიმაციურ სტუდიებთან. 2018 წლიდან მოყოლებული კვლავ საქართველოშია და აქ აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას. მონაწილეობდა საქართველოსი და საზღვარგარეთ გამართულ პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენებში. 2018 წელი - Blowing, Savickas gallery, ვილნიუსი, ლიტვა; 2018 - Field of Harmony and Agitation, საქართველოს საკონსულო ნიუ-იორკში, აშშ; 2018 - Home Sweet Home, "გამრეკელი"ს გალერეა, თბილისი, საქართველო; 2017 - Couleur Couleur, გალერეა "მარლიე", ნიცა, საფრანგეთი; 2015 - პორტრეტები, ანჟელინა პიზანუს საგამოფენო სივრცე, კანი, საფრანგეთი; 2015 - "ენჯელ არტ გალერეა", ანდორა ლა ველა, ანდორა. ცხოველები, განსაკუთრებით კი ძაღლი, გელა პატიაშვილის შემოქმედების მთავარი თემაა. ბიბლიურ სიუჟეტებზე შექმნილ ნამუშევრებში, ადამიანები მან ძაღლებით ჩაანაცვლა.

Gela Patiashvili (b. 1964) in 1986, he graduated from the Tbilisi Polytechnic University. Painting, which he had been fond of since childhood, eventually became his profession. Technical education - primarily mathematics, according to the artist, enabled him to develop the skill of spatial perception and convinced him of the existence of a fourth dimension. In 1992, as a free listener, he attended lectures on art history at the Sorbonne in Paris. Gela Patiashvili lived in France for 30 years. He worked with the Clavel, Millime, D'argo theaters, and other well-known animation studios. He has been in Georgia since 2018 and continues his creative activity here. He has participated in solo and group exhibitions in Georgia and abroad. 2018 - Blowing, Savickas Gallery, Vilnius, Lithuania; 2018 - Field of Harmony and Excitement, Consulate of Georgia in New York, USA; 2018 - Home, sweet home, Gamrekeli Gallery, Tbilisi, Georgia; 2017 - Couleur Couleur, Marly Gallery, Nice, France; 2015 - Portraits, Angelina Pisanou Exhibition Space, Cannes, France; 2015 - Angel Art Gallery, Andorra la Vella, Andorra. Animals, especially dogs, are the central theme of Gela Patiashvili's art. In works based on biblical stories, he replaced people with dogs.



გელა პატიაშვილი. ვარდისფერი წინასწარმეტყველის დაბადება. 2020. ტილო, ზეთი. 130x195 სმ.  
Gela Patiashvili. Birth of the Pink Prophet. 2020. oil on canvas. 130x195 cm.



მაია ცეცხლაძე  
Maia Tsetskhladze

მაია ცეცხლაძემ (დ. 1965) 1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. მუშაობს ფერწერის, გრაფიკისა და გამოყენებითი ხელოვნების დარგებში. „მხატვრობაში მსურს, გადმოვცე მისტიკურ-რომანტიკული სამყარო, რომელიც სულის წიაღიდან გაღწევას ცდილობს, ცდილობს სამყარო სილამაზითა და ჰარმონიით შეავსოს... ნამუშევრებში ხშირად დომინირებს პორტრეტები და ანგელოზები, რომლებიც ერთმანეთთან სინთეზით, მისტიკურ-ჰარმონიულ განწყობას ქმნიან,“- წერს მაია ცეცხლაძე. მაია ცეცხლაძემ 5 ხელნაკეთი წიგნი შექმნა. 2001-2004 წლებში მას საინტერესო შემოქმედებითი პრაქტიკა ჰქონდა გერმანიაში. იყო ბერლინის თეატრში სპექტაკლ „ობლომოვის“ მხატვარ-დეკორატორი და ბერლინის „მოხუცთა სახლის“ ხატვის პედაგოგი.

Maia Tsetskhladze (b. 1965) graduated from the Tbilisi State Academy of Arts in 1990. She works in the fields of painting, graphics and applied arts. "In painting, I want to convey the mystical-romantic world, which tries to escape from the depths of the soul, tries to fill the world with beauty and harmony... Portraits and angels frequently dominate the works, which synthesize together to create a mystical-harmonious mood." Writes Maia Tsetskhladze. Maia Tsetskhladze handcrafted five books. Between 2001 and 2004, she had an interesting creative practice in Germany. She worked as an artist-decorator for the Berlin Theater's production of Ivan Goncharov's "Oblokov" and as a painting instructor at Berlin's "Nursing Home."



მაია ცეცხლაძე. ზღაპრული სიყვარული. 2020. ტილო, ზეთი. 100x80 სმ.  
Maia Tsetskhladze. Fabulous Love Story. 2020. oil on canvas. 100x80 cm.



გია ხუციშვილი  
Gia Khutsishvili

გია ხუციშვილი (დ. 1966) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი 1989 წელს. მისი შემოქმედება 30 წელს ითვლის. იგი არის მრავალი საგამოფენო პროექტის, წიგნისა და სამხატვრო ალბომის ავტორი, მკვლევარი, მთარგმნელი და შემდგენელი. გია ხუციშვილი ერთადერთია XX საუკუნის 90-იან წლებში შემოქმედებით ასპარეზზე გამოსულ მხატვართა შორის, რომელმაც თავის ხელოვნებაში ჭარბად შემოიტანა მითოსი და ამით პირობითობის დონე საკმაოდ აამაღლა. გია ხუციშვილის ხელოვნება არის დიდი აბსტრაქცია, სადაც მეტაფორა განმსაზღვრელია, მეტიც, მეტაფორა მისი ფერწერის ალგორითმია. მისი ნამუშევრები ინახება საქართველოსა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის როგორც სამუზეუმო, ასევე კერძო კოლექციებში.

Gia Khutsishvili (b, 1966), graduated from the Tbilisi State Academy of Fine Arts' Faculty of Fine Arts in 1989. Gia Khutsishvili has been creating for 30 years. He is the author and compiler of many exhibition projects, events as well as books and art albums. Gia Khutsishvili is also a researcher and a translator. He is the only artist from the 1990s who used mythos extensively in his work, raising the level of conditionality to a reasonably high level. Gia Khutsishvili's art is a great abstraction where metaphor plays defining role. Moreover, the metaphor is an algorithm of his painting. His artworks are kept in the museums and private collections not only in Georgia but in many countries around the world.



გია ხუციშვილი. გამომშვიდობება ანდრომაქესთან (Hom. II - 6). 2001. ტილო, ზეითი 65x75 სმ.  
Gia Khutsishvili. The Farewell to Andromache. (Hom. II - 6). 2001. oil on canvas. 65x75 cm.





ლევან მარგიანი  
Levan Margiani

ლევან მარგიანი (დ. 1965) -ფერმწერი, მინიატურისტი. მან 1989 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის რესტავრაციის ფაკულტეტი. 1994 წლიდან დღემდე გამართული აქვს ოცამდე პერსონალური გამოფენა, მათ შორის, პარიზის „Cour des Saits-Perez-16“-ის საგამოფენო სივრცეში, EXPO 2000-ის გენერალური კომისრის საპატიო სტუმართა დარბაზსა (ჰანოვერი, გერმანია) და 2001 წელს მერაბ აბრამიშვილთან ერთად ნიქოზიაში, ჰილტონის საგამოფენო დარბაზში (Exhibition Hall of Hilton Hotel, Nicosia, Syprus). ლევან მარგიანი, მერაბ აბრამიშვილის მსგავსად, თავის შემოქმედებაში საეკლესიო კედლის მხატვრობისა და ხატწერის ტექნიკებს იყენებს. მისი ნამუშევრები, რომლებიც, უმეტესად, ახალი აღთქმის კანონიკურ მოტივებს ასახავს, ლევანის გრუნტზე ტემპერითაა დახატული და მხატვრისავე დიზაინით შექმნილი მოვერცხლილი ან ტონირებული სპილენძის ჩარჩოებითაა გაფორმებული. მხატვრის ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებსა და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

Levan Margiani (b. 1965) , a miniaturist and painter, graduated from the Tbilisi Academy of Arts' Restoration of Fine Art in 1989. His teachers were Otar Japaridze and Shota Kuprashvili. Since 1994, he has held nearly twenty solo exhibitions, including the exhibitions at "Cur des Saint-Peres-16" exhibition space in Paris; at the Lounge of the General Commissioner at EXPO 2000, Hannover, Germany; and his joint exhibition with Merab Abramishvili at the Exhibition Hall of the Hilton Hotel in Nicosia, Cyprus (2001). Levan Margiani, like Merab Abramishvili, uses church mural and icon painting techniques in his work. His works, which mostly depict New Testament canonical motifs, are painted in tempera on levkas ground and framed in silver or tinted copper frames made by the artist himself. The artist's works are preserved in the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts as well as private collections.



ლევან მარგიანი. ხე კეთილი, ხე ბოროტი. 2021. აკრილი, ლეგვასი, ოქრო, მოვერცხლილი თითბერი. 38x33 სმ.  
Levan Margiani. A Tree of Kindness, a Tree of Evil. 2021. acrylic, levkas, gold, silver brass. 38x33 cm.



ნუგზარ ნათენაძე  
Nugzar Natenadze

ნუგზარ ნათენაძე (დ.1971) 2000-2005 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1990-იანი წლებიდან აქტიურად მონაწილეობს პროექტებსა და ჯგუფურ გამოფენებში, თბილისში იმართება მისი პერსონალური გამოფენებიც, მათ შორის, 1999-2003 წლებში „ძველ გალერეაში“ ეწყობა მისი ნამუშევრების ექსპოზიციები. გალერეა „ვანდაში“ (2004), გალერეა „ვერნისაჟსა“ (2005) და გალერეა „გამრეკელში“ (2006) მნახველმა იხილა მისი ძველი და ახალი შემოქმედება. ნუგზარ ნათენაძე, ძირითადად, მუშაობს ზეთის ტექნიკით. უკლებლივ მის ყველა ნამუშევარში იკვეთება ფერებისა და ფორმების შემოქმედებითი ძიების მისეული ხელწერა. ცხოვრობს და მუშაობს რუსთავში.

Nugzar Natenadze (b.1971) He studied in Tbilisi State Academy of Arts in 2000- 2005. Starting from 1990 actively participates in projects and group exhibitions, his personal exhibitions are held in Tbilisi: 1999- 2003 “Old Gallery, 2004 – gallery “Vanda”, 2005 - gallery “Vernisage”, 2006 – gallery ‘Gamrekeli’. Nugzar Natenadze mainly works in oil technique. His individual style of artistic search of color and form can be felt in his every work. He lives and works in Rustavi.



ნუგზარ ნათენაძე. სიხარული. 2020. ტილო, ზეთი, 100x80 სმ.  
Nugzar Natenadze. Joy. 2020. oil on canvas. 100x80 cm.




## რუსუდან ფეტვიაშვილი Rusudan Petviashvili

რუსუდან ფეტვიაშვილი (დ. 1968) ბავშვობიდან გამოავლინა მხატვრობის განსაკუთრებული ნიჭი, მცირე ასაკის მიუხედავად, აღმოჩნდა მსოფლიოს ინტელექტუალური და სამხატვრო სამყაროს ყურადღების ცენტრში. მაგალითად, მისი შემოქმედების ფენომენისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩატარდა საფრანგეთში, ქალაქ სენტ-იორში 1981 წელს. ასაკის მატებასთან ერთად არ ნელდება ინტერესი მისი მხატვრობისადმი, რომელიც გამორჩეული და თვითმყოფადი ხელწერით ხასიათდება. ხშირად გამოსახავს ირეალურ პერსონაჟებს, ისინი ხან ციურ სხეულებს ანსახიერებენ. ხან კი-ტიტანური ბუნების ადამიანებს, რომლებსაც სრულიად კოსმოსი საკუთარი ქედით უჭირავთ. ინდური მეღვინით თუ ტუშით ის ერთიანი სამყაროს აღმოცემას იწყებს, გადადის გმირებისა და მათი თავგადასვლების თხრობაზე, ხაზი უწყვეტია და რთულია, გაარჩიო, სად მთავრდება ის ერთიანი სიმბოლური ქსოვის ხლართში. მდიდარი წარმოსახვისა და წერის დახვეწილი მანერის წყალობით, იგი 16 წლის ასაკში აღმოჩნდა იმ მხატვართა რიცხვში, რომელთაც წილად ხვდათ პატივი, დაესურათებინათ „ვეფხისტყაოსანი“. ილუსტრირების პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, ფეტვიაშვილს ანდეს ხელმძღვანელობა ქართველ მხატვართა ჯგუფისა, რომელსაც უნდა შეექმნა მინიატიურები ძველქართულით პერგამენტზე დაწერილი ყველაზე დიდი ზომის ბიბლიისთვის.

Rusudan Petviashvili (b. 1968) had a special talent for painting since childhood, and despite her youth, she occurred at the centre of intellectual and artistic attention. In 1981, in St.Yorre, an extraordinary press conference was held to discuss the phenomenon known as Rusudan Petviashvili's paintings. Interest in her paintings, which are distinguished by a distinctive and original style, does not wane with age. Surreal characters are often depicted by artists, and they occasionally represent celestial bodies. And sometimes in her works appear Titans, who hold the entire world on their upper back. She begins to depict a unified world in Indian ink or ink, then moves on to the narration of characters and their adventures; the line is continuous, and it's difficult to discern where she ends up in the knot of symbolic weaving. She became one of the artists who had the honour of illustrating "The Knight in the Panther's Skin" at the age of 16 thanks to her rich imagination and refined drawing style. Fetviashvili led a group of Georgian artists who had to create miniatures for the largest Gospel written in ancient Georgian script on parchment, based on her professional illustration experience.




რუსუდან ფეტვიაშვილი. საქართველო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინი და აბრეშუმის ქვეყანა. 2015. ქალაღი, აკვარელი, ტუში. 90x90 სმ.  
Rusudan Petviashvili. Georgia is a Crossroads of Europe and Asia and the Silk Road Country. 2015. watercolour, ink on paper. 90x90 cm.



დimitრი ანთაძე  
Dimitri Antadze

დimitრი ანთაძე (დ. 1963) 1888 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. საქართველოსათვის რთულ 90-იან წლებში ახალგაზრდა მხატვარი განგებამ იაპონიასთან დააკავშირა. იღბლიანი შემთხვევითობა ნაყოფიერი გამოდგა პროფესიული გამოცდილების გაღრმავების გზაზე. იაპონური კულტურა საოცრად ახლობელი აღმოჩნდა დიმა ანთაძესთვის, მისმა შემოქმედებამ სრულიად ახლებური გამომსახველობა შეიძინა და წარმატებაც ხვდა წილად-მხატვრის 9 პერსონალური გამოფენა შედგა იაპონიაში. დიმა ანთაძის მხატვრულ სამყაროში მთავარი თემა ზღაპარია. მხატვრის თქმით, ზღაპარი თავად საოცრებაა, უპირველესად თავის წარმომობით, ყოვლისმომცველობით... და რაც მთავარია ზღაპარი ადამიანს აღქმის თავისუფლებას ანიჭებს. „მხატვრობა ჩემთვის არაჩვეულებრივი განცდაა. ის რელური ცხოვრების პარალელური სამყაროა, სადაც სივრცის, ფერის და ხაზის საშუალებით მხატვარი ცდილობს აღმოაჩინოს ან გამოხატოს საკუთარი თავი“- დიმა ანთაძე.

Dimitri Antadze (b.1963) graduated from the Tbilisi State Academy of Arts in 1888. During the difficult times of the 1990s in Georgia, fate brought the young artist to Japan. A fortunate coincidence proved fruitful on the path to broadening professional experience. In Japan, the work of Dima Antadze took on a new life, where he had nine solo exhibitions. A fairy tale is the main theme in Dima Antadze's artistic world. The fairy tale itself, according to the artist, is a miracle, first and primarily for its origin, comprehensiveness... and, most importantly, because it gives a person freedom of perception. "Painting gives me an unusual feeling. It's a parallel world to real life, where the artist uses space, colour, and line to discover or express himself." - Dimitri Antadze.



დემეტრი ანთაძე. შუმობინდება. 2019. ტილო, ზეთი. 60x60 სმ.  
Dimitri Antadze. Nightfall. 2019. oil on canvas. 60x60 cm.





კახაბერ ტატიშვილი  
Kakhaber Tatishvili

კახაბერ ტატიშვილი (დ. 1964) 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. მისი ფერწერა, სახვითი თუ აბსტრაგირებული კომპოზიციები, პეიზაჟები თუ ნატურმორტები დახვეწილი ფერადონებით, ლაკონური ფორმებითა და მაქორული განწყობით გამოირჩევა. „თემატურად და შესრულების მხრივაც ვცდილობდი და ვცდილობ მრავალფეროვანი იყოს ჩემი შემოქმედება. იგი ძირითადად ასახავს ჩემს ხედვას და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საგნის, მოვლენის, პიროვნების ან სიტუაციის მიმართ. ყოველთვის მინდოდა ეს ნამუშევრები ავტორისული გამორჩეული ხედვის შედეგი ყოფილიყო. ამიტომაც ჩემი შემოქმედების პერიოდები განსხვავებულია ერთმანეთისგან...“ - ასეთი ახასიათებს კახაბერ ტატიშვილი თავის შემოქმედებას.

Kakhaber Tatishvili (b. 1964) graduated from the Tbilisi Academy of Arts in 1992. His paintings, figurative or abstract compositions, landscapes, and still lives are distinguished by their subtle colours, laconic forms, and joyous moods. “I’ve experimented with themes and performance, and I’m attempting to diversify my work. It essentially expresses my vision and attitude toward this or that object, event, person, or situation. I’ve always wished that these works would reveal the author’s unique vision. As a result, my work periods vary.” This is how Kakhaber Tatishvili describes his work.



კახაბერ ტატიშვილი. პეიზაჟი. 2015. ტილო, ზეთი. 150x182 სმ.  
Kakhaber Tatishvili. Landscape. 2015. oil on canvas. 150x182 cm.



ჰანს ჰეინერ ბური  
Hans Heiner Buhr

გერმანელი მხატვარი, ჰანს ჰეინერ ბური, (დ. 1965) 1986-1990 წლებში სწავლობდა დრეზდენის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში. 1990- 1993 წლებში ამსტერდამში, გერიტ რიტველდის სამხატვრო აკადემიაში გააგრძელა სწავლა. 1993-1996 წლებში კი გერმანიაში, ბერლინში დაბრუნდა. 1990 -იანი წლებიდან მონაწილეობდა გერმანიის სხვადასხვა გალერეაში მოწყობილ გამოფენებში, მათ შორის, ბერლინში (1992 ) როსტოკის გალერეა „G+S“-ში (1993), ასევე გალერეა „Bauerfeind“ -სა (1994) და გალერეა „Parzifal“-ში გამართულ გამოფენებში (1995). 1996 წელს მიეცა შესაძლებლობა, დამოუკიდებელ საქართველოში ემუშავა გერმანულის მასწავლებლად. აქ მან აღმოაჩინა მისთვის უცნობი საქართველო. ბევრი იმოგზაურა ხევსურეთში, თუშეთში, კახეთში, მცირე კავკასიონსა და ჯავახეთში. დაუმეგობრდა ქართველ მხატვრებსა და გალერისტებს - ოთარ ლალიაშვილს, მალხაზ დათუკიშვილს, არჩილ დარჩიას, ნუგზარი ნათენაძეს, ავთო მესხს, მურთაზ და ლია შველიძეებს, მამუკა და ლუკა ცეცხლაძეებს. 1998 წელს მან ოთარ ჩხარტიშვილთან ერთად დიდფორმატიანი ნახატების გამოფენა მოაწყო თბილისის ეროვნულ გალერეაში. 2001 წელს გალერისტ არჩილ დარჩიას „ძველ გალერეაში“ მოეწყო მისი ფერწერული ტილოების პერსონალური გამოფენა „კავკასიური ბაროკო“. 2007 წელს თბილისში, გალერეა „ბაიაში,“ გაიმართა მისი კიდევ ერთი პერსონალური გამოფენა „ცხენების ქურდი საიათნოვას ქუჩიდან“. აღსანიშნავია 2008 და 2010 წლებში მისი ნახატების გამოფენები „New Art Gallery“-ში და სტუდიური გამოფენა ნუგზარ ნათენაძესთან ერთად (2011) . 2012 წელს მონაწილეობდა თბილისის Artisterium-ში, 2013 წელს კი გაიმართა მისი პერსონალური გამოფენა „თურქი მხედარი“ გალერეა „გამრეკელიში“. „... მე ვაგრძელებ გერმანულ ფესვებსა და საქართველოში ჩემს ცხოვრებას შორის შემოქმედებითი ბალანსის ძიებას,“- წერს მხატვარი.

ჰანს ჰეინერს ბურს ჰყავს ქართველი მეუღლე, ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, საგურამოსა და ბერლინში.

Hans Heiner Boer. The German artist, (b.1965). From 1986 to 1990, he studied painting at the Higher School of Art in Dresden. From 1990 to 1993 he studied at the Gerrit Rietveld Academy of Arts in Amsterdam. From 1993 to 1996, he proceeded with his creative work in Berlin, taking part in numerous exhibitions at various German galleries including the “G + S Gallery” in Rostock, Berlin (1992), the “Bauerfeind Gallery” (1994) and “Parzifal” (1995). In 1996 he was given the opportunity to work as a German teacher in independent Georgia. Here he discovered a beautiful country. He travelled extensively to the regions of Khevsureti, Tusheti, Kakheti, the and Javakheti. He befriended Georgian artists and gallery owners - Otar Laliashvili, Malkhaz Datukishvili, Archil Darchia, Nugzar Natenadze, Avto Meskhi, Murtaz and Lia Shvelidzes, Mamuka and Luka Tsetskhladzes. In 1998, together with Otar Chkhartishvili he organized an exhibition of large-format paintings at the Tbilisi National Gallery. In 2001, Archil Darchia’s “Dzveli Galerea” (“Old Gallery” )hosted his solo exhibition titled “Caucasian Baroque”. In 2007, his personal exhibition “Horse Thief from Sayatnova Street” was held at the Baia Gallery in Tbilisi. His notable exhibitions were held in 2008 and 2010 at the New Art Gallery . In 2012 he participated in the Tbilisi Artisterium. In 2013 his personal exhibition “Turkish Rider” was held in Tbilisi, at the “Gamrekel gallery “. “...I continue to look for a creative balance between my German roots and my life in Georgia,” says the artist.

Hans Heiner Boer has a Georgian wife and lives and works in Tbilisi, and Saguramo as well as in Berlin.



ჰანს ჰეინერ ბური. საჯოგავი ცხენები ნიუ-იორკი 2012. ტილო, ზეთი. 151x111 სმ.  
Hans Heiner Buhr. Packhorses New York. 2012. oil on canvas. 151x111 cm.



ტატო ახალკაციშვილი  
Tato Akhalkatsishvili

ტატო ახალკაციშვილი (დ. 1979) ფერწერულ ნამუშევრებთან ერთად ქმნის ინსტალაციებს, ობიექტებს, კოლაჟებსა და ვიდეოარტს. იგი ქართველი მხატვრების იმ თაობას ეკუთვნის, ვინც 2000-იანი წლების დასაწყისში გაიცნო დამთავალიერებელმა. 2004 წელს შექმნილი „ფიგურატიული ხელოვნების სახელოსნოს“ წარმომადგენელ ახალგაზრდა ხელოვანთა ჯგუფი თავისი დროის მძიმე სოციალურ-კულტურული თემების გააზრებით დაკავდა და სხვადასხვა პროექტით შეუხო კოლექტიური მესხიერების პრობლემასაც. ამ ჯგუფის წევრი იყო ტატოც, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად სწავლობდა თანამედროვე მხატვრობის განმსაზღვრელ ტენდენციებს და მუშაობდა „ახალი ფიგურატიულობის“ ქართულ ვერსიაზე. მოგვიანებით მის ნამუშევრებში გაჩნდა მულტიმედიური ინსტალაციის ფორმატი ობიექტებით, ვიდეო ნამუშევრებით, კოლაჟებით, ფერწერულ კომპოზიციებში ჩართული ფოტოფრაგმენტებით. ტატო ახალკაციშვილი სამხატვრო კარიერის დასაწყისშივე იაზრებდა პეიზაჟს, როგორც თავისი მხატვრობის ცენტრალურ ნაწილს. ენიგმატური პეიზაჟი წლების განმავლობაში სხვადასხვა ტექნოლოგიური და კონცეპტუალური ექსპერიმენტის ფონზე ვითარდებოდა. მისი მხატვრობა გამორჩეულია მხატვრული ხარისხით, რომლითაც საერთაშორისო აღიარების მქონე ხელოვნება ხასიათდება და ის საქართველოში მიმდინარე სახელოვნებო პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილია. სხვადასხვა პერიოდში შესრულებული ნამუშევრების გამაერთიანებელი საბაზისო მხატვრული ხედვა ექსცენტრული და მგრძობიარეა, წარმოსახვა - ფართო და მრავალფეროვანი. ის არის მრავალი ჯგუფური გამოფენის მონაწილე საქართველოსა და უცხოეთში, სოლო გამოფენები კი ყოველთვის გამოირჩევა ექსპოზიციის სიზუსტით, კონცეპტუალური სიმყარითა და შთამბეჭდავი ვიზუალური მეტყველებით.

Tato Akhalkatsishvili (b. 1979) creates installations, objects, assemblages and video art along with paintings. Akhalkatsishvili belongs to the generation of Georgian artists who were introduced to the viewer in the early 2000s. The young artists of the art group “Figurative Art Studio,” established in 2004, focused on comprehending the complex socio-cultural themes of their time and addressed the problem of collective memory through several projects. Tato Akhalkatsishvili, also a member of this group, studied the defining trends of modern painting with his fellows and worked on the Georgian version of “New Figurativeness.” Later in his works, he experimented with the multimedia installation format, including objects, video art, assemblages, and photographic fragments into pictorial compositions. Tato Akhalkatsishvili considered the landscape as a central part of his painting from the beginning of his career. The enigmatic landscape has evolved over time as a result of various technological and conceptual experiments. His paintings have the artistic quality that characterizes internationally recognized art, and they are an important part of Georgia’s current artistic processes. The basic artistic vision that unites his works created in different periods is eccentric and sensitive, the artist’s imagination is rich and diverse. Tato Akhalkatsishvili has participated in a number of group exhibitions in Georgia and abroad, and his solo shows are always distinguished for their exposition accuracy, conceptual solidity, and impressive visual language.




ტატო ახალკაციშვილი. უსათაურო. 2020. ტილო, შერეული ტექნიკა. 155x95 სმ.  
Tato Akhalkatsishvili. Untitled. 2020. mixed media on canvas. 155x95 cm.



თინათინ ცხადაძე  
Tinatin Tskhadadze

თინათინ ცხადაძე მხატვრების 90-იანელი თაობის წარმომადგენელია. თინათინ ცხადაძე 90-იან წლებშივე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და აქტიურად იფინება. მოგვიანებით მხატვრის მიერ შექმნილი ძლიერ ქალთა სურათ-ხატები სერიიდან „ქართული მუქი“ ხშირად მეამბოხე ფემინისტური სულის გამოძახილია და არაერთი კრიტიკოსის მიერაა აღიარებული შთამბეჭდავ გრაფიკულ ნაწარმოებებად. „ეს აბსტრაქტული ისტორიები არის მიზეზი, ქალების ხასიათების საჩვენებლად. ეს პროექტი, მთლიანობაში ერთი დიდი პროტესტია, მაგრამ ჭკვიანური, არასკანდალური პროტესტი. აქ არის შეგუბებული, შეკავებული ენერგიები, რომელიც შესაძლებელია გადაიქცეს სტიქიად. მაგრამ ქალების დიდბუნოვანების და ძლიერი შინაგანი ნების გამოა, რომ ეს ენერგიები მიმართულია მზისკენ და არა მზის წინააღმდეგ. ადამიანისკენ და არა ადამიანის წინააღმდეგ. ისინი ამ მაგიას მიმართავენ დაცვისკენ, ზრუნვისკენ, განვითარებისკენ, სიყვარულისკენ“, - ასე ახასიათებს მხატვარი „ქართული მუქის“ სერიას. თინათინ ცხადაძე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორია. თინა ცხადაძის ნამუშევრები ინახება საქართველოსა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

Tinatin Tskhadadze is a representative of the 1990s generation of Georgian artists. 1990 is also the time when her artistic activity starts. Icons from Tina Tskhadadze's "Georgian Dark" series of powerful women generally convey a rebellious feminist spirit and have been hailed by numerous art critics as impressive graphic artworks. "These abstract stories show the characters of women. The project is one big but clever, non-scandalous protest. Here are the restrained energies that may be turned into a disaster. However, it is because of the strong inner will of women that these energies are directed towards the sun and not against it. Towards human beings and not against him/her. They apply the magic towards protection, care, development, love" - this is how the artist characterizes the series "Georgian Dark." She started teaching in the 1990s and continues to teach at the Apolon Kutateladze Tbilisi State Academy of Arts as a professor. Tina Tskhadadze's works are kept in numerous private and museum collections.



თინათინ ცხადაძე. კარიადიდები. 2021. პერგამენტის ქაღალდი. შერეული ტექნიკა 70x60 სმ.  
Tinatin Tskhadadze. Caryatid. 2021. mixed media on parchment paper. 70x60 cm.









## სერგო ქობულაძე

Sergo Kobuladze


1909-1978

სერგო ქობულაძე- საქართველოს სახალხო მხატვარი, სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი; გრაფიკოსი, ფერმწერი, თეატრის მხატვარი. თავისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე სერგო ქობულაძე თეატრის მხატვრობითა და წიგნის მხატვრული გაფორმებითაა გატაცებული. მის ამ გატაცებას ბიძგი მისცა 1934 წელს გამოცხადებულმა კონკურსმა, რომელიც მიზნად ისახავდა 1937 წელს შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეოდ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებულ გამოცემას. სერგო ქობულაძის მიერ შექმნილი აღნიშნული ილუსტრაციები დღესაც საეტაპო მნიშვნელობისაა. 1930/40-იან წლებში მის მიერ წიგნებისთვის შექმნილი ილუსტრაციები გასაფორმებლად შერჩეული ნაწარმოებების კლასიკურ ხასიათს ესადაგება. ნახატი უზადო ოსტატობისა და სრულყოფილების ნიმუშებია. მხატვრის ძლიერი ხელი ფიგურათა მკვირვ ფორმებს გამოკვეთს და მონუმენტურ კომპოზიციებს ქმნის. 1950-იანი წლების ილუსტრაციები კი უფრო ინტიმური ხასიათისაა, მეტად „ერგება“ წიგნის წიაღს, „წიგნში ცხოვრობს“, ჩანახატის ეფექტს ინარჩუნებს და ამით ერთგვარ უშუალობასაც იძენს. ეს კი მეტყველებს მხატვრის მიერ წიგნის მხატვრული ორგანიზმის ახლებურად გააზრებაზე, ამასთან, მუდმივი შემოქმედებითი ძიებებისა და მაღალი პროფესიონალიზმის მაჩვენებელია. სერგო ქობულაძე მუშაობს დაზგურ გრაფიკასა და ფერწერაშიც, ქმნის პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს. ყველა მის ნამუშევარში კლასიკოსი მხატვრის ხელწერა იგრძნობა. 1960 წელს მხატვარი ქმნის ფარდას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის. ეს უმნიშვნელოვანესი ნამუშევარი 1973 წლის 9 მაისს გაჩენილი ხანძრის დროს განადგურდა. სერგო ქობულაძე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა იტალიური რენესანსის ეპოქის ხელოვნების მიმართ. სიცოცხლის ბოლოს მან დაწერა თეორიული ნაშრომი „ოქროს კვეთის“ შესახებ, სადაც თავი მოუყარა წლების მანძილზე წარმოებული კვლევის შედეგებს.

Sergo Kobuladze - People's Artist of Georgia, Corresponding Member of the Academy of Arts of the USSR, Laureate of the Shota Rustaveli Prize; graphic artist, painter, theatre designer. At the early stage of his career, Sergo Kobuladze was fascinated by theatre painting and book illustration. This passion of his was driven by a competition announced in 1934, which aimed to illustrate the publication for the 750th anniversary of Shota Rustaveli in 1937. The illustrations of "The Knight in the Panther's Skin" created by Sergo Kobuladze are still of landmark importance. The illustrations he created for the books in the 1930s / 40s fit the classic nature of the compositions selected for it. It is an example of flawless craftsmanship and perfection. The strong hand of the artist outlines the thick shapes of the figures and creates monumental compositions. The illustrations of the 1950s are more intimate of nature, "fit" more into the content of the book, "lives in the book", and retain the effect of a sketch, and thus acquire a kind of directness. The latter indicates a new understanding of the book's artistic organism/structure by the artist, as well as constant creative search and mastery. Also, Sergo Kobuladze used to work in easel graphics and painting and create portraits, landscapes, and still lifes. In all of his works, one can sense the style of a classic artist. In 1960, the artist created a curtain for the Opera and Ballet Theater of Tbilisi. A fire broke out on May 9, 1973, and this extremely significant work was burned. Sergo Kobuladze showed interest in the art of the Italian Renaissance. Towards the end of his life, he wrote a theoretical paper on the "Golden Section", where he summarized the results of years of research.



სერგო კობულაძე. იური ბოგოლუბსკი. ილუსტრაცია. 1951. ქალაღი, ტუმი. 11,2x15,8 სმ.  
Sergo Kobuladze, Yuri Bogolyubski, illustration, 1951, ink on paper, 11.2x15.8 cm.



სერგო კობულაძე. ქართული ხალხური ზღაპრები. ილუსტრაცია. 1953. ქალაქი, ტუში. 11,1x19 სმ.  
Sergo Kobuladze, Georgian Folk Tales, illustration, 1953, ink on paper, 11.1x19 cm.



სერგო კობულაძე. მუზა. ოპერის ემბლემა. 1959. ქალაქი, ტუში. 38,5x24 სმ.  
Sergo Kobuladze, Muse, the Emblem of the Tbilisi Opera House, 1959, ink on paper, 38,5x24 cm.



## ირაკლი თოიძე

Irakli Toidze

1902-1985

ირაკლი თოიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია ფართო დიაპაზონისაა. მას შექმნილი აქვს ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, წიგნის ილუსტრაციები, მუშაობდა თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის სფეროშიც. ადრეული ასაკიდანვე მისი ნახატები იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში. 1925-30 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებიდანვე იღებდა მონაწილეობას გამოფენებში. 1931 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში. მისი პირველი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი განაცხადია ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა ილუსტრირებაში მონაწილეობა. ეს წიგნი 1922 წელს გამოიცა და მის გაფორმებაში მონაწილეობდნენ უფროსი თაობის ხელოვანები - მოსე თოიძე, ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი და ახალი თაობის წარმომადგენლები - აპოლონ ქუთათელაძე, შალვა ძნელაძე, შალვა მამალაძე, მათ შორის, იყო ირაკლი თოიძეც. გარდა ილუსტრაციებისა, ის შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ქმნის თემატურ ნაწარმოებებს, ყოფითი სცენების ამსახველ კომპოზიციებს, ცნობილ პიროვნებათა პორტრეტებს. უმნიშვნელოვანესია 1937 წელს შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები და შოთა რუსთაველის პორტრეტი. ომის დაწყების პირველ დღეებში ირაკლი თოიძე ასრულებს ცნობილი პლაკატს - „დედა სამშობლო გვეძახის“. ეს პლაკატი ომის თემაზე შექმნილი პლაკატების ერთგვარ სიმბოლოდაა ქცეული. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია. ნამუშევრების ნაწილი ინახება მოსე თოიძის სახლ-მუზეუმში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და რუსეთის სხვადასხვა მუზეუმში. სიცოცხლის განმავლობაში ირაკლი თოიძე მრავალჯერ დააჯილდოვეს - იყო საქართველოს სახალხო მხატვარი (1980), სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ოთხგზის ლაურეატი (1941, 1948, 1949, 1951), თბილისის საპატიო მოქალაქე (1982), საქართველოსა და რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1982).

Irakli Toidze's creative biography has a wide range. He has created paintings, graphics, posters, and book illustrations and has also worked as a set designer. From an early age, Irakli Toidze's drawings have been published in periodicals. He studied at the Faculty of Painting at the Tbilisi State Academy of Arts (1925–1930). He took part in a number of exhibitions during his time at the academy. Irakli Toidze moved to Moscow in 1931. Participating in the illustration of Egnate Ninoshvili's works was his first major creative endeavour. The book was published in 1922, illustrations were made by the elder generation artists, such as Mose Toidze, Eugen (Yevgeny) Lanceray, Iosif Charlemagne and new generation artists, Irakli Toidze was among them, along with Apolon Kutateladze, Shalva Dzneldadze, and Shalva Mamaladze. He develops thematic works, compositions depicting everyday scenes, and celebrity portraits in addition to illustrations in the early stages of his creative process. The illustrations of Shota Rustaveli's poem "Knight in the Panther's Skin" and the Portrait of Shota Rustaveli, painted in 1937 for Rustaveli's 750th Anniversary, are among Irakli Toidze's most important works. In the early days of the war, Irakli Toidze created a famous poster titled "Motherland is Calling!" which is remarkable for its exquisite compositional intent, clarity of idea, and conciseness, hence it has become a kind of symbol of war posters created to this day. Throughout his life, Irakli Toidze received numerous awards including People's Artist of the Georgian SSR (1980), four-time Laureate of the USSR State Prize (1941, 1948, 1949, 1951), Honorary Citizen of Tbilisi (1982), and Honored Artist of the Georgian SSR (1982).



ირაკლი თოიძე. მიწისძვრა სომხეთში. 1934. ქალაღლი, ფანქარი. 45x70 სმ  
Irakli Toidze. The Earthquake in Armenia. 1934. pencil on paper. 45x70 cm.






გიორგი როინიშვილი  
Giorgi Roinishvili  
1921-2000

გიორგი როინიშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე 1947 წლიდან ჟურნალ „დილის“ რედაქციაში იწყებს მუშაობას და ოთხი ათეული წლის განმავლობაში მისი სამხატვრო რედაქტორია. მან დაგვიტოვა ათეულობით ფერწერული და გრაფიკული დაზგური ნამუშევარი, წიგნების ილუსტრაციები. მუშაობდა პეიზაჟისა და პორტრეტის ჟანრებში, ქმნიდა თემატურსა და აბსტრაქტულ ტილოებს, სატირულ ნახატებს; აფორმებდა სპექტაკლებსა და ფილმებს. თავისი ნამუშევრებისთვის იყენებდა სხვადასხვა მასალას: ზეთისა და ტემპერის საღებავებს, გუაშს, აკვარელს, ფანქარს, ტუშსა და კალამს. გიორგი როინიშვილის შემოქმედებისათვის სახასიათოა სიახლის მუდმივი ძიება. პეიზაჟურ ფერწერაში მხატვარი იყენებს იმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელ ხერხებს, ფუნჯის მონასმი თამამი, თავისუფალი და შეუზღუდავია. ნაგებობათა დამახასიათებელი სტილით შეიცნობა სხვადასხვა ქვეყნისა და ქალაქის ხედები. იყენებს დეკორატიულ მოტივებსაც. ამასთან, ნახატი ხასიათდება ფერადოვანი, სიბრტყობრივ-ლაქობრივი შესრულებითა და დეტალური დამუშავებით. ხატავს ეთნოგრაფიულ ტიპაჟებსაც. გიორგი როინიშვილი ყოველთვის ცდილობს, დარჩეს საკუთარი პრინციპების ერთგული და ახერხებს კიდევ თავიდან აიცილოს საბჭოთა წლებში გამეფებული იდეოლოგიური დოგმატიზმი. რაც შეეხება მის აბსტრაქტულსა და კუბისტურ კომპოზიციებს, აქ მხატვარი თავს აღწევს ერთფეროვნებას. შემოქმედების ბოლო ათწლეულებში წერის ტექნიკა უფრო ლესირებული გახდა, მონასმი კი იმდენად თხელი, რომ ხშირად საღებავის თვისებრიობის გარჩევაც კი ჭირს. გიორგი როინიშვილი დაუღალავი და მუდმივად მაძიებელი მხატვარი იყო.

Giorgi Roinishvili - after graduating from the Faculty of Painting of the Tbilisi State Academy of Arts, he started working in the editorial office of the magazine „Dila” (Morning) in 1947. He continued to be its artistic editor for four decades. He left us dozens of paintings and easel graphic works, book illustrations. He worked in the genres of landscape and portrait, created thematic and abstract paintings, satirical paintings, and decorated theatre plays and movies. He used different materials for his works: oil and tempera, gouache, watercolour, pencil, ink, and pen. Giorgi Roinishvili’s work is characterized by a constant search for novelty. In landscape painting, the artist uses techniques characteristic of Impressionism - his brushstroke is bold, free, and unrestricted. The views of different countries and cities can be recognized by the distinctive style of the buildings. It is typical for him to use decorative motifs as well. In addition, the colourful, flat-spotted performance and detailed work are characteristic of his paintings. He also paints ethnographic portraits. Giorgi Roinishvili has always tried to remain true to his principles and even managed to avoid the ideological dogmatism that dominated in the Soviet years. As for his abstract and cubist compositions, the artist achieves monotony. In recent decades, the painting has developed a glaze tendency, and the brushstroke has become so thin that it is commonly often difficult to discern the character of the paint. Giorgi Roinishvili was a tireless and constantly seeking artist




გიორგი როინიშვილი. ცირკის მოხეტიალე მსახიობები. 1958. ქალაქი, გუამი. 32x17 სმ.  
Giorgi Roinishvili. The Circus Actors. 1958. paper, gouache. 32x17 cm.



თამარ კარბელაშვილი  
Tamar Karbelashvili

თამარ კარბელაშვილის (დ.1937 ) შემოქმედების ძირითადი სფერო დაზგური გრაფიკა, წიგნის გაფორმება და ილუსტრაციაა, თუმცა ქმნის ფერწერულ ტილოებსაც. 1962-66 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე. აკადემიის დამთავრებისთანავე გამომცემლობა „განათლებაში“ იწყებს მუშაობას, მოგვიანებით კი აქტიურად თანამშრომლობს სხვა გამომცემლობებთანაც და ნაყოფიერად ემსახურება წიგნის გამოცემის საქმეს. მხატვარი გამორჩეული, მეტყველი გრაფიკული ენით შესრულებული სადიპლომო ნამუშევრით იმთავითვე იქცევს პედაგოგებისა და ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოების ყურადღებას. ფერადი ლინოგრაფიურის ტექნიკით შესრულებული სულხან-საბას ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ილუსტრაციები მაღალმხატვრული და დახვეწილი ფერადოვნებითაა გამორჩეული. მოგვიანებით მხატვარი თავისი შემოქმედების ძირითად სფეროდ მაინც წიგნის გრაფიკას ირჩევს. გაფორმებული აქვს მრავალსახოვანი ლიტერატურა. 1960-80 წლებში აფორმებს სასკოლო სახელმძღვანელოებსაც. გარდა ლინოგრაფიურისა, მხატვარი დაზგური ნამუშევრების შესრულებისას აქტიურად იყენებს სანგინას, პასტელს, გუაშს, ტემპერას. თავშეკავებული ჟღერადობითა და დახვეწილი ფერადოვნებით გამოსახავს სვანეთის, თიანეთის პეიზაჟებსა თუ თბილისის ხედებს. მონაწილეობს საქართველოში გამართულ ჯგუფურსა (1965, 1963, 1966, 1971, 1990, 1991) და პერსონალურ (1980 ) გამოფენებში.

Tamar Karbelashvili's (b.1937) main field of work is easel graphics, book design, and illustration, but she also creates paintings. From 1962 to 1966, she studied at the Tbilisi State Academy of Arts at the Faculty of Drawing. After graduating from the academy, she started working at the publishing house „განათლება“ (“Ganatileba”/Education) and later actively cooperated with other publishing houses and productively served the field of book publishing. With her diploma work, created in a distinctive, expressive drawing language, the artist instantly draws the attention of teachers and the public interested in art. The illustrations of Sulkhan-Saba Orbeliani's “A Book of Wisdom and Lies” are made with the colourful linocut technique that stands out by highly artistic and subtle colours. Later, the artist chooses book illustration as the main field of her work. She has illustrated a variety of literature. From 1960 to 1980, she also illustrated school textbooks. In addition to linocut, the artist actively uses sanguine pencil, pastel, gouache, and tempera in her easel works. She depicts the landscapes of Svaneti, Tianeti, or views of Tbilisi with restrained expressiveness and subtle colours. She takes part in a group (1965, 1963, 1966, 1971, 1990, 1991) and solo (1980) exhibitions held in Georgia.



თამარ კარბელაშვილი. „სიბრძნე სიცრუისა“. ილუსტრაციები. 1962. ფერადი ლინოგრაფიურა. 15x20 სმ.  
Tamar Karbelashvili. Wisdom of Lies. illustration. 1962. colour lithograph. 15x20 cm.




## ოთარ ჯიშკარიანი

Otar Jishkariani

1929-1995

ოთარ ჯიშკარიანი საქართველოს დამსახურებული მხატვარი და XX საუკუნის 50-იანელთა თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. შემოქმედების ოთხი ათეული წლის განმავლობაში მისი უმთავრესი საზრუნავი თანამედროვე ქართული წიგნის მხატვრული დონის ამაღლება იყო. პარალელურად მუშაობდა ფერწერასა და დაზგურ გრაფიკაშიც, ქმნიდა შრიფტის გარნიტურებს, პლაკატებს, შესრულებული აქვს მონუმენტური მოზაიკური პანოები და გობელენისათვის განკუთვნილი რამდენიმე ესკიზიც. მხატვარი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობ პრაქტიკულ საქმიანობაშიც, კერძოდ, მისი ინიციატივით დაარსდა საგამოფენო დარბაზი „მერანი“ (1970), გაზეთი „მხატვარი“ (1971) და ბავშვთა სურათების გალერეა (1969). მხატვარი სტუდენტობიდან იწყებს თანამშრომლობას პერიოდული გამოცემების რედაქციებთან, ქმნის ილუსტრაციებს ჟურნალებისთვის - „ნიანგი“, „დილა“, „პიონერი“. გარდა წიგნის გრაფიკისა, ოთარ ჯიშკარიანს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ქართული ასო-ნიშნების მოხაზულობათა დახვეწასა და შრიფტების მრავალფეროვანი გარნიტურების შექმნაში. შესრულებული აქვს მხატვრული შრიფტის მრავალფეროვანი ნიმუშები სხვადასხვა წიგნის ყდების, ტიტულ-კონტრტიტულებისა თუ მშვეტიტულების გასაფორმებლად. მასვე ეკუთვნის ლიტერატურული ჟურნალების: „ცისკრის“, „ლიახვის“, „კრიტიკის“ გარეკანის შრიფტებიც. საყოველთაოდაა ცნობილი მის მიერ შედგენილი მაღალმხატვრული ალბომი „ანბანთქება“. მხატვრის ღვაწლი, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ამაზე მეტყველებს მის მიერ მიღებული მრავალი სახელმწიფო ჯილდო.

Otar Jishkariani is an Honored Artist of Georgia and one of the prominent representatives of the 50s of the 20th century. During the four decades of his work, his main concern was to raise the artistic level of contemporary Georgian books. He also worked in painting and easel graphics, created the type garnitures and posters, and executed monumental mosaic panels and several sketches for tapestry. Until the end of his life, the artist was actively involved in practical activities promoting the development of fine arts in Georgia in particular, he initiated the establishment of the exhibition hall “მერანი” (Merani) in 1970, the newspaper “მხატვარი” (Artist) in 1971 and the Children’s Picture Gallery in 1969. From his student days, the artist started collaborating with the editorial offices of publishing companies, creating illustrations for magazines – “Niangi” (Crocodile), “Dila” (Morning), and “Pioneri” (Pioneer). In addition to the book illustrations, Otar Jishkariani has made a significant contribution to the refinement of Georgian Alphabet outlines and the creation of a variety of types of garnitures. He has made various samples of artistic fonts to decorate the covers of different books, titles-frontispieces, and half-titles. The fonts of the following literary magazines belong to him as well: “Tsiskari”, “Liakhvi”, and “Kritika”. The highly artistic album “Anbantkeba” (Praise of Alphabet) composed by him is well known. The work of the artist, of course, has not gone unnoticed. This is evidenced by the many public awards he has received.



ოთარ ჯიშკარიანი. ძველი თბილისი. 1966. ქაღალდი, აკვარელი. 35x27 სმ.  
Otar Jishkariani. The Old Tbilisi. 1966. watercolour on paper. 35x27 cm.



## მამია მალაზონია

Mamia Malazonia

მამია მალაზონიას (დ.1936) შემოქმედება გამოირჩევა მრავალფეროვნებით. იგი ქმნის ფერწერულსა და დაზგურ გრაფიკულ ნამუშევრებს, ილუსტრაციებს, პლაკატებს. მისი გატაცებაა ასევე თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნება, კინომხატვრობა, მულტიპლიკაცია, მონუმენტურ-დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება. მან ნოდარ მალაზონიასთან ერთად შექმნა ქართული ბონისტისტიკისა (კუპონი, ლარი, ქართული თეთრი) და საბუთების (პასპორტი, მართვისა და პირადობის მოწმობა, ვაუჩერი) დიზაინი. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მის მიერ გაფორმებული „ვეფხისტყაოსანი,“ რომლის თითოეული ილუსტრირებული ფურცელი რამდენიმე კომპოზიციისგანაა შედგენილი, გვთავაზობს სხვადასხვა ამბის ერთდროულ თხრობას, კონკრეტული შინაარსით იტვირთება და თვალს გვადევნებინებს ტექსტის თანმიმდევრულ თხრობას. მხატვარი 1962 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში. საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამართული აქვს 15 პერსონალური გამოფენა, გაფორმებული აქვს 90-მდე სპექტაკლი, 16 მხატვრული და ანიმაციური ფილმი. მამია მალაზონიას წლის საუკეთესო მხატვრის წოდება მიანიჭა საქართველოს მხატვართა კავშირმა (1973), საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა (1990), ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ჟიურიმ (თბილისი.1991) და საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა (1992 ). მხატვარს მრავალი საპატიო წოდება და ჯილდო აქვს მიღებული. იგი არის: საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1980), საქართველოს სახალხო მხატვარი (1984); გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული პრემია „გალასა“ (2007) და შოთა რუსთაველის ეროვნული პრემიის (2003) ლაურეატი. მისი ნამუშევრები ინახება: თბილისის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის ბახრუშინის სახელობის თეატრალურ მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში (მოსკოვი, რუსეთი), აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი, რუსეთი) პუშკინის სახელობის ნატიფი ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი, რუსეთი), ასევე საქართველოს, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, აშშ -ის კერძო კოლექციებში.

Mamia Malazonia's (b.1936) works are outstanding for their versatility. He creates paintings and easel graphics, illustrations, and posters. He is also interested in set design for the theatre, cinematography, animation, monumental-decorative and applied arts. With the participation of Nodar Malazonia, Georgian bonistika (coupon, Gel, Georgian Tetri), and documents (passport, driving license, ID card, voucher) were created. "The Knight in the Panther's Skin" illustrated by him deserves particular attention, each page of which is illustrated with several compositions and offers a simultaneous narration of different stories, which gives them specific meaning and makes us keep an eye on the consistent narration of the text. The artist has been participating in exhibitions since 1962. He has held 15 solo exhibitions in Georgia and abroad and has designed about 90 plays, 16 fiction, and animated films. Mamia Malazonia was named Artist of the Year by the Union of Georgian Artists (1973), the Union of Georgian Theater Figures (1990), the International Jury of Art Festival (Tbilisi, 1991), and the Union of Georgian Theater Figures (1992). The artist has received many honorary titles and awards. He is the Honored Artist of Georgia (1980), People's Artist of Georgia (1984); Laureate of Galaktion Tabidze Literary Prize "Gala" (2007), and Shota Rustaveli National Prize (2003). His works are preserved in Dimitri Shevardnadze National Gallery in Tbilisi, Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts, Bakhrushin Theater Museum in Moscow, Tretyakov Gallery (Moscow, Russia), Museum of Oriental Art in Moscow (Moscow, Russia), and also in private collections of Georgia, France, England, Germany and USA.



მამია მალაზონია. სცენები კვაჭი კვაჭანტირაძიდან. 2010. მუყაო. შერეული მასალა. 61x86 სმ.  
Mamia Malazonia. The Scenes from Kvatchi Kvatchantiradze. 2010. mixed technique on cardboard. 61x86 cm.






## რუსუდან გაჩეჩილაძე Rusudan Gachechiladze

რუსუდან გაჩეჩილაძე (დ. 1937) მოქანდაკე, გრაფიკოსი, საქართველოს ამსახურებელი მხატვარი. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. იყო ნიკოლოზ კანდელაკისა და სერგო ქობულაძის მოსწავლე. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სამხატვრო აკადემიის ხატვის კათედრაზე. რუსუდან გაჩეჩილაძე, როგორც მოქანდაკე, XX საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული და საბჭოთა პორტრეტული ქანდაკების ერთ-ერთი რეფორმატორია. მან უარი თქვა ზედაპირულად გაგებულ რეალისტურ ქანდაკებაზე, ქართულ ქანდაკებაში შემოიტანა საქანდაკო მასალის სპეციფიკის ახლებური გაგება და პოლიქრომია; დაამკვიდრა ახალი ენა და ღირებულებები. ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში, რუსუდან გაჩეჩილაძეს მიღებული აქვს სხვადასხვა საკავშირო გამოფენის უამრავი ჯილდო (ამიერკავკასიის სახვითი ხელოვნების ფესტივალის გრან-პრი, საქართველოს მხატვართა კავშირის წლის საუკეთესო ნამუშევრის პრემიები...). XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იგი აქტიურად ჩანდა საკავშირო ქანდაკების სცენაზე. სახელოვნებათმცოდნეო კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებსა და მიმოხილვებში ხელოვნების ცნობილი კრიტიკოსები- რაისა აბოლინა, ოლგა კოსტინა, იგორ სვეტლოვი მუდამ მოიხსენიებდნენ რუსუდან გაჩეჩილაძის თვითმყოფად შემოქმედებას. მისი ნამუშევრები ტირაჟირებული იყო საკავშირო პროფესიულ პერიოდიკაში. მრავალი ჯილდოს მიუხედავად, რუსუდან გაჩეჩილაძეს არასდროს მიუღია შეკვეთა მონუმენტური სკულპტურის დასამზადებლად. ძირითადად, შემოფარგლული იყო მცირე პლასტიკის ჟანრით. აღსანიშნია, რომ ბოლო წლებში მან მოდერნისტული ქანდაკების უამრავი ესკიზი შექმნა. მხატვრის ნამუშევრები დაცულია საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

Rusudan Gachechiladze (b.1937) Honored Artist of Georgia, sculptor, graphic artist and lecturer. In 1963 she graduated from the Tbilisi Academy of Arts as a sculptor. At different times of her studies she was tutored by Nikoloz Kandelaki, the founder of the modern Georgian school of sculpture and Sergo Kobuladze, the outstanding graphic artist and muralist. Her activity as a teacher at the Drawing Department of the Tbilisi State Academy of Art spans more than half a century. Rusudan Gachechiladze is considered to be one of the reformers of the Georgian and Soviet portrait sculpture in the 1960s -1970s. She established a new language and values in portraiture rejecting the way of realistic depiction – primarily understood perfunctory - and introduced polychromy and a completely new perception of the specifics of sculptural materials. During her long creative career, Rusudan Gachechiladze received numerous awards at various Union exhibitions (Grand Prix of the Transcaucasian Fine Arts Festival, Prizes for the best work of the year by the Georgian Artists' Union). She was quite active on the Soviet Union's sculpture scene throughout the 1960s and 1980s. Her works were critically acclaimed by such well-known art-critics and authors as Raisa Abolina, Olga Kostina and Igor Svetlov. Her sculptural works widely circulated in the Union's professional periodicals. Despite numerous awards, Rusudan Gachechiladze, unlike the men colleagues has never received the government commission on urban sculpture so she was mostly limited to the genre of small statuary. It is noteworthy that in the past 5 years the octogenarian artist created numerous sketches and projects for the modernist urban sculptures. The artist's works are preserved in the Shalva Amiranashvili Art Museum and private collections throughout Georgia.



რუსუდან გაჩეჩილაძე, შერკინება. 2020. ქალაღი, ფანქარი. 18x23 სმ.  
Rusudan Gachechiladze, Scramble. 2020. pencil on paper. 18x23 cm.




## ნოდარ მალაზონია

Nodar Malazonia

ნოდარ მალაზონიამ (დ.1929) შემოქმედება მოიწავს ფერწერისა და გრაფიკის დარგებს (წიგნის გაფორმება, პლაკატი, კარიკატურა, ილუსტრაცია), გრაფიკულ დიზაინსა და კომპიუტერულ გრაფიკას. მან მამია მალაზონიასთან ერთად შექმნა ქართული ბონისტიკის (კუპონი, ლარი, ქართული თეთრი) და საბუთების (პასპორტი, მართვისა და პირადობის მოწმობა, ვაუჩერი) დიზაინი. გამორჩეულია ნოდარ მალაზონიას როლი ქართული პლაკატის განვითარებაში. 1950-იანი წლების დასასრულ ქართული სარეკლამო აფიშის ისტორიაში რადიკალური ცვლილებები მოხდა. ისინი კი განაპირობა 1958 წელს მოსკოვში ჩატარებულმა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის შექმნილმა მაღალმხატვრულმა აფიშებმა. ამ ცვლილებების ერთ-ერთი ავტორი ნოდარ მალაზონიაც გახლდათ. მან თავისი სიტყვა თქვა 1970/80-იანი წლების ქართული პლაკატის ისტორიაშიც. შექმნა სხვადასხვა თემატიკის მრავალრიცხოვანი პლაკატები, განკუთვნილი ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმებისა თუ უცხოეთში ქართული ხელოვნების ნიმუშების ექსპოზიციებისათვის. მასვე ეკუთვნის ბორჯომის წყლის სარეკლამო პლაკატი და მრავალი სხვა. ნიშანდობლივია, რომ იგი სარეკლამო ხელოვნებაში, მხატვრული ხერხების გარდა, ფოტოტექნიკასაც იყენებდა. თავისი შემოქმედებითი ძალა მან ქართულ კარიკატურაშიც მოსინჯა - 1958 წლიდან იყო ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი მხატვარი. 1956 წლიდან მონაწილეობდა ჯგუფურსა და პერსონალურ გამოფენებში. 1985 წლის გაზაფხულზე მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიმართა ქ. ვილნიუსში. მხატვარი მრავალგზის (1957, 1960, 1961, 1964, 1966, 1972, 1974, 1978) დააჯილდოვეს. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1965); საქართველოს სახალხო მხატვარი (1983); მხატვართა კავშირის წევრი (1956); სარეკლამო-საგამომცემლო ფირმა „ბენეფისის“ გენერალური დირექტორი.

Nodar Malazonia (b.1929) creations include the fields of painting and drawings (book design, poster, caricature, illustration), graphic design, and computer graphics. He designed Georgian bonistika (coupon, gel, Georgian white) and documents (passport, driver license and ID card, voucher) together with Mamia Malazonia. The role of Nodar Malazonia in the development of the Georgian poster is outstanding. At the end of the 1950s, radical changes took place in the history of the Georgian advertising poster. These changes were conditioned by the highly artistic posters created for the Decade of Georgian Art and Literature in Moscow in 1958. Nodar Malazonia was one of the authors of the changes. He left his footprint in the history of the Georgian poster in the 1970s / 80s. He created numerous posters on various topics intended for international symposiums of Georgian art or Georgian art exhibitions abroad. The Borjomi water advertising poster and many more belong him as well. It is noteworthy that he used photographic techniques in advertising besides artistic means. He also experimented with his creative power in Georgian caricature - from 1958, he was the main artist of the magazine „Niangi“ (Crocodile). He has been participating in group and solo exhibitions since 1956. In spring 1985, a solo exhibition of his works was held in Vilnius. The artist has been awarded many times (1957, 1960, 1961, 1964, 1966, 1972, 1974, 1978). He is the Honored Artist of Georgia (1965); People's Artist of Georgia (1983); Member of the Union of Artists (1956); General Director of Advertising-Publishing Firm "Banepisi" (Benefit).




ნოდარ მალაზონია. ნატურმორტები. სერია. 2020. ქალაქი, გუამი. 50x54 სმ.  
Nodar Malazonia. Still Lives (a series of works). 2020. Gouache on paper. 50x54 cm.



ლორეტა შენგელია  
Loretta Shengelia

ლორეტა შენგელია (დ.1942), საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1982), გრაფიკოსი, ფერმწერი. თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა 1966 წელს, სადაც გრაფიკის ხელოვნებას უფლებოდა ლადო გრიგოლიასა და სერგო ქობულაძის ხელმძღვანელობით. ლორეტა შენგელიას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული წიგნისა და ბეჭდური გრაფიკის განვითარებაში. მის მიერ ილუსტრირებული „შუშანიკის წამება“ ამ ნაწარმოების ილუსტრაციებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. დასურათებული აქვს ასევე „სიბრძნე სიცრუისა“, „ვეფხისტყაოსნი“, ოტია იოსელიანის მოთხრობები, გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებები“, შექსპირის პიესები: „რიჩარდ მესამე“, „ოტელო“, „იულიუს კეისარი“ და ქართველი პოეტების მრავალი კრებული. მის მიერ დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ ინახება ერმიტაჟში, პეტერბურგისა და სორბონის უნივერსიტეტებსა და მოსკოვის კალიგრაფიის ინსტიტუტში. მხატვარმა ბეჭდური გრაფიკის შესანიშნავი ნამუშევრების გარდა, ოფორტის ტექნიკით შექმნა დიდფორმატიანი კომპოზიციებისა და პორტრეტების სერიები. მისი გრავირებიც, უმეტესად, ოფორტის ტექნიკითაა შესრულებული, სადაც მხატვრული ეფექტის მისაღწევად ლითონზე გრავირების ყველა ხერხია გამოყენებული. ის შემოქმედებით საქმიანობას უთავსებს პედაგოგობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში, არის პროფესორი (1997), ღირსების ორდენის კავალერი (2002). 1984 წლიდან ლორეტა შენგელიას პერსონალური გამოფენები, საქართველოს გარდა, იმართებოდა გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და რუსეთში. მიღებული აქვს გრან-პრი ესტამპის საკავშირო გამოფენაზე (1991).

Loretta Shengelia (b.1942) Honored Artist of Georgia (1982), a graphic artist, and a painter. She graduated from the Tbilisi State Academy of Arts in 1966, where she mastered the art of drawing under the instruction of Lado Grigolia and Sergo Kobuladze. Loretta Shengelia has significantly contributed to the development of Georgian books and graphic art print. “The Martyrdom of the Holy Queen Shushanik” illustrated by her is one of such illustrations in this work. She has also illustrated “A Book of Wisdom and Lies”, “The Knight in the Panther’s Skin”, Otia Ioseliani’s short stories, Goethe’s “The Sorrows of Young Werther”, and Shakespeare’s plays: “Richard III”, “Othello”, “Julius Caesar”, and many collections of Georgian poets. “The Knight in the Panther’s Skin” illustrated by her is preserved in the Hermitage Museum, the Universities of St. Petersburg and the Sorbonne, and the World Calligraphy Museum in Moscow. In addition to excellent graphic-art prints, the artist has created a series of large-scale compositions and portraits using etching techniques. Her engravings are mostly made using etching techniques, where all methods of engraving on the metal are used to achieve an artistic effect. Along with the creative activity, she managed to teach at the Tbilisi State Academy of Arts; she was a professor (1997) and a winner of the Order of Honor (2002). Since 1984, Loretta Shengelia has had solo exhibitions in Germany, France, Italy, and Russia. She received the Grand Prix at the Union Exhibition of Etching (1991).



ლორეტა შენგელია. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია. 2012. ოფორტი. 24x34 სმ.  
Loretta Shengelia. The Knight in the Panther's Skin. illustration. 2012. etching. 24x34 cm.



## მარინე ივანიშვილი Marine Ivanishvili

მარინე ივანიშვილი (დ.1952) მოქანდაკე, გრაფიკოსი, ფერმწერი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1983). 1976 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. როგორც მოქანდაკეს, სახელმწიფოს დაკვეთით არასდროს შეუქმნია მონუმენტური ქანდაკება. არტისტული მოღვაწეობის აქტიურ წლებში, ძირითადად, მუშაობდა მცირე პლასტიკის ჟანრსა და გრაფიკაში - ორივე მედიუმში ქმნიდა მოდერნისტულ ფორმებს. მისი შემოქმედების მთავარი მოტივებია ტორსები, ცხენები და ხარები. ის ელენე ახვლედიანის შემდეგ პირველი ხელოვანი ქალია, რომელმაც ეროტიკული შინაარსის გრაფიკული სერიები შექმნა. მარინე ივანიშვილი ეწეოდა მრავალმხრივ შემოქმედებით საქმიანობას. იყო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის მდივანი; 1986-89 წლებში მხატვრის სახლთან არსებული ქანდაკების ბავშვთა სტუდიის ხელმძღვანელი. ხელოვნების დარგში კონსულტირებას უწევდა „ონლაინ სტუდიოს“ ელექტრონულ კატალოგ „ART.ge“-ს. მარინე ივანიშვილი მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ მოწყობილ უამრავ გამოფენაში, გამართული აქვს პერსონალური გამოფენები ჰამბურგის ქალთა კულტურის ცენტრში (1991); ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკასა (1997) და პარიზში (2021). მისი ნამუშევრები დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და კერძო კოლექციებში.

Marine Ivanishvili (b. 1952) - sculptor, graphic artist, painter, publicist, teacher, and Georgian State Prize laureate (1983). In 1976, she graduated from the Sculpture Faculty of the Tbilisi State Academy of Arts. As a sculptor, she never completed a state-commissioned monumental sculpture. During her active years as an artist, she primarily worked in the genres of small sculpture and graphics, creating modernist forms in both mediums. Torsos, horses, and bulls are the main themes in her work. She is the first female artist to create graphic series with erotic content, after Elene Akhvediani. Marine Ivanishvili was involved in a variety of creative activities. She was a member of the Mtskheta Archaeological Expedition, Secretary of the Georgian Artists' Union's Sculpture Section, and the head of the children's sculpture studio near the Artist's House from 1986 to 1989. She consulted the electronic catalogue of "Online Studio" "ART.ge" in the field of art. Marine Ivanishvili has participated in numerous exhibitions in Georgia and abroad, including solo exhibitions at the Women's Cultural Center Hamburg (1991), the National Public Library (1997), and the Institut Français in Paris (2021). Her works are preserved in the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts and in private collections.



მარინე ივანიშვილი. ცხენი და ხარი. 1993. ლითოგრაფია. 45x35 სმ.  
Marine Ivanishvili. The Bull and the Horse. 1993. lithograph. 45x35 cm.






## გოგი წერეთელი

Gogi Tsereteli

1944-2021

გოგი წერეთელს XX საუკუნის 60/70-იანელთა თაობის ქართველ გრაფიკოს მხატვართა შორის განსაკუთრებული ადგილი აქვს დამკვიდრებული. მრავალრიცხოვანია მხატვრის მიერ შექმნილი დაზგური ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, თუმცა 2000-იანი წლებიდან იგი უფრო მეტად წიგნის გაფორმებით იყო დაკავებული, ქმნიდა ილუსტრაციებსა და ექსლიბრისებს. 1972 წელს გოგი წერეთელი ამთავრებს თბილისის სამხატვრო აკადემიას. სტუდენტობის წლებიდანვე მონაწილეობს საკავშირო და საერთაშორისო ჯგუფურ გამოფენებში. მისი რამდენიმე პერსონალური გამოფენა უცხოეთშიც მოეწყო. მამინვე ცხადი გახდა, რომ იგი თავისი თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ, განსაკუთრებული ხელწერის მქონე ხელოვანად ჩამოყალიბდებოდა. მისი ადრეული გრაფიკული სერიები ლირიზმითა და პოეტურობით გამოირჩევა. 1990-იან წლებში კი მხატვარი ძირითადად ნახატის აბსტრაგირების ხერხს მიმართავს. ამ პერიოდში შექმნილი დიდი ზომის ოფორტების სერიები მაღალმხატვრული ოსტატობით, ლაქობრივი ფერადოვნებითა და გრაფიკული ლაკონურობით ხასიათდება, რაც მხატვრის დახვეწილი გემოვნებისა და შინაგანი მაღალი კულტურის მაჩვენებელია. დაზგურ გრაფიკაში მრავალფეროვანია მისი ტექნიკა: ოფორტი, ლინოგრაფიკა, ლითოგრაფია... გოგი წერეთლის, თავის ქვეყანასა და საქმეზე შეყვარებული ხელოვანის, ნამუშევრები ინახება მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში. მის მიერ შექმნილი მაღალმხატვრული ნამუშევრები ბევრჯერ დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომითა და მედლით. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და დამსახურებული მხატვარი.

Gogi Tsereteli occupies a special place among the Georgian drawing artists of the 60s / 70s of the 20th century. The artist created many easel paintings and graphics, but since the 2000s, he has been more involved in book design, creating illustrations, and ex libris. In 1972, Gogi Tsereteli graduated from the Tbilisi State Academy of Arts. He participated in many federal and international group exhibitions starting from his student years. Several of his solo exhibitions have been held abroad. It became instantly clear that he would turn into one of the most distinctive artists of his generation, with one of the most unique styles. His early drawing series featured lyricism and poetry. In the 1990s, the artist mainly used the method of abstracting the painting. The large-scale series of etching works created during this period are characterized by high artistic craftsmanship, colourful spots, and graphic laconicism, which indicates the artist's refined taste and high erudition. His technique is diverse in easel graphics: etching, linocut, lithography, etc. The works of Gogi Tsereteli - an artist who loves his country and work - are preserved in various museums and private collections worldwide. His highly artistic works created by him have been awarded many times with special diplomas and medals. He was a laureate of the Georgian State Award and a deserving Honoured Artist.



გოგი წერეთელი. ოცნება. 1987. ლითოგრაფია. 61x75 სმ.  
Gogi Tsereteli. Dream. 1987. lithograph. 61x75 cm.



ნანა ცინცაძე  
Nana Tsintsadze  
1947-2021

ნანა ცინცაძე 1971 წელს ამთავრებს თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტს და ამავე წლიდან აქტიურად იღებს მონაწილეობას ადგილობრივსა და საერთაშორისო ბიენალეებსა თუ გამოფენებში. ძირითადად, იგი დაზღვრულ გრაფიკაში მუშაობს. იყენებს ოფორტის ტექნიკას; აკვარელს, პასტელს, ნახშირს, შერეულ ტექნიკას. აქვს ზეთითა და ტემპერით შექმნილი ნამუშევრებიც. ოფორტით განხორციელებულ ანაბეჭდთა უმრავლესობა შავ-თეთრის ეფექტებზეა აგებული, ხშირად შიგ ჩართული მქრალი, შეფერილი ლაქებითა და თავშეკავებული ჟღერადობით. პერსონაჟებად ხშირად სხვადასხვა ასაკის ქალთა სახეები გვევლინებიან. სიმბოლურად გააზრებული მიმქრალი ტონალობითაა გამოსახული ფიგურათა კვატროცენტოსეული პროფილები; შეიცნობა ძველი და ახალი თაობის ერთიანობა და განუყოფლობა. ძლიერი დამტრინხვითა თუ აკვარელის გაქდენითი ლაქობრივი ეფექტებითაა მიღწეული ჩანაფიქრი. მთავარი ადამიანია! ქალი თუ მამაკაცი, ახალგაზრდა თუ ხანდაზმული, წარსული თუ მომავალი, ზოგჯერ ანარეკლიდან შესაცნობი, მიმქრალი ფრესკის მსგავსი. გზა, სწრაფვა, სევდა და იმედი... კონკრეტულ ქალაქთა სილუეტები, ტუმისა და კალმის თამამი შტრიხებით გამოხატული მთის სოფლის პეიზაჟები, გაბნეული მუსიკის ხმა... თემატიკის სიუჟე - ბიბლიური თუ შუმანიკის წამების ამსახველი სიუჟეტები და გამოსახვის ინდივიდუალური გააზრება. თითქოსდა ყველაფერს დასდევს ადამიანური ტკივილის ფარული სევდა, ღრმა სულიერი განწყობა, იდუმალეობა...ნანა ცინცაძის ხელწერა ყველასგან განსხვავებული და ღრმად დამაფიქრებელია. ფერადოვანი ჟღერადობითაა გაჯერებული ზეთის საღებავებით თუ შერეული ტექნიკით შესრულებული აბსტრაქტული ნამუშევრები.

Nana Tsintsadze graduated from the Faculty of Graphics of the Tbilisi State Academy of Arts in 1971 and since the very same year, she has been actively participating in local and international biennales or exhibitions. Mainly, she works on easel graphics. She uses etching techniques; watercolour, pastel, charcoal, and mixed media. She also has works created with oil and tempera. Most of the prints made by etching are built on black-and-white effects, often with fade, tinted spots, and restrained colour. The characters are often the faces of women of different ages. The quattrocento profiles of the figures are depicted with symbolically thought-out faded tones; the unity and indivisibility of the old and new generations stand out. Strong striches or watercolour imbued spot effects are used to convey the idea. Human is her priority! Woman or man, young or old, past or future, sometimes recognizable through reflection, just like a fading fresco. Road, aspiration, sadness, and hope. Silhouettes of certain cities, mountain village landscapes expressed with bold lines of ink and pen, and the sound of scattered music. The abundance of themes - stories from the Bible or the "The Martyrdom of the Holy Queen Shushanik" and unique understanding of their portrayal. It seems that everything evokes the feeling of the hidden melancholy of human pain, deep spiritual atmosphere, and mystery. Unlike others, Nana Tsintsadze's style is different and deeply thought-out. Abstract works made of oil paints or mixed mediums are saturated with colourfulness



ნანა ცინცაძე. დილა. 1984. ოვორტი. 50x64 სმ.  
Nana Tsintsadze. Morning. 1984. etching. 50x64 cm.



ლალი ზამბახიძე  
Lali Zambakhidze

ლალი ზამბახიძე (დ.1941 ) შემოქმედებით ასპარეზზე 1970-იანი წლებიდან გამოდის და ქართული გრაფიკული ხელოვნების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებს. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დამთავრების (1965) შემდეგ ახალგაზრდა ხელოვანის ცხოვრებაში იწყება დამოუკიდებელი მხატვრული სტილის განვითარებისა და ჩამოყალიბების რთული, მაგრამ საინტერესო და ძიებებით აღსავსე, წარმატებების მომტანი შემოქმედებითი გზა. მუშაობს დაზგურ გრაფიკასა და მულტიპლიკაციაში, ქმნის წიგნის ილუსტრაციებსა და ექსლიბრისებს. 1970-იან წლებში მხატვარი, ძირითადად, ოფორტისა და ლითოგრაფიის ტექნიკას იყენებს. მისი ხელწერა სიძლიერით, ხაზთა შტრიხული დამუშავებითა და ლაქობრივი კონტრასტულობით ხასიათდება. 1980-იან წლებში ლალი ზამბახიძის შემოქმედება კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ქმნის სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრებს: პორტრეტს, პეიზაჟს, ბუნების წიაღში ჩართულ ყოფით სცენებს, მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებთან ასოცირებულ კომპოზიციებს. მხატვარი სხვადასხვა გრაფიკული მასალის შესაძლებლობების ძიების ახალ ეტაპს იწყებს. ოფორტის ტექნიკის გარდა, აქტიურად იყენებს სანგინასაც. იწყებს აქტიურ მუშაობას მონოტიპით, მასალით, რომელიც კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევს მხატვარს, რომ გადმოსცეს მძაფრი შინაგანი ენერჯია და გრაფიკის ენით მიაღწიოს ფერწერულობას. 1990-იანი წლებიდან დღემდე მხატვრის წამყვან ტექნიკად მონოტიპია რჩება, აქტიურად იყენებს შავსა და ფერად ტუმს, აკვარელს, სოუსს, სანგინასა და ნახშირს. ლალი ზამბახიძის ნამუშევრებში მთავარია სულიერება, ენერჯია და ეროვნულობის განსაკუთრებული მუხტი, რაც მის შემოქმედებას ქართული კულტურის, ქართული გრაფიკული ხელოვნების განუყოფელ ნაწილად აქცევს. ლალი ზამბახიძე აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივსა და საერთაშორისო გამოფენებში. მისი ნამუშევრები ინახება საქართველოსა და უცხოეთის წამყვან მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

Lali Zambakhidze (b. 1941) has been working in the creative field since the 1970s, and she has carved herself a significant place in Georgian graphic art history. After graduating from the Academy of Fine Arts in 1965, the young artist embarks on a challenging, but exciting, research-driven creative path to developing and establishing an independent artistic style. She works in easel graphics and animation and creates book illustrations and ex-libris. Her work is defined by its strength, linear craftsmanship, and stark contrast. The work of Lali Zambakhidze became much more diversified in the 1980s. She works in a variety of genres, including portraits, landscapes, life scenes, and compositions associated with world art. The artist embarks on a new phase of search into the possibilities of various graphic materials. In addition to etching techniques, she works in Sanguine. Lali Zambakhidze begins active work with monotype, a medium that allows the artist to express tremendous inner power and create painting through graphic language. Since the 1990s, monotype has been the artist's primary method; she also works with black and coloured ink, watercolour, sauce, sanguine, and charcoal. Spirituality, energy, and a distinct sense of nationality characterize Lali Zambakhidze's work, making it an integral part of Georgian culture and graphic art. Lali Zambakhidze exhibits regularly both locally and internationally. Her works are kept in prestigious museums and private collections in Georgia and abroad.



ლალი ზამბახიძე. ბურჯი - ლურჯი მონასტერი. 2016. კალაღი, ტუში. 65x83 სმ.  
Lali Zambakhidze. Bulwark - the Blue Monastery. 2016. ink on paper. 65x83 cm.



თამაზ ვარვარიძე  
Tamaz Varvaridze

თამაზ ვარვარიძე (დ.1945) XX საუკუნის 70-იანი წლების თაობის ქართველ მხატვართა მკაფიოდ ინდივიდუალური შემოქმედებითი სახის მქონე, ესთეტიკური კონცეპტუალიზმის მიმართულების არტისტიკა, უახლესი ქართული გრაფიკული სკოლის ფუძემდებელი და პლაკატის ხელოვნების განვითარების თვალსაჩინო წარმომადგენელი. მთავარი პრინციპი, რომელსაც მხატვარი ამკვიდრებს XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე, კონცეპტუალიზმის ფორმალური ძიებებია, რომლებიც კომპოზიციებში სივრცის ესთეტიკური ორგანიზებით ხასიათდება. ამასთანვე, დეტალების ავტონომიურობის მიუხედავად, იგი ახერხებს მათ გამოლიანებას აბსტრაქტული ურთიერთკავშირების საშუალებით. სახვითი ელემენტების მაქსიმალური ეკონომიურობით მხატვარი ქმნის იმგვარ შიდა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს აზრობრივ მოძრაობას ირეალურ, განზოგადოებულ, ნაკლებად ფერადოვან, შავ-თეთრის კონტრასტზე აგებულ სიბრტყეზე. მხატვრის განვლილი ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება ერთი მთლიანი არტისტიკული ჟესტია და მისი როლი თანამედროვე ქართული კულტურის გასააზრებლად, უდავოდ, დიდია.

Tamaz Varvaridze (b.1945) is the artist representing a group of clearly individual Georgian creative minds from the 70s of the 20th century. He is a well-known poster artist and the founder of the Georgian contemporary graphic school. The formal quest for conceptualism, characterized by the aesthetic organization of space in the composition, has been the artist's primary principle since the 1970s. Despite the autonomy of details, he manages to unite them using abstract inter-connections. The artist creates an internal system that determines the rational movement on an unreal, generalized, less coloured surface built on the contrast of black and white with the maximum economy of visual elements. The artist's past life, work, and art are all part of the entire artistic gesture that plays a big role in understanding contemporary Georgian culture



თამაზ ვარვარიძე, პროგნოზი. 2015. კალაღლი. შერეული ტექნიკა. 70x70 სმ.  
Tamaz Varvidze. Prognosis. 2015. mixed technique on paper. 70x70 cm.





სოფიო კინწურაშვილი  
Sophia Kintsurashvili

სოფიო კინწურაშვილი - მხატვარი, წიგნის დიზაინერი და ილუსტრატორი. წლების განმავლობაში თანამშრომლობდა სხვადასხვა გამომცემლობასთან, არის რამდენიმე საბავშვო წიგნის ილუსტრაციების მხატვარი. მანვე შეასრულა მინიატიურები ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისათვის“, რომლის ქედური ყდა შექმნა საფრანგეთში მოღვაწე ქართველმა ხელოვანმა გუჯი ამაშუკელმა. ეს უნიკალური წიგნი დაცულია საქართველოს გაეროს სათავო ოფისის საგამოფენო დარბაზის მუდმივ კოლექციაში. სოფიო კინწურაშვილი არის 1998 წელს საქართველოს გრაფიკული დიზაინის ასოციაციის თანადამფუძნებელი; წლების განმავლობაში მუშაობდა პროექტზე - „ქართული დამწერლობა და ტიპოგრაფია. ისტორია, თანამედროვეობა“; არის ავტორ-შემდგენელი 2016 წელს იმავე სახელწოდებით გამოცემული სელტანიანი წიგნი-ალბომისა. 1974 წლიდან მონაწილეობს მრავალ საერთაშორისო გამოფენაში; 2009 წელს წიგნის დიზაინისა და გაფორმებისთვის გახდა გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხოლო 2015 წელს - ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიის ნომინანტი. სოფიო კინწურაშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთში: ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში (ნიუ-ჯერსი, აშშ); ქ. ნაპას არტცენტრის მუზეუმში, (კალიფორნია, აშშ); პუშკინის სახელობის მუზეუმში (მოსკოვი, რუსეთი); მცირე ფორმების მუზეუმ CUT-DES-SARTS-ში (ბელგია); კანაგავას თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების მუზეუმში (იაპონია); თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების მუზეუმში (ფრიდრიხსტადტი, ნორვეგია). მისი ნამუშევრები ინახება ასევე არაერთ კერძო კოლექციაში, მაგალითად, ნორტონ დოჯის კერძო კოლექციაში (აშშ) და ა.შ.

Sophia Kintsurashvili - artist, book designer, and illustrator. Over the years, she has collaborated with various publishing houses and is an illustrator of several children's books. She also made miniatures for the handwritten book "The Knight in the Panther's Skin," the embossed cover of which was created by Guji Amashukeli, a Georgian artist living in France. This unique book is preserved in the permanent collection of the exhibition hall of the UN Headquarters in Georgia. Sophia Kintsurashvili has been a co-founder of the Georgian Graphic Design Association since 1998; She worked on the "Georgian Written Language and Script. History, Modern Age" project for years. She is the author-composer of the thick book album of the same name, published in 2016. She has been participating in many international exhibitions since 1974; in 2009, she became a laureate of the Giorgi Shervashidze Prize for book design and illustration, and in 2015 - a nominee for the Astrid Lindgren International Prize. The works of Sophia Kintsurashvili are preserved in Georgia and abroad: the Zimmerli Art Museum (New Jersey, USA); the Napa Contemporary Art Center (California, USA); in the Pushkin Museum (Moscow, Russia); Museum of Small Forms in CUT-DES-SARTS (Belgium); at the Contemporary Graphic Art Museum in Kanagawa (Japan); at the Museum of Contemporary Graphic Art (Friedrichstadt, Norway). Her works are also kept in numerous private collections, for example, Norton Dodge Private Collection (USA) and so on.



სოფიო კინსურაშვილი. YELLOW. 1989. ფერადი ლითოგრაფია. 72x60 სმ.  
Sophia Kintsurashvili. Yellow. 1989. Color Lithograph. 72x60 cm.



ნანა ჭურღულია  
Nana Tchurghulia

ნანა ჭურღულია (დ.1950) მუშაობს დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, გაფორმებული აქვს ხუთ ათეულზე მეტი წიგნი; ქმნის ექსლიბრისებს. დაინტერესებულია კერამიკითა და ლითონის მხატვრული დამუშავებით. მუშაობდა მხატვარ-დიზაინერად ესთეტიკის ინსტიტუტში (1974-76 ), იყო ჟურნალ „დილის“ დიზაინერ-ილუსტრატორი (1981 წლიდან), თანამშრომლობდა გამომცემლობებთან: „მერანი“, „საქართველო“, „განათლება“, „ნაკადული“, „მეცნიერება“. დაწყებითი სამხატვრო განათლება მიიღო სოხუმის სამხატვრო სკოლაში, 1967-73 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამრეწველო გრაფიკის ფაკულტეტზე, 1978-81 წლებში კი იქვე- გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში. 1981 წლიდან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. 1974 წლიდან ჰქონდა პერსონალური და ჯგუფური გამოფენები საქართველოში და საზღვარგარეთ . ქმნის ოფორტის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრების სერიებს, სხვადასხვა შინაარსის კომპოზიციებს, პორტრეტებს. მხატვარს მინიჭებული აქვს პრემია „წლის საუკეთესო წიგნი“ მხატვრული გაფორმებისათვის (1978, 1982). ნანა ჭურღულიას ნამუშევრები დაცულია : დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, პუშკინის სახელობის მუზეუმში ( მოსკოვი, რუსეთი), აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში ( მოსკოვი, რუსეთი) , საქართველოს, ვენის, რომის, მიუნხენის, მოსკოვის, ლუბროვსკისა და აშშ-ის კერძო კოლექციებში.

Nana Churgulia (b.1950) works extensively as a graphic-artist - designs books and creates illustrations. Her artistic sphere also includes ceramics and metalworking. She worked as a graphic designer at the Institute of Aesthetics (1974-76), and a designer-illustrator of the "Dila" ("Morning") magazine. At different times she collaborated with various Georgian publishing houses, such as "Merani" ("Courser"), "Sakartvelo" ("Georgia"), "Ganatileba" ("Education"), "Nakaduli" ("Brook"), "Metsniereba" ("Science"). She received her primary art education at the Sukhumi Art College and then continued her studies at the Faculty of Industrial Graphics of the Tbilisi State Academy of Arts (1967-73) and the Graphic Workshop (1978-81). She is a member of the Georgian Artists' Union since 1981. Since 1974 she has participated in numerous group exhibitions and held several solo-shows both in Georgia and abroad. Her graphic prints primarily represent copper-plate engravings with the application of almost all the techniques used in etching. The artist was twice awarded "The Book of the Year" prize (1978, 1982). The prints of Nana Churgulia are kept in the National Gallery of Dmitry Shevardnadze, the Pushkin Museum (Moscow, Russia), the Museum of Oriental art (Moscow, Russia), private collections in Georgia, Vienna, Rome, Munich, Moscow and the USA.



ნანა ჭურღულია. ქალბატონი კნოსის სასახლიდან. 1985. ქალაღი, რეზერვუის ტექნიკა. 60x48 სმ.  
Nana Tchurghulia. A Lady from the Knossos Palace. 1985. sugar aquatint, 60x48 cm.



## მანანა თუმანიშვილი Manana Tumanishvili

მანანა თუმანიშვილის (დ.1940) აკვარელის ტექნიკით ქმნის პეიზაჟებსა თუ ნატურმორტებს, ცხოველთა პორტრეტებსა თუ პიროვნებათა გამოსახულებებს. საოცარი სიმძაფრითაა გამოკვეთილი ადამიანური გრძნობები - სიხარული, სევდა, შიში... იყენებს ტუმსაც - ქაღალდში შეღვნილი, სიმუქიდან ღია ტონალობაში გადასული ლაქობრივი ეფექტებით ამოკვეთს სიღრმიდან ამოზიდულ ფიგურათა ფორმებს. ემოციით სავსე ევროპული ქალაქების ხედები თუ ძველი თბილისის ქუჩებს შემორჩენილი მოფუსფუსე, სიყვარულით სავსე მყუდრო გარემო; ზღვის უსაზღვრო სივრცე; მუქი ლურჯი ცის ფონსა და მიწის შესაყარზე განლაგებული მასიური ლოდები, სევდისა და მიუსაფრობის შეგრძნებას რომ ბადებს ადამიანში; ყვავილების თაიგულებიდან ამოფრქვეული ფერადოვნება; ბინდშემოწოლილი სამყაროს ჩამავალი მზის სხივებით დაფენილი მინელებული სივრცე... მხატვრის შემოქმედებაში ნიუს განსაკუთრებული ნიშა ეთმობა. მხატვარი აკვარელთან ერთად იყენებს შერეულ ტექნიკას. სხვადასხვა საღებავითა და ტექნიკით (პასტელი, გუაში, ტუში, მონოტიპია) სურვილისამებრ აძლიერებს ცოცხალი სხეულის რბილსა თუ მკვრივ ფორმებს. ზოგჯერ აკვარელის გამჭვირვალეობა პასტოზურობითაა შეცვლილი. ჩამუქებული სიღრმეებიდან გამოკრთის ფერადოვანი ლაქებით აჟღერებული ფიგურები თუ საგანთა ფორმები. მანანა თუმანიშვილი თავის ნიჭს, ცოდნასა და გამოცდილებას 1966 წლიდან უშურველად გადასცემდა ახალ თაობას. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ასწავლიდა ხელოვნების ისტორიას, დამწყებ მხატვრებს კი უზიარებდა აკვარელის რთული ტექნიკით მუშაობის გამოცდილებას. 1968 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში გამართულ გამოფენებში.

Manana Tumanishvili's (b. 1940) favourite work material is watercolour. She creates landscapes or still lifes, images of animals, or portraits of peoples. Human feelings are expressed with amazing intensity - joy, sadness, fear... She uses ink as well - dripped and absorbed in the paper, shapes the figures emerging from the depth of the dark tones, which then transition into light toned spots. Emotional views of European cities or the lively, loving atmosphere of the old Tbilisi streets; boundless space of the sea; massive rocks against the background of a dark blue sky, and at the crossroads of the earth evoke a feeling of sadness and homelessness in a person; colourfulness erupting from flower bouquets; the dim space covered with the setting sun rays of the darkened world... Nudes in the artist's work occupy a significant niche. The artist uses mixed techniques along with watercolours. Using various paints and techniques (pastel, gouache, ink, monotype) she enhances the soft or solid shapes of the living body desirably. Sometimes the transparency of the watercolour is replaced by pastosity. Figures or shapes of objects with coloured spots emanate from depths of darkness. Manana Tumanishvili has been passing on her talent, knowledge, and experience to the new generation since 1966. She taught art history at the Tbilisi State Academy of Arts and shared her experience of working with complex watercolour techniques with novice artists. Since 1968 she has been actively participating in exhibitions in Georgia and abroad.




მანანა თუმანიშვილი. მეშინია. 2014. ქაღალდი, ტუში. 60x65 სმ.  
Manana Tumanishvili. I am afraid. 2014. ink on paper. 60x65 cm.



კარლო ფაჩულია  
Karlo Pachulia

კარლო ფაჩულია (დ. 1942) მუშაობს დაზგური ფერწერისა და გრაფიკის დარგში, აფორმებს წიგნებს, ქმნის ილუსტრაციებსა და ექსლიბრისებს. თავდაპირველი სამხატვრო განათლება მან ქუთაისის სამხატვრო სკოლაში მიიღო (1955-1959); სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე (1964-1970); სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში (1972-1975); 1969-1973 წლებში იყო საქართველოს ტელევიზიის მხატვარი; გაზეთების - „ლიტერატურული საქართველოსა“ (1985 წლიდან) და „ქომაგის“ (1998 წლიდან) მხატვარ-რედაქტორი. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნოველა (1999), არის ილია ჭავჭავაძისა და დავით კაკაბაძის პრემიების ლაურეატი (2008); ღირსების ორდენის კავალერი (2002). კარლო ფაჩულია მაღალ პროფესიულ დონეზე ფლობს გრაფიკის ტექნიკებს - ოფორტსა და ლითოგრაფიას. მისი საყვარელი მასალა ტუში და კალამია, რომლითაც, ძირითადად, ჩანახატებს ასრულებს. თუმცა ყველა მისი ე.წ. ჩანახატი სრულყოფილი, ემოციით სავსე, თამამი ხელწერით შესრულებული კომპოზიციაა, რაც მხატვრის მიერ მასალის ოსტატური ფლობის შედეგია. მხატვრის შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია: ხატავს ძველი თბილისის ხედებს, ადამიანთა ყოფის ამსახველ სცენებს. მხატვრის ხელწერა თამამია, თავისუფალი, თითქოსდა სტიქიური... თეთრ, ხშირად კი აკვარელით დაფერილ, ნათელი ტონალობის ფონზე თამამი ხაზთა დინებითაა გამოკვეთილი ემოციით დამუხტული ნახატი. მის მიერ გაფორმებული და ილუსტრირებული თითოეული წიგნი (ასეთი კი რამდენიმე ათეულია) ნაწარმოების შინაარსის ვიზუალურად გამომხატველია.

Karlo Pachulia (b. 1942) is an artist who specializes in easel painting, graphics, and the design of books, illustrations, and ex-libris. He received his preliminary art education at the Kutaisi Art School (1955–59); he studied at the Tbilisi Academy of Arts' Faculty of Graphics (1964–70), and in the Academy of Arts' Creative Workshop (1972–75); he was a scenic painter at Georgian Television from 1969 to 1973; he is the art-editor of the newspapers "Literary Georgia" (since 1985) and "Komagi" (Fan/Supporter) (since 1998). He is the author of several novels (1999), a Laureate of the Ilia Chavchavadze and Davit Kakabadze Prizes (2008), and a Knight of the Order of Merit (2002). Karlo Pachulia specializes in graphic techniques like etching and lithography. His preferred mediums are ink and pen, which he primarily employs for sketches. His so-called sketch is a perfect, emotional, and boldly created composition, that is the result of the artist's skilful mastery of the material. The artist's oeuvre covers a wide range of subjects, including views of old Tbilisi and scenes depicting human life. The artist's painting style is bold, free, and appears to be spontaneous... You can feel the magic of the city, the houses of old Tbilisi that are intimately connected to their inhabitants, the curious women and children peering out their balconies at their neighbours gathered in the inner yards. Each of the dozen books he has designed and illustrated is a visual representation of the book's content.



„სპორტული ცენტრი“

შეიქმნა კარლო ფაჩულია

კარლო ფაჩულია. ველოტრეკი. 1985. ლითოგრაფია. 40,5x40,5 სმ.  
Karlo Pachulia. A Cycle Track. 1985. lithograph. 40.5x40.5 cm.





ნინო ზაალიშვილი

Nino Zaalishvili

1945-2013

ნინო ზაალიშვილის (1945-2013) შემოქმედებითი სფერო დაზგური და წიგნის გრაფიკაა. ქმნიდა ილუსტრაციებსა და ექსლიბრისებს. თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე (1970) მუშაობა დაიწყო საქართველოს ტელევიზიაში (1970-1972), 1972 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრაზე. 1976 წელს დაამთავრა პეტერბურგის რეპინის სახ. სამხატვრო ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი. სტაჟირება გაიარა ტელევიზიის საკავშირო ინსტიტუტსა (მოსკოვი.1976) და სახელმწიფო ერმიტაჟში (ლენინგრადი. 1973). ნინო ზაალიშვილს შექმნილი აქვს ფერწერული და დაზგური გრაფიკული ნამუშევრები, გააფორმა ათეულობით წიგნი და პლაკატი. აქვს თეორიული ნაშრომები. 2000 წელს გამოსცა ცნობარი „ვინ ვინაა“ - თანამედროვე ქართველ მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა ბიოგრაფიული ლექსიკონი, ავტორ-მემდგენელია წიგნებისა: “აპოლონ ქუთათელაძე. 1899-1972” (2014) და საქართველოს რუსი მხატვრები. XX საუკუნე (2007). სწავლობდა შექსპირის ნაწარმოებთა ილუსტრირების ისტორიას იყო ავტორი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტისა „ქართული სახვითი შექსპირიანა“ (2003). დიდა მისი წვლილი ქართული ექსლიბრისის განვითარებისა და შესწავლის საქმეში. მისი ინიციატივით 2001 წელს მოეწყო ქართული ექსლიბრისის გამოფენა. 2001 წელსვე გამოსცა კატალოგი „37 ქართველი მხატვრის ექსლიბრისი“. ავტორია 2013 წელს გამოცემული საბავშვო წიგნისა „ანამარია ჭიამაიას ჭრელჭრელი ამბები“. 1972 წლიდან მონაწილეობდა ადგილობრივ და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში. მხატვრის პერსონალური გამოფენა გაიმართა 2013 წელს. მინიჭებული აქვს ღირსების მედალი (1998).

Nino Zaalishvili (1945-2013) was a graphic designer who specialized in easel and book graphics. She has created Ex-libris and illustrations. After graduating from the Tbilisi State Academy of Arts' Faculty of Graphics in 1970 Nino Zaalishvili worked at Georgian Television (1970 -1972), and then at the Tbilisi State Academy of Arts' Faculty of Art History and Theory from 1972 to her death. She graduated from the Art Theory and History Faculty of Repin St. Petersburg State Academic Institute of Painting, Sculpture and Architecture in 1976. She interned at the Union Institute of Television in Moscow in 1976 and 1973 at the State Hermitage in Leningrad. Nino Zaalishvili has made numerous book illustrations and posters, as well as paintings and easel graphic works. She was actively involved in artistic life. Nino Zaalishvili has some theoretical works. In 2000 she published a reference book "Who is Who"-Biographical Dictionary of Contemporary Georgian Artists and Art Critics." Artist is the author and compiler of the books "Apolon Kutateladze. 1899-1972" (2014) and "Russian Artists of Georgia. The twenty-first century" (2007). She researched the history of illustrations of Shakespeare. She was the author of the International Scientific Project "Shakespeare in Georgian Fine Arts." Nino Zaalishvili has made an important contribution to the research and development of Georgian Exlibris. On her initiative, she developed a Georgian Exlibris show in 2001. She also published the "Exhibition of 37 Georgian Exlibris Artists" exhibition catalogue in 2001. She is the author of the children's book "Ladybug Anamaria's Colorful Stories," which was published in 2013. She has participated in local and international exhibitions since 1972. Nino Zaalishvili's personal show was held in 2013. The Medal of Honor was bestowed to her in 1998. .




ნინო ზაალიშვილი. სულხან-საბა ორბელიანი. იგავი ორმოში ჩავარდნილი მეფე ილუსტრაცია. 1993. ქალაქი, გუამი. 48x64 სმ.  
Nino Zaalishvili, the illustration of the Sulxhan-Saba's fables "The King that Fell into the Pit". 1993. gouache on paper. 48x64 cm.



ნუგზარ მეძმარიაშვილი  
Nugzar Medzmariashvili

ნუგზარ მეძმარიაშვილი (დ.1945), საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1982), მუშაობს დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში, შექმნილი აქვს მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნებისა და მინაწერის ნიმუშები. იყენებს ოფორტისა და ლითოგრაფიის ტექნიკას, გატაცებულია კომპიუტერული გრაფიკით. 1971 წლიდან არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. მონაწილეობს საქართველოსა და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებსა (1976, 1981 ) და სიმპოზიუმებში (1961, 1963 ), ჰქონდა პერსონალური გამოფენა (2016). 2000-იანი წლებიდან მხატვარი აქტიურად იწყებს გრაფიკულ ხელოვნებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. დამოუკიდებლად სწავლობს და იყენებს კომპიუტერული გრაფიკის შესაძლებლობებს და საოცარ შედეგებს აღწევს. მისი გრაფიკული „ტილოები“ ხშირად ირეალურ სამყაროს წარმოგვიდგენს: ისტორიული წარსულიდან „ამოიზიდება“ სიუჟეტები, ფიგურები, ცოცხლდება ძველი თბილისის კადრები, ასომთავრული და ნუსხა-ხუცური შრიფტი, იდუმალებითაა სავსე ჩვენ წინ გადაშლილი სამყარო; ღრმა შინაარსის ბიბლიური სიუჟეტები და ფიქრისთვის გამიზნული, სიმბოლოებით დატვირთული ნამუშევრები; ნიუ და პორტრეტი, ცხოველთა ფიგურები, აბსტრაქტულ-კუბისტური გრაფიკები, კოლაჟები, ფიგურები ეროვნული სამოსის ნიუანსებით, ანტიკური ხელოვნების ნიმუშთა ანარეკლები, ქრისტიანულ თემატიკასთან დაკავშირებული მოტივები. კოლორიტი თავშეკავებულია, მქრალი ტონალური შეხამებით გამოსახულებები ხშირად სიბრტყობრივ-დეკორატიულია, ზოგჯერ კი - მოცულობითი, მსუყე ფორმებით გამორჩეული. ყოველივე ამას კი მხატვარი ღრმა პროფესიული ოსტატობით აღწევს. უმნიშვნელოვანესია ნუგზარ მეძმარიაშვილის მიერ შექმნილი ვიდეორგოლებიც - ვირტუალური კატალოგები.

Nugzar Medzmariashvili (1945), the Honored Artist of Georgia (1982) works in easel painting and graphics and has created works of monumental-decorative art and enamel. He uses techniques of etching and lithography and is obsessed with computer graphics. He has been a member of the Union of Georgian Artists since 1971. He participated in exhibitions (1976, 1981) and symposiums (1961, 1963) organized in Georgia and abroad and had a solo exhibition (2016). 2000s, the artist has been actively using modern technologies in drawing arts. He started to learn and use computer graphics capabilities independently and has amazing results. His “canvases” of graphics often represent the surreal world: stories, figures are “emerging” from the historical past, footage of old Tbilisi Asomtavruli and Nuskh-Khutsuri script come to life, and the world before us is full of mysteries; deeply reaching Biblical stories and thought-provoking, symbolic works; nude art and portraits, animal figures, abstract-cubist drawings, collages, figures with nuances of national costume, reflections of antique art, Christian themed motifs. The use of colour is restrained, and the images with faded tonal combinations are often two-dimensional and decorative, but sometimes voluminous, and outstanding with abundant forms. The artist achieves all this with excellent professional mastery. Nugzar Medzmariashvili’s videos are extremely important - virtual catalogues.




ნუგზარ მეძმარიაშვილი. ძველი თბილისი. სერია. 2021. ციფრული გრაფიკა 43x40 სმ.  
Nugzar Medzmariashvili. The Old Tbilisi. a series of works. 2021. digital graphic. 43x40 cm.



ლალი ლომთაძე  
Lali Lomtadze

ლალი ლომთაძე (დ.1955) დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში მუშაობს, ქმნის წიგნების ილუსტრაციებს, ექსლიბრისებს, მუშაობს კინო/ტელე მხატვრობის სფეროშიც. 1975-79 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კინო/ტელე ფაკულტეტზე. მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ მოწყობილ 150-ზე მეტ გამოფენაში. მათ შორისაა პერსონალური, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენები: თბილისში (1996, 1998, 2000), მოსკოვში (1980, 1983, 1985, 1987, 1988, 2001, 2003 ), პოლონეთსა (1985, 1987 ) და უნგრეთში (1990). ის არის ფილმების („ყველაწმინდა“- 1977, „გასეირნება“- 1979) დამდგმელი მხატვარი. ლალი ლომთაძის მიერ შესრულებული ნამუშევრების თემატიკა მრავალფეროვანია. ფერადი ოფორტისა და შერეული ტექნიკის საშუალებით იგი ქმნის მაღალმხატვრულ ნამუშევრებს. განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი მხატვარს თანამედროვე ქართული ექსლიბრისის ხელოვნების განვითარებაში. 1987 წელს ბაქოში მოწყობილ ექსლიბრისის საკავშირო კონკურსზე მხატვართა კავშირის პრიზით დაჯილდოვდა; 1988 წელს საქართველოს მასშტაბით გამოცხადებულ ექსლიბრისის კონკურსზე კი მის ნამუშევრებს I პრემია მიენიჭა; ასევე პრიზი დაიმსახურა კონკურსზე „მხატვარი ხატავს პარიზს“ (პარიზი. 2005). იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობასაც. 1984 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორია. 1986-2007 წლებში კი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა კინოდეკორაციის კომპოზიციას. ლალი ლომთაძის ნამუშევრები ინახება: შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში; საქართველოს, აშშ-ის, რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, იტალიის, იაპონიისა და თურქეთის კერძო კოლექციებში.

Lali Lomtadze was born in 1955. She works in easel painting and graphics, creates book illustrations, and ex-libris, and works in the field of film / TV design. From 1975 to 1979 she studied at the Film / TV Faculty of the Department of Fine Arts of the Tbilisi State Academy of Arts; She has been a member of the Union of Georgian Artists since 1981. The artist has taken part in over 150 shows in Georgia and abroad, including solo exhibitions, a number of republican and international exhibitions: Tbilisi (1996, 1998, 2000), Moscow (1980, 1983, 1985, 1987, 1988, 2001, 2003), Poland (1985, 1987), and Hungary (1990). She is the art director of the films Kvelatsminda/All Saints, 1977 and Gaseirneba/Promenade 1979. The themes of the works created by Lali Lomtadze are diverse. She creates highly artistic works with colour etching and mixed media. The artist has made a significant contribution to the development of Contemporary Georgian ex-libris art. She won the Artists' Union Prize at the Exlibris Republican Competition in Baku in 1987; first prize at the Ex-libris Competition in Georgia in 1988; and a prize at the "Artist Paints Paris" competition in Paris in 2005. At the same time, she is preoccupied with academic activities. Lali Lomtadze has been a lecturer at Tbilisi State University since 1984. She taught composition at the Tbilisi State Academy of Arts from 1986 to 2007. Lali Lomtadze's works are kept in the Shalva Amiranashvili State Museum of Art, as well as private collections in Georgia, the United States, Russia, Germany, France, Switzerland, Italy, Japan, and Turkey.



ლალი ლომთაძე. ნატერის ხე. 1988. ოფორტი, მშრალი ნემსი. 65x50 სმ.  
Lali Lomtadze. The Wish Tree. 1988. etching, dry needle. 65x50 cm.



მედეა ჯაბუა  
Medea Jabua

მედეა ჯაბუა (დ.1943)- მხატვარი-გრაფიკოსი, წიგნის დიზაინერი, პედაგოგი, დოცენტი. 1968 წელს მან სწავლა დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე. მისი პედაგოგები იყვნენ ვლადიმერ (ლადო) გრიგოლია და თეიმუაზ ყუბანეიშვილი. ასპირანტურა გაიარა ანდრეი გონჩაროვის ხელმძღვანელობით მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში, სადაც ბეჭდვით პროდუქციას მხატვრულად აფორმებდა. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ბეჭდური გრაფიკის განვითარებაში. დაასურათა და გააფორმა ორასამდე წიგნი. მათ შორის „1001 ღამე“, „რობინ ჰუდი“, „მერი პოპინსი“, აკაკი წერეთლის საბავშვო ლექსები, გრიგოლ აბაშიძის ლექსების კრებული და პარმენ მარგველაშვილის რედაქტორობით გამოცემული დავით კაკაბაძის შემოქმედების ამსახველი სამი ტომი. მედეა ჯაბუას რედაქტირებით გამოიცა ლადო გრიგოლიას შრიფტის სახელმძღვანელო; შექმნილი აქვს შრიფტის გარნიტურები ორენოვანი საგზაო ნიშნებისთვის. მისი ნამუშევრები ინახება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

Medea Jabua (b. 1943) is a graphic artist, book designer and lecturer. She graduated from the Faculty of Graphics of the Tbilisi State Academy of Arts in 1968. Vladimir (Lado) Grigolia and Teimuz Kubaneishvili were her teachers. She completed her postgraduate studies at the Moscow Polygraphic Institute, where she worked on the decoration printed products under the direction of Andrei Goncharov. She has made a significant contribution to the development of Georgian printed graphics. She illustrated and decorated over 200 books. Including "One Thousand and One Nights", "Tales of Robin Hood," "Mary Poppins", Akaki Tsereteli's children's poems, "Grigol Abashidze, Poems" and three volumes of works by David Kakabadze, edited by Parmen Margvelashvili. Lado Grigolia's Type Guidance, edited by Medea Jabua published, she has created the type garnitures for bilingual road signs. Her works are preserved in the Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts.



მედეა ჯაბუა. დროშები ჩქარა! 1987. ოფორტი. 50x60 სმ.  
Medea Jabua. The Flags, Fast! 1987. etching. 50x60 cm.






ზაურ დეისაძე  
Zaur Deisadze

ზაურ დეისაძე (დ.1942) მრავალმხრივი შემოქმედია - მუშაობს ფერწერისა და დაზგური გრაფიკის დარგებში; წიგნებისთვის ქმნის ილუსტრაციებს; თანამშრომლობს საბავშვო ჟურნალ „დილასთან“; დაკავებული იყო სატელევიზიო მხატვრობით, ლითონმქანდაკელობითა და დიზაინით. თავდაპირველი პროფესიული განათლება ზაურ დეისაძემ ქუთაისის გიორგი მათისურაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში მიიღო, რომელიც 1959 წელს დაამთავრა. 1961-67 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე; 1976 წლიდან არის მხატვართა კავშირის წევრი; მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში. 1986 წელს დაასახელეს წლის საუკეთესო გრაფიკოსად; გაიმარჯვა წიგნის მხატვრული გაფორმებისათვის გამოცხადებულ საერთაშორისო (გაეროსა და აშშ-ის) კონკურსებში. მის მიერ შესრულებული პორტრეტები, ნატურმორტები თუ სიუჟეტური კომპოზიციები ლოკალურად დაფენილი ცინცხალი, ნათელი ფერებით, სიცოცხლით სავსე ოპტიმისტური განწყობით მუხტავს მაყურებელს. განსაკუთრებული სითბოთია განმსჭვალული საბავშვო ჟურნალ „დილისთვის“, ასევე სასკოლო სახელმძღვანელოებისა, თუ ათეულობით საბავშვო ნაწარმოებისთვის მის მიერ შექმნილი ილუსტრაციები. ზაურ დეისაძის ნამუშევრები ინახება: შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში; დიმიტრი შევარდნაძის სახელობის თბილისის ეროვნულ გალერეაში, საქართველოს, რუსეთის, გერმანიის, აშშ -ის კერძო კოლექციებში.

Zaur Deisadze (b. 1942) is a versatile artist who works in painting and easel graphics; he creates illustrations for books and collaborates with the children's magazine "Dila." He also took up TV painting, metal sculpture, and design. Zaur Deisadze received his initial professional education at the Giorgi Maisuradze Art School in Kutaisi, where he graduated in 1959. He studied at the Tbilisi State Academy of Arts Faculty of Graphics from 1961 to 1967. He has been a member of the Artists' Union since 1976; Artist participated in exhibitions in Georgia and abroad. In 1986, he was named Best Graphic Designer of the Year, won international book art design competitions (both in the UN and in the USA). Portraits, still lifes, and story compositions painted by him in vivid, local colours fill the viewer with an optimistic, life-filled mood. The children's magazine "Dila," as well as his illustrations for school textbooks and dozens of children's publications, evoke a special warmth. The works of Zaur Deisadze are kept in the Shalva Amiranashvili State Museum of Fine Art, the Dimitri Shevardnadze National Gallery, as well as in private collections in Georgia, Russia, Germany, and the United States.



ზაურ დეისაძე. 9 აპრილი. სერია. 1990. ავტოლითოგრაფია. 55x70 სმ.  
Zaur Deisadze. April the 9th. a series of works. 1990. auto-lithograph. 55x70 cm.




ია გიგოშვილი  
Ia Gigoshvili

ია გიგოშვილი (დ.1957) 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია გრაფიკოსის სპეციალობით. მისი პედაგოგები იყვნენ სერგო ქობულაძე და ლორეტა შენგელია. აკადემიის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა სერგო ქობულაძის სახელოსნოს ასპირანტურაში უჩა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ქართველ მხატვრებს შორის ია გიგოშვილი პირველია აითვისა და საქართველოში დაამკვიდრა სერიგრაფიის ტექნიკა, რომელიც საბჭოთა კავშირში ესტონელმა მხატვრებმა სენეჟის შემოქმედებითი რეზიდენციის მეშვეობით გაავრცელეს. 1990-იან წლებში მან კორკორანის ხელოვნებისა და დიზაინის სკოლის (Corcoran School of the Arts and Design) მხატვრებთან ერთად სერიგრაფიის ტექნიკით გააგრძელა მუშაობა „Moscow Studio“-ში. მონაწილეობდა ასზე მეტ ადგილობრივსა და საერთაშორისო გამოფენაში. ოცზე მეტი პერსონალური გამოფენა აქვს გამართული საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში. 1980-იან წლებში მისი ნამუშევრები ოქროს მედლებით დაჯილდოვდა გრაფიკის რესპუბლიკურსა და საკავშირო გამოფენებზე. ია გიგოშვილის ნახატები ინახება ერმიტაჟში, პუშკინის სახელობისა და აღმოსავლეთის ხალხთა მუზეუმებში, ზუგდიდის დადიანების სასახლეში, ბათუმისა და ნოვოსიბირსკის ხელოვნების მუზეუმებში, დიუკის უნივერსიტეტის ნაშერის კოლექციაში (Duke University, Nasher Museum), ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგის, ნორტონ დოჯის, საბჭოთა ნონკონფორმისტი მხატვრების კოლექციაში (Norton and Nancy Dodge Collection), რომელიც დღეს ნიუ ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილებაა (The State University of New Jersey).

